



ISSN 0132-1307

საბჭოთა სელოვნება

1981 2



საქართველოს
წიგნების კავშირი

ქართული პარტიის
1921 წლიდან

2/1981

საბჭოთა სელოვნიკა


საპარტიო-სსრ კულტურის სამინისტროს
შრომის მეთოდური მუხრანი

შინაარსი

საპა XXVI წიგნობა სახლი ჰორიზონტები	2
ლიბირი ალექსიძე — პარტიული საბოთა თეატრი ალმაველოვის გზაზე	4
აკაკი დვალისვილი — პარტიული კინო საპა XXVI წიგნობას	10
გურამ გვარდნილი — რეალობა, რეალისტი	15
„ჩვენ ვაზინებთ კომუნისმ“	26
სვეტლანა კეცა — წიგნობიდან წიგნობამდე	28
მიხეილ ოძელი — სახლგაურდა კომპოზიტორთა შემოქმედება	30
მედეა მეჭვირვილი — მეჭვირვალთ წარებაები და გამარჯვებები	36
საპრლომონ ანაბა	39
ლერი პაქსვილი — სახლი პარტიული თეატრი	42
ალექსანდრე ჭიჭიშვილი — ბავშვი და თქმთმომადება	46
გელა ხაიბიძე — პროლეტარული რეჟისორის გზა	50
მანანა ახმეტელი — ივანე ნოსტრადუს ბასტროლები თბილისში	54
იური პლაშკინი — სახლი და მანანა	56
პეტერ ბრუი — ტარიული სივრცე	65
ელდარ იბერი — ბასტიონი მინი ტელეკრანზე	73
დავით ჩხვირვილი — XIX საუკუნის პარტიული კულტურის ისტორიის გამოკ- მლების პირველი ცდა	80
გიორგი მდივანი — საბჭოთა რეჟი (პიესა)	85
აზათ აბდულანი — მეჭვირვალთ თამაშობამდე (პიესა)	99
ქრონიკა წიგნობიდან წიგნობამდე	115

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
საბჭოთა
კულტურის
მუხრანი**

მთავარი რედაქტორი
თამაზ მთავარი
სარედაქციო კომისია:
აკაკი ბაქრაძე,
პეტრე ბრუი,
ნოდარ გუბანი,
ჯუმაბეგ თითქმინი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვასილ კიანაძე,
ნოდარ მკლავიშვილი,
ზურაბ ნიბრაძე,
გივი მარჯოსიანიძე,
ნათელა შრუბაძე,
რეზა ჩხვიძი,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო მანანაძე,
ნოდარ მანანაძე.



ახალი კონსტრუქციები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ გასულ წლის დეკემბრის პირველსავე დღეებში მოიწონა და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის ფართო საზოგადოებას წარუდგინა დადგენილების პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. ამ დროიდან მოყოლებული საბჭოთა ქვეყნის, მისი ხალხის, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებისათვის დადგა ახალი ეტაპი, რომელიც დაუკავშირდა აღნიშნული პარტიული დოკუმენტის განხილვას ყველა ინსტანციაში — პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებამდე. გარდა ამისა, ცხადია, მშრომელთა აზრის გამოთქმას სათანადო ადგილს დაეთმო პრესაში, რადიო და ტელეგადამცემებში. განხილვამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო, გამოიწვია მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, ვინაიდან „ძირითად მიმართულებებში“ დასახულია ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სამომავლო ახალი ჰორიზონტები და პერსპექტივები, ახალი მიზნები.

პროექტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეათე ხუთწლედში ჩვენმა ქვეყანამ წინ წაიწია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით, რის გამოც გასული ხუთწლედი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საბჭოთა ხალხის გმირულ მატიაწეში. მაგრამ პარტია არ სჯერდება მიღწეულს,

ვინაიდან სწორედ მოპოვებული წარმატებები იძლევა იმის საშუალებას, რომ პარტიამ გადაწყვიტოს კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანები. „**ოთხმოციან წლებში იგი**, — ნათქვამია დადგენილების პროექტში, — **„ეკლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება...**

აქედან გამომდინარე, უახლოეს ათწლეულში:

უნდა უზრუნველყოთ საზოგადოების შემდგომი სოციალური პროგრესი, განავხორციელოთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებელი პროგრამა“.

ეს პროგრამაა კი მრავალ კონკრეტულ, ახლებურად გააზრებულ საკითხს მოიცავს და საშუალებას იძლევა საბჭოთა მოქალაქის ჰარმონიული სულიერი განვითარებისათვის; იმისთვის, რომ მთელი მოსახლეობისთვის იყოს ხელმისაწვდომი კულტურული ფასეულობანი, გაძლიერდეს მოსახლეობის ზნეობრივი აღზრდა, უზრუნველყოფილ იქნას განათლებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა, ადამიანს განუვითარდეს კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში საგანგებო ადგილი ეთმობა კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა წვლილს ჩვენს სინამდვილეში და დასახულია მათი მუშაობის კონკრეტული მიმართულებანი. პროექტში ჩანერილია: „**ხელი შევეწყობ სოციალის-**

ტური კულტურისა და ხელოვნების განვითარებას, ააშადალით მათი როლი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედვლობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვან სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებაში“.

„ძირითად მიმართულებებში“ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კინოხელოვნების განვითარებას. აქაც დასახულია კინოს კონკრეტული ამოცანები, აქრობთ: „გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კინომოსახურება, ფართოდ გამოიყენეთ კინო აღმზრდელობისა და სასწავლო მუშაობაში“.

და ბოლოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მუშაობის გააქტიურებას, მათ ჩაყენებას ხალხის უანჯარო სამსახურში.

ამ მხრივ პროექტი მოგვიპოვებს: „სრულყოფი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. გავაფართოოთ მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კლუბების ქსელი, ავაშადალით მათი, როგორც მშრომელთა თვითმოქმედებისა და დასვენების (ვენტრების, როლი. გავაუმჯობესოთ მუზეუმების მუშაობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა და პროპაგანდა“.

„ძირითადი მიმართულებების“ განხილვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეებმა და თავიანთი მონაწილობის ხმა ამ მხარდაჭერა შეუერთეს მთელ საბჭოთა ხალხს. და ეს ბუნებრივია, რადგან „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების შეუქმნა შრომისა და დასვენების, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის, ოჯახის განმტკიცების, ბავშვების აღზრდის რაც შეიძლება ხელშეწყობი პრობები“...

პროექტში ნათლად აისახა საბჭოეთის თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივები მოცემული პერიოდისათვის მათ შორის დიდი გეგმების განსახორციელებელი საქართველოს სს რესპუბლიკაში.

სწორედ ამ ნიშნით ჩაიარა საქართველოს კომპარტიის მორიგმა XXVI ყრილობამ, რომლის გადაწყვეტილებებს გულდასმით სწავლობენ და უკვე ახორციელებენ რესპუბლიკის მშრომლები; მათ შორის არიან ხელოვნების მუშაკებიც.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალური პრობლემებს. ამხ. ე. შვეარდნაძემ თავის მოხსენებაში დადებითად შეაფასა სამოცდაათიანი წლების ქართველ ხელოვანთა წვლილი თანამედროვე ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ამასთან იგი შეეხო მეტად მნიშვნელოვან საკითხს — პარტიული მუშაკისა და ხელოვანის ურთიერთდაპირისმართებას.

როგორც ცნობილია, ჩვენში დამკვიდრდა რესპუბ-

ლიკის კომპარტიის ხელმძღვანელთა საქმიანი, უაღრესად საინტერესო შეხვედრები შემოქმედებით ინტელიგენციასთან, რამაც კეთილი ნაყოფი გამოიღო; ასევე აშკარაა, რომ ჩვენმა პარტიულმა, იდეოლოგიურმა მუშაკებმა დაძლიეს პრიმიტივიზმი და ზერელობა კულტურისადმი ხელმძღვანელობაში და ისინი სულ უფრო თამამად იჩივებენ შემოქმედების რთულ, სიღრმისეულ პროცესებში. ყოველივე ეს კი საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მიღწევაა საანგარიშო პერიოდში.

ამასთან დაკავშირებით ამხ. ე. შვეარდნაძემ ყრილობის მალევე ტრიბუნაზე განაცხადა: „პარტიულ მუშაკებს უნდა ჩსმოიფიქროს, რომ ხელოვნის გულ, შემოქმედის ფსიქიკა, მისი სული საცრად მდინარი, უნიკალური, მაგრამ ამასთან ერთოდ მტრობობარე, თავიზი, ხშირად, კვირა მოვლენად არის: ალბათ პარტიულ მუშაკს ისე არსად მოეთხოვება ფსიქოლოგიის, მეტადრე შემოქმედებისა და შემოქმედის ნატურის თსიქოლოგიის ცოდნა, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, საერთოდ ინტელიგენციასთან (აოხხალ ურთიერთობაში. ძალზე საჭიროა დროზე შეამჩნიო ხელოვნის წარმატება, მხარში ამოუდგე მას წარუმატებლობის ვაჟს, მოთმინებით, კეთილმოსურნედ განუშარტო პარტიის პოზიცია. აგდებულ, ქედმაღლურ ტონს, კომუნისტურ ყყოჩობას არსად არ მოაქვს ჩვენთვის იმდენი ვნება, რამდენიც კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობაში“.

სკკპ XXVI ყრილობის წინ ახალი სასიხარულო ცნობა მოვიდა: საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მალე შედეგების მიღწევისათვის, ეკონომიკური და სოციალისტური განვითარების 1980 წლისა და მეთუ ხუთწლიდის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საქართველო ზედინედ მერედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო არკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამადალი წითელი დროში. ეს არის ზედინედ მერედ გარდამავალი დროში X ხუთწლიდში. ამრიგად, მეთუე ხუთწლიდს ქმედობითად შეიძლება ეწოდოს „საბჭოთა საქართველოს წითელდროშიან ხუთწლიდ“ (ე. შვეარდნაძე).

სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა ცხოვრებაში გატარება მოითხოვს მთელი ძალების დაძაბვას, თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილსინდისიერ, მიზანსწრაფულ შრომას სამშობლოს საკეთილდროში და პარტიის წინამძღოლობით. ამ საქმეს უნდა მოხმარდეს ხელოვნების ოსტატთა შთაგონებული შრომაც. და მათ სასესებით შევწვდებით აქეთ, რომ „მატერიალური ფასულობანი და სულიერი ღირებულებანი იქმნება მუშების, კოლმუშურნების, ინტელიგენციის გარჯით, მხოლოდ შრომა ეროვნული სიმდიდრის გამრავლების წყარო“.

XXVI



ს ს კ კ
ყ რ ი ლ ბ ა

ქართული

საბჭოთა

თეატრი

ალეკსელოვის

ბგაგე

დირიჟორი ალექსიძე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თეატრდირიჟორი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

მითლი ჩვენი დიადი, მრავალეროვანი ქვეყანა, მათ შორის საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები და კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები დიდი გულმოდგინებითა და ენთუზიაზმით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს. მათე ხუთწლედ ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოვლენებით აღინიშნება და ეს წარმატებები დაფასებული იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ. ამ ხუთწლედის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება. როგორც ყოველთვის, დღეს ჩვენ კიდევ უფრო მეტი ოპტიმიზმით შეგყურებთ მომავალს და მთელი ჩვენი ხალხი გამსჭვალულია XXVI ყრილობის ნათელი იდეებით, იმ საკითხებითა და პრობლემებით, რაც ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ შემოგვთავაზა სსრ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული პროექტის სახით. ამ პროექტში გათვალისწინებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტები, რაც ყველა ჩვენთაგანისათვის დიდ შემოქმედებით სტიმულს წარმოადგენს.

მე ჩვენი ქვეყნის ყველა ხუთწლედის მომსრენ ვარ და გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ თითოეული მათგანი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ყოველთვის მოპქონდა ახალი გეგმები, ააქტიურებდა მშრომელი ხალხის მისწრაფებებს უკეთესი ცხოვრებისაკენ, აფართოებდა დემოკრატიულ ინსტიტუტებს, უკეთეს პირობებს უქმნიდა კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს შემოქმედებითი აღმავლობისათვის, ყოველი ხუთწლედის შემდეგ ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში იწყებოდა შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ერა, იდგებოდა რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, სინამდვილის ამსახველი სპექტაკლები, მაღლდებოდა რეჟისორებისა და მსახიობების პროფესიული ოსტატობა და ბოლოს ამან თავისი შედეგები გამოილო. დღეს ჩვენი თეატრების შემოქმედებითი დონე იმდენად მაღალია, რომ მათ აღტაცებაში მოჰყავს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხო ქვეყნების თეატრის სპეციალისტები და მსყურებლები. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივმა მოხიზლა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის მსყურებელი, მათი სპექტაკლების ნახვა თითქმის ყველა ქვეყანას სურს და სულ ახლახან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, მოსკოვში



საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის ქომაკართიის შექმნის 60 წლისთავი

კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული და შეფასებული რუსთაველის თეატრის დიდი შემოქმედებითი მიღწევები.

აღმავლობის გზას ადგანან აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების თეატრალური კოლექტივები. შეუმჩნეველი და დაუფასებელი არც მათი მიღწევები რჩება. გასული წლის მაისში მოსკოვს ეწვია კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და მოსკოველ მაცურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო სპექტაკლები, რომელთაც ადგილობრივი პრესის აღიარება დამსახურეს. ვილნიუსს ეწვია ჩვენი მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრი, წარმატებით გამოვიდა ნელს ერევანში გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ასევე გააქვთ რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების თეატრალურ კოლექტივებსაც. ერთი სიტყვით, ჩვეს რესპუბლიკაში თეატრალური ცხოვრება მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს და ახალი ყრილობა და ახალი ხუთწლიური სანინდარია იმისა, რომ ჩვენი თეატრალური ცხოვ-

რება კიდევ უფრო მეტ შემოქმედებით აღმავლობას მიაღწევს.

ჩვეს რესპუბლიკაში არ მოღვაწეობს არც ერთი თეატრალური კოლექტივი, რომელიც არ ემზადებოდეს სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად და ერთს ან რამდენიმე სპექტაკლს არ უძღვნა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. ამ სპექტაკლების შინაარსი და ხასიათი ყველაზე მეტად გამოხატავს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების საყოველთაო მნიშვნელობას და ჩვენი ხალხის გამირულ ბრძოლას ახალი, სოციალური წყობის დასამყარებლად.

ამგვარად, ზემოთ მე უკვე აღვნიშნე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი ხუთწლიელები ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას უფრო სტაბილურს, უფრო გრანდიოზულს ხდიდა და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვის. ჩვენი ხელოვნება კი ხალხს ეკუთვნის და ყოველთვის იყო და არის პარტიის მეგობარი და ხელშემწყობი, მისი იდეების პროპაგანდისტი. ჩვენი ხელოვნების მიზანია დაეხმაროს ჩვენს თანამედროვე ადამიანს, ხელი შეუწყოს მისი ხასიათის, მისი მსოფლმხედველობისა და გემოვნების ჩამოყალიბებას, აღზარდოს ღირსეული მომავა-



„ექვის ივლისი“ ქუთაისის თეატრში.
 ვ. ი. ლენინი — დ. დვალისძე

ლი თაობა. აი, ამიტომ ანიჭებს ასეთ დიდ მნიშვნელობას საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება თანამედროვე ადამიანის სახისა და თანაუდროვე თემის სცენაზე განხორციელებას, ხელოვნების ახალი ფორმებისა და გამომხატველობის უფრო დამაჯერებელი, დღევანდელიობისათვის შესაფერისი ფორმების ძიებას.

სულ ახლახან თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, რომელიც მიუძღვნა სკკპ XXVI ყრილობას. მე მხედველობაში მაქვს კვირეული დევიზით: „თეატრი და ბავშვები“. ეს იყო დიდი ზეიმი ჩვენი ბავშვებისათვის, ეს იყო პასუხი პარტიის იმ ღირსშესანიშნავ დოკუმენტზე, სადაც ლაპარაკია შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობაზე. ამ ღონისძიებას ჩვენ უკვე მეექვსეჯერ ვატარებთ, მაგრამ ნელს მას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, დაკავშირებული იყო დიდ პოლიტიკურ მოვლენასთან. ჩვენი რეალური ჩვენ გახსენით აფხაზეთის დედაქალაქში, სოხუმში. მე თვითონ გახლდით ამ ღონისძიების უშუალო მონაწილე. ჩვენ შეხვედით ბავშვებს და ეს შეხვედრა დღესასწაულად გადაიქცა. თეატრი ისე შეიჭრა ბავშვის სულიერ ცხოვრებაში, მათ განცდებდა და ფსიქიკაში, ისე დაუმეგობრდა თანამედროვე მოზარდს, რომ დღევანდელი თეატრების შრომა და მოღვაწეობა პირადად მე დიდ სახელმწიფო საქმედ მიმაჩნია და ვლადარ კი წარმომიდგენია ჩვენი ხალხის ცხოვრება უთეატრო. იგი აქტიურად იჭრება ცხოვრების ყველა სფეროში, რაღაცას იწონებს, რაღაცას იწუნებს, სააშკარაოზე გამოაქვს ყველაფერი დრომოქმედი, მიუღებელი, უხამსი, აპკვიდრებს ყოველივე ახალს, მონიწიავს, ზნეობრივად ამაღლებულს და ამით ერთგვარად არეგულირებს კიდევ ცხოვრებას.

ხელოვნების ანგვარი დამოკიდებულება მიეწი ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის სულიერი ცხოვრებისადმი კიდევ ერთხელ უარყოფს ბურჟუაზიული ხელოვნების გაცვეთილ თეზისს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მათი აზრით ხელოვნება მხოლოდ რჩეულთათვის არსებობს, მაგრამ ჩვენ კარგა ხანია დავამტკიცეთ, რომ ხელოვნება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხისთვის და ხელოვნების ბურჟუაზიული თეორია თვით ცხოვრებამ უუკავდო, ცხადი გახადა მისი უსაფუძვლობა. თეატრი ყოველთვის ხალხის მეგობარი იყო, ყოველთვის ხალხზე ფიქრობდა, სწავლობდა მის ყოფას, მისი ცხოვრების რეალურ სინამდვილეს, შემდეგ ყოველივე ამას დამახასიათებელ სახეებში ჩამოაყალიბებდა, ხელოვნებად გარდაქმნიდა და ხალხს უჩვენებდა.

ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვრწმუნდებოდით ბავშვები კულტურის რა მაღალ დონეზე იდგნენ და რამდენი რამ იცოდნენ თეატრისა და თეატრალური ხელოვნების შესახებ. მათ მხედველობიდან არ გამოჩნენიათ არც ერთი ღირსშესანიშნავი სპექტაკლი, ჰყავდათ თავიანთი საყვარელი მსახიობები, იცოდნენ რისთვის მოსწონდათ ესა თუ ის წარმოდგენა, რაზე გაემახვილებნათ ყურადღება და რაზე არა. აინტერესებდათ რეპერტუარი, თეატრის ახალი გზები და მიმართულებები, თანამედროვე დრამატურების მიღწევები და ა. შ. ასეთ კითხვებს, ჩვეულებრივ, იძლევიან მოზარდული ადამიანები და არაღან იმავე კითხვების მოცემა ბავშვებზე დაინტერესებს, ეს უკვე იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი ცხოვრების კულტურული დონე, რა სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება მომავალი თაობა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ კვირეულის გახსნას დაუკავშირეს გამოყენა და ჩვენ ამ გამოყენებაზე წარმოდგენილმა მასალებმაც გაგაკვირვა. ზოგიერთი ახალბედა ჩანახატი ისეთი იყო, რომ შეგიძლიათ, სადაც გინდა ვაიტყვიანო და არ შეგერცხებოთ. ამ შესანიშნავმა კვირეულმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რა დიდ საქმეს აკეთებს თეატრი ბავშვის

სულიერი აღზრდისათვის, როგორ უნვითარებს გემოვნებასა და თვალთახედვას. იმ კვირულზე მე ასეთი აზრიც კი გამოვთქვი: ადამიანი იბადება ორჯერ, ერთხელ ფიზიკურად, მეორედ კი სულიერად და სწორედ ადამიანის სულიერ დაბადებაში თეატრს უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის-მეთქი.

მაგრამ ყველაზე საინტერესო მანაც ამ კვირეულის ფინალი იყო. კვირეულის დახურვა მოხდა რუსთაველის სახელობის თეატრში და ჩვენ ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე ბავშვებს ვუჩვენეთ რობერტ სტურუას მიერ დადგმული ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“. და რა გგონიათ, მათ სრულიად არ ეუცხოვათ ეს რთული და ანტიილუზიური სპექტაკლი, პირიქით, მათი რეაქცია ყოველთვის ზუსტი იყო, ყოველ აზრობრივ და დიდურ აქცენტს სწორად აღიქვამდნენ და ხვდებოდნენ რაში იყო ამ სპექტაკლის ძალა და მომხიბველობა. ამიტომ მათ არც რეჟისორის ნიჭისა და ჩანაფიქრის დაფასება გასჭირვებიათ. აი, თვალსაჩინო და კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ რამდენად გაიზარდნენ ჩვენი ბავშვები და რა დიდ ნდობას იმსახურებენ მოზრდილები-საგან.

ამიტომ თეატრალური საზოგადოება კულტურის სამინისტროს ყოველთვის თხოვს, რომ ჩვენი თეატრების სცენაზე იდგმებოდეს ისეთი პიესები, რომლებიც უფრო ღრმად ასახავენ დღევანდელი ცხოვრების მომნიშვნეულ საკითხებს და შეულამაზებლად გამოხატავენ იმ დიდ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ძვრებს, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მაქვს დიდი ხნის დავა დადებითი და უარყოფითი გმირის შესახებ, ამ საკითხზე უამრავი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩემის აზრით, ამ შეიძლება არსებობდეს უნაკლოვან დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი ტიპი, ბოლოს და ბოლოს თავისი ლაქები მზესაც კი აქვს, მაგრამ ხომ არსებობს ძირითადი, არსებითი დადები-

თი თვისებები, რითაც ჩვენი თანამედროვე ადამიანი გამორჩევა და მიუხედავად იმისა, რომ ამ თვისებების ზუსტად დანახვა და მხატვრული ხერხებით გადმოცემა მეტისმეტად ძნელია, ჩვენმა თეატრებმა მაინც ასეთი გმირი უნდა უჩვენოს მაყურებელს. ჩემის აზრით, მაყურებელი კი არ უნდა გარბოდეს თეატრიდან, არამედ დაფიქრებული უნდა გადიოდეს, უნდა აღელვებდეს ის პრობლემები, რაც სპექტაკლში იყო დასმული და ეძებდეს მათზე პასუხს. ასეთი სპექტაკლები კი მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა ისინი აქტიურ ზემოქმედებას მოახდენს მაყურებელზე, მის სულში ისეთვე კვალს დასტოვებს, როგორც კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულმა „ცხვრის წყარომ“ დასტოვა.

დიდი ხანია ღრადიცაიდ იქცა საქართველოში ქართული თეატრის დღის აღნიშვნა. ქართული თეატრის დღე, 14 იანვარი, დაკავშირებულია ცნობილი ქართველი დრამატურგის გიორგი ერისთავის სახელთან და ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის თარიღთან. წელს ჩვენ ამ თარიღს აღვნიშნავთ ქ. დუშეთში და ფსანაურში ვესტუმრებით გიორგი ერისთავის სახლ-მუზეუმს. საოცარი ისაა, რომ წელს დუშეთის სახალხო თეატრს 100 წლისთავი უსრულდება და სწორედ ასი წლის წინათ დუშეთელმა სცენის მოყვარულებმა ერთ საღამოს მაყურებელს უჩვენეს ორი სპექტაკლი — ერთი ქართულ, მეორე რუსულ ენაზე, რაც ქართველი კაცის დიდ ინტერნაციონალურ მსოფლმხედველობაზე მეტყველებს. ქართული თეატრის დღის აღმნიშვნელი ზემოთ წელს განსაკუთრებით ფართოდ ჩატარდება და ჩვენ, ქართული თეატრის მესვეურნი ამ დღის აღნიშვნასაც სკკპ X XVI ყრილობას ვუძღვნი.

მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთ საინტერესო ფაქტზე. ჩვენ აღმოვაჩინეთ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ცნობილი პუბლიცისტისა და დიდი საზოგადო მოღვაწის, ნიკო

სცენა ბათუმის თეატრის სპექტაკლიდან „მეშველ ცა“





სვენა გორის თეატრის სპექტაკლიდან „ახალგაზრდა გვარია“

ნიკოლაძის მიერ შედგენილი თეატრალური საზოგადოების განაწესი. ეს დოკუმენტი შედგენილია 100 წლის წინათ და უნდა ითქვას, რომ ჩვენ ბევრი უნდა ვისწავლით ამ განაწესისაგან. უნდა ნახოთ, როგორაა დახასიათებული საზოგადოების მოღვაწეობის სფერო, მისი დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორი დახმარება უნდა გაუწიოს საზოგადოებამ ქართული თეატრის აღორძინებისა და განვითარების საქმეს და ასე შემდეგ.

ჩვენმა საზოგადოებამ, როგორც ეს ხდებოდა ყოველ წელს, წელსაც გამოუშვა თეატრის დღისადმი მიძღვნილი გაზეთი და ჩვენ ქართული თეატრალური საზოგადოების პირველი განაწესი მთლიანად დაგბეჭდეთ გაზეთის ამ ნომერში. გარდა ამისა, წელს აღინიშნება ქართული თეატრალური საზოგადოების დაარსებიდან 100 წლისთავი. ეს ხომ დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, ეს ხომ იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი

ხალხის თეატრალური ცხოვრების კულტურას ღრმად ვესვები აქვს გადგმული წარსულში, ეს ხომ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართველ ხალხს არა მარტო ახლა, წარსულშიც კი არ შეეძლო უთეატროდ არსებობა.

თეატრალურ საზოგადოებას აქვს თავის გამომცემლობა. ამ გამომცემლობამ უკვე ბევრი კარგი საქმე გააკეთა, დაბეჭდა ჩვენი ცნობილი დრამატურგების პიესების არა ერთი კრებული, გამოსცა მონოგრაფიები და გამოკვლევები ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე, გამოუშვა ბუკლეტები, პროსპექტები, თეატრალური აფიშები. ამჯერად კი გამოსაცემად ამზადებს უნიკალურ ნაშრომს „ქართული საბჭოთა თეატრის 61 წელი“ და ამ გამოცემას უღვწის სკკპ XXVI ყრილობას.

დღეს თითქმის ყველასათვის ცნობილია, რომ გლდანში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუშათა რაიონში იხსნება ახალი ქართული დრამატული სახელმწიფო თეატრი. ეს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. თეატრს სათავეში უდგას ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ლერი პაქსაშვილი. მან უკვე შექმნა დასი, შარჩია რეპერტუარი, მოამზადა რამდენიმე სპექტაკლი და სულ მალე მაყურებელი ნახვას ახალი თეატრის ახალ სპექტაკლებს და შეიძენს კულტურის კიდევ ერთ კერას. ჩვენ ნაგარაუდევრე გვაქვს, ამ თეატრს მივანიჭოთ საბჭოთა რეჟისორის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლისა და ცნობილი თეატრალური მოღვაწის სანდრო ახმეტელის სახელი.

ქართული კულტურისა და თეატრალური ხელოვნების განვითარება უკვე აღიარებული ფაქტია, ხმამ ჩვენი წარმატებების შესახებ უკვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს მიღმაც გააღწია და ამიტომ საქართველოში სულ უფრო ხშირად იმართება კონგრესები, სიმპოზიუმები, თათბირები თეატრალური ხელოვნების საკითხებზე. ამას წინათ ჩვენს დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა „ასიტყვით“, ბავშვთა თეატრების საერთაშორისო ასოციაციამ. „ასიტყვით“ სხდომებს ესწრებოდნენ 11 ევროპული ქვეყნის ბავშვთა თეატრებისა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები და მათ გარდა, რა თქმა უნდა, ყველა სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენელი. ამ სიმპოზიუმზე განხილული იყო ბავშვთა აღზრდის პედაგოგიური და საბავშვო თეატრების სტილის, რეპერტუარისა და თამაშის მანერის საკითხები.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობის სფერო, რა თქმა უნდა, უფრო ფართოა და არ იფარგლება მარტო თბილისის ან რომელიმე ცნობილი პერიფერიული თეატრების სამოქმედო ასპარეზით. ჩვენი სურვილია დავეხმაროთ ყველა ქართულ თეატრს და შეძლებისდაგვარად ამას ვაკეთებთ კიდევ. ბევრ მათგანს ვინცვეთ გასტროლებზე, ვაწყობთ სახალხო თეატრების ფესტივალებს, ვგზავნით მათ საგასტროლოდ მოძებ რესპუბლიკებში და ასე შემდეგ. ამგვამდ ჩვენ ქუთაისში ვცნით მსახიობის სახლს, ისეთივე სახლს, როგორიცაა ა.



ხორავას სახელობის სახლი თბილისში, მაგრამ ქუთაისის მსახიობთა სახლს მიენიჭება კოტე მესხის სახელი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას. ჩვენ გვინდა, რომ ქუთაისში აღდგეს ის დიდი თეატრალური ტრადიციები, რომლებიც ამ უძველეს ქართულ ქალაქში დამკვიდრდეს ლაღო მესხიშვილმა და კოტე მარჯანიშვილმა.

ძალზე სასიხარულო ფაქტია, რომ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან იქმნება კი არა, პრაქტიკულად უკვე შეუდგა მუშაობას კამერული მუსიკალურ-დრამატული თეატრი. ეს თეატრი იარსებებს „მეგობრობის“ თეატრის ბაზაზე, ყოვლბა თავისი ორკესტრი, გუნდი და ტექნიკური პერსონალი, მსახიობებს, მხატვრებსა და კომპოზიტორებს კი მოვიწვევთ. ყოველ ახალ სპექტაკლში ითამაშებს ახალი პერსონალი. ჩვენ ამ თავისებური, უჩვეულო თეატრის შექმნა დიდ მოვლენად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ ქართულ თეატრალურ სამყაროს შეემატება კიდევ ერთი ექსპერიმენტული თეატრი, რომლის ბაზაზე ბევრი მსახიობი და ხელოვნების მუშაკი დაოსტატდება და აიმაღლებს თავის პროფესიულ დონეს, როგორც ვოკალის, ასევე დრამატული ხელოვნების დარგში.

სულ ახლახან მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა ქართული ხელოვნების განდიოხული საღამო, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობას. საღამოში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მსახიობები, ხელოვნების მუშაკები. საღამოს დიდი წარმატება ხვდა წილად, მოსკოველმა მაყურებელმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ჩვენი სახელმძოვფეჭილი მსახიობები. ამ საღამოზე მოხდა კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი. სცენაზე ავიდა შესანიშნავი მომღერა-

ლი და ქართველი ხალხის დიდი მეგობარი ი. კობლესკი, მიხალმა საქართველოს წარგზავნილნი საღამოს მონაწილეების მიმართ ბევრი გულთბილი სიტყვა თქვა.

თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის“ თეატრი დიდ განმანათლებლურ და ინტერნაციონალურ მუშაობას ეწევა. აცნობს ქართველ საზოგადოებას ყველა იმ ღირსშესანიშნავ წარმოდგენას, რაც კი ჩვენი ქვეყნის უამრავი თეატრის სცენაზე იქმნება, იწვევს სახელმძოვფეჭილ მსახიობებს, რეჟისორებს, დრამატურგებს, აძლევს მათ შესაძლებლობას გაპართონ შემოქმედებითი საღამოები, გააცნონ თავიანთი ინდივიდუალური საშემსრულებლო მანერა, განოთქან თავიანთი შეხედულებები მსახიობის ოსტატობაზე და თეატრალურ ხელოვნებაზე და უშუალო კონტაქტი დაამყარონ ქართველ მაყურებელთან. მაგრამ „მეგობრობის“ თეატრი მარტო სხვა თეატრებისა და ცალკეული მსახიობების მოწვევით არ იფარვლება, მას ჩვენი რესპუბლიკის გარეთ გაქვს ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ქართულ თეატრებში შექმნილა და ჩვენი თეატრალური ხელოვნების დიდ პრობავანდას ეწევა. მაგალითისათვის რუსთაველის თეატრის გასტროლმაც კმარა კიევში, სადაც ჩვენმა სახელმძოვფეჭილმა თეატრალურმა კოლექტივმა ერთადერთი სპექტაკლი „რინარდ III“ წაიღო.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართული საბჭოთა თეატრი აღმავლობის გზაზე დგას და დაუფლებულია თეატრალური ხელოვნების თითქმის ყველა ფორმას, ცხოვრობს ჩვენი ხალხის საზრუნავით, ფიქრით, იმედებით, მეტ მოთხოვნილებას უყენებს საკუთარ თავს, უკეთ ართმევს თავს დღევანდელ ამოცანას და ზემოთ ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.



სცენა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლიდან „რლევა“. არტისტ გოდენი — თ. ბალათური

XXVI



ს კ კ კ
ყრილობა

ქართული კინო

სკკკ XXVI ყრილობას

აკაკი დვალისვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას დიდი აღმავლობით ხედება მთელი საბჭოთა ხალხი. ამ დიად ფორუმს ხელამშვენებული ეგებება ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია — მომწიფებული, დროის სერიოზული და აქტუალური პრობლემების ძიების სულით გაელენილი, რომელსაც ძალუმს შექმნას ღრმა, ნათელი სახეები, იყოს პარტიის აქტიური თანაშემწე ხალხის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ჩვენი ხელოვნების ყველა რაზმს — მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიმედიაკაციური კინოს ისტატებს — საკუთარ აქტივში მოეპოვებათ განსხვავებული თემატიკისა და მასალის, სტილისა და ენის ნაწარმოებები.

მეათე ხუთწლედის დასასრულს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივი მაღალი შემოქმედებითი და საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა: საერთო პროდუქციის და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა 1980 წლის 1 სექტემბერს შესრულდა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გეგმა ნომენკლატურის მიხედვით — 28 ნომერისათვის. გეგმის შესრულებას ღირსებას მატებს პროდუქციის ხარისხი — მეათე ხუთწლედის ხუთ საკავშირო კინოფესტივალზე ჩვენმა ფილმებმა სამი ფესტივალის მთავარი პრიზი დაიმსახურა, საკავშირო ფესტივალ კი ის უმაღლესი ფორუმი გახლავთ, რომელზედაც ჩამდგება და ფასდება საბჭოთა კინემატოგრაფიის წლიური პროდუქცია.

ბოლო წლების საკავშირო თუ საერთაშორისო კინოფესტივალების მრავალრიცხოვანი პრიზები, დაბლოს ფილმ „ამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ დამდგმელი ჯგუფისათვის 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მინიჭება თვალნათლივ მოწმობს ქართული კინემატოგრაფიის საყოველთაო აღიარებას.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი კოლექტივი გამოძინარე ხალხის სულიერი კულტურის ტრადიციებიდან, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პრობლემებისა და გამომსახველობითი საშუალებების მუდმივი ძიების პროცესშია. მეათე ხუთწლედში გამოსული 38 ფილმიდან 23 თანამედროვე თემაზეა შექმნილი. ქართული კინოს განვითარების მაკისტრალურ ხაზს მუდამ ქმნიდა ეკრანზე თანამედროვე ადამიანის ასახვის მისწრაფება, თანამედროვეობის საჭირობოტო პრობლემებზე გამომხატურება. ამ ტრადიციის კვალდაკვალ დღევანდელი ქართული კინოს გმირები გამოირჩევიან ნებისყოფითა და გამბედაობით, პარმონიული ხასიათის მთლიანობით და სიკეთით.

ამგვარ დადებით გმირად, რომელსაც ეპოქის ყველა ნიშან-თვისება და თავისი ერის მკვეთრად გამოკვეთილი ბუნება შეუსისხლნორცვბია, გვევლინება გიორგი თორელი ფილმში „შობილიერო ჩემო მიწა“ („რააკომის მდივანი“, სცენარის ავტორები ს. ელენტი, რ. ჩხეიძე, რეჟისორი რ. ჩხეიძე). ფილმის მაღალი

იდეურ-მხატვრული დონე უფლებას გვაძლევს იგი საბჭოთა კინოს მნიშვნელოვან გამარჯვებულ მივიჩნიოთ. ფილმი ეძღვნება სკკპ და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობებს.

თანამედროვე ქალის რთულ შინაგან სამყაროს გვიხსნის ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საციხებზე“ (სცენარის ავტორები ლ. ლოლობერიძე, ზ. არსენიშვილი, ე. ახვლედიანი, რეჟისორი ლ. ლოლობერიძე). ალანის ხეობაში სარწყავი სისტემის მშენებლობის ფონზე იკვეთება თანამედროვე ხელმძღვანელის ხასიათი გ. შენგელიას ფილმში „ქვიშანი დარჩებიან“, რომელშიც ახლახანს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია „ხუთწლის მატინე“ დაიმსახურა. ამავე პრობლემის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი დაამუშავა რეჟისორმა მ. მანავაძემ ფილმში „კაშხალი მთაში“. გარემოს დაცვის აქტუალური საკითხია გაშუქებული რეჟისორ თ. გვასიას ფილმში „ომედის მწვანე კუნძული“.

ჩვეულ მანერაშია გადაღებული თ. იოსელიანის ფილმი „პასტორალი“, რომელშიც მხატვარი ანალიზებს თანამედროვე ცხოვრების მიჯნებს და ამ გზით უსულგულობისა და პრაქტიციზმის წინააღმდეგ გამოდის.

ქართული კინო განაგრძობს რევოლუციის გმირული ეპოქის ასახვის ტრადიციას. მამაც ადამიანს, სამოქალაქო ომის გმირს ვასილ კიკეიძეს უძღვნეს ფილმი „ბრმა ტყვია“, რეჟისორებმა გ. კალაგოზიშვილმა და გ. გაბიკიორამ.

ხალხისათვის ვალდებული მსხვერპლის მნიშვნელობაზე, ეროვნული თვითშეგნების ქეშმარიტ გრძნობაზე მოგითხრობს რეჟისორ ა. რეხვიაშვილის სურათი „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, რომელმაც 1979 წლის მანჭვიის (გვრ) კინოფესტივალზე ოთხი პრიზი მოიპოვა.

ქართველი ხალხის გმირულ ისტორიულ წარსულს, სამშობლოსათვის თავდადებულ შვილებს პოეტურად უმღერის მანავაძის ფილმი „ამაღლება“.

მოსკოვის ერთ-ერთ იატაკქვეშა სტამბაზე და მამაც, საზრიან ბოლშევიკ-იატაკქვეშელთა თავგანწირულ ბრძოლაზე გვიამბობს ქართული კინოს ერთ-ერთი ვეტერანი ნ. სანიშვილის ფილმი „სახლი ლესიაზე“ (სცენარის ავტორი გ. მდვიანი). ეს ფილმი ეძღვნება 1905 წლის რევოლუციის 75-ე წლისთავს.

დიდი სამამულო ომის თემა აქლერდა ახალგაზრდა რეჟისორის ა. ქვციტის სურათში „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“, რომელიც მიეძღ-

ვნა აფხაზი ხალხის გმირ შვილს ვლადიმერ ხარაზიას.

ეროვნული კლასიკის მაკოცხლებელ წყაროსთან კავშირის მოთხოვნაზე, მისთვის დამახასიათებელი დემოკრატიული სულისა და ჰუმანიზმის მაყურებელმდე მიტანის სურვილი გამოიკვეთა ბოლო წლების ეკრანზეციებში. აქ უნდა აღინიშნოს თ. აბულაძის კინორამა „ნატურის ხე“, რომელიც შეიქმნა გ. ლუონიძის მოთხრობების მიხედვით და როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთული მაყურებლის დიდი აღიარება დაიმსახურა. თ. აბულაძის ეს ნაწარმოები გამოირჩევა მნიშვნელოვანი მორალურ-ეთიკური პრიზილემატიკით, თხრობის, ენისა და სტილის საინტერესო მიხედვით. ფილმი აღინიშნა მთავარი პრიზით რიგის საკავშირო კინოფესტივალზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით, დონატელის (იტალია) პრემიით. ეს უკანასკნელი მას მიენიჭა, როგორც 1979 წლის საუკეთესო ფილმი.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დევით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალმა“ თანამედროვე წაითხვა ჰჰოვა რეჟისორ ელდარ შენგელიას ამავე სახელწოდების ფილმი. ეკრანზეციის მაღალმა კულტურამ, კლასიკური ნაწარმოების ღრმა და თანამედროვე იდეურ-მხატვრულმა გადაწყვეტამ ამ ფილმის უდევო წარმატება განაპირობა. „სამანიშვილის დედინაცვალმა“ ერეენის XI საკავშირო კინოფესტივალის მთავარი პრიზი მოიპოვა.

დ. კლდიაშვილის კიდევ ერთი ნაწარმოები — „უბედურება“ გადაიღო რეჟისორმა გ. კანდელაკმა. მან ფილმში გვიჩვენა რევოლუციამდელი სოფლის, უბრალო ადამიანების წინააღმდეგობრივი სახე. ფილმი საინტერესო რეჟისორული ხედვით არის აღმუქვლილი.

ქართველ კინემატოგრაფისტთა უფროსი თაობის წარმომადგენელმა, ჩვენი კინოხელოვნების ერთ-ერთმა უძველესებმა ს. დოლოძემ გადაიღო ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი!“

საბავშვო და მოზარდთა თემატიკაზე შექმნილი ფილმებიდან აღსანიშნავია რეჟისორ გ. მგელაძის ფილმი „ახილი“, რომელიც ნ. დუმბაძის მოთხრობების ეკრანზეციას წარმოადგენს.

ბოლო წლების ქართული კინემატოგრაფი მრავალფეროვანდ ევითარება როგორც პრობლემური, ასევე ჟანრობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით სინტერესოდ გამოიკვეთა კომედიური ჟანრი.

მეოღმა რიგმა ქართულმა კინოკომედიებ-



კლარი ფილმიდან „სინემა“
წყობა — ქ. ქობულაია,
სოსიკო — მ. გინოზია

კლარი ფილმიდან „დათა თეთაშშია“. და-
თა თეთაშშია — ო. მელენტიუტუცესი



კლარი ფილმიდან „ბრმა ტყეაი“. ვასილ
აკეიძე — ზ. ყიფშიძე



მა ფართო აღიარება მოიპოვა. მათ შორის უნ-
და აღინიშნოს ირ. კვიციანიის ფილმი „ქობულა-
ქი ანარა“, რომელიც 1977 წელს კომედიური
ფილმების გაბრვოს (ბულგარეთი) ფესტი-
ვალზე მთავარი პრიზით დაჯილდოვდა, ხოლო
1978 წელს ლოკარნოს საერთაშორისო კინო-
ფესტივალზე ფილმის პრემია მოიპოვა. რ.
ესაძის კომედია „ერთი ნახვით შეყვარება“
დაჯილდოვდა ლაურეატის წოდებით ბელ-
გრადში გამართულ ტრადიციულ კინოფეს-
ტივალზე „ფესტი — 79“. ამ კომედიებში სა-
ინტერესოდ ერყვის ერთმანეთს ტრადიცი-
ული კულტურისა და ქალაქური ფოლკლორის
ელემენტები. იუმორისტული მიკრონოველ-
ებისაგან შედგება რეჟისორ ნანა მჭედლიძის
ფილმები „გასეირნება თბილისში“ და „იმი-
რული ესკიზები“. უახლოეს მომავალში გე-
რანზე გამოვა კიდევ ერთი ქართული კინო-
კომედია — „თბილისი-პარიზი და უკან“, რო-
მლის დამდგმელი რეჟისორია ცნობილი კინო-
მსახიობი ლეილა აბაშიძე.

მათე ხუთწლედის საყურადღებო მოვლენათაგან აღსანიშნავია კინოსტუდია „ქართუ-
ლი ფილმის“ კინომსახიობის თეატრის დაარ-
სება რესპუბლიკის სახალხო არტისტის მიხე-
ილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით. თეატრში
ოსტატებიან ახალბედა კინომსახიობები,
რომლებიც უკვე აქტიურად ჩაებნენ კინოსტუდიის
შემოქმედებით ცხოვრებაში. კოლექტივმა უკვე
რამდენიმე საყურადღებო საპეტაკო შექმნა: ლ. ჰელიძის „ესმერალდა“,
მ. მრველიშვილის „მუშაინის წამება“, ა. სუ-
ხოვო-კობილიძის „საქმე“, ლ. თაბუკაშვილის
„დარბეზს მიღმა ვაზაფხულია“, მ. შატროვის
„ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“..

1978 წელს შექმნილ შემოქმედებით გაერ-
თიანება „დებიუტში“ ძალგზს ცდიან საქარ-
თელის თეატრალური ინსტიტუტის კინოსა-
რეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებუ-
ლები. დამწყებმა რეჟისორებმა დიდი ნიჭიერ-
ება და მაღალი პროფესიული ოსტატობა
გამოამჟღავნეს ფილმებში „ბელურების გადა-
ფრენა“ (სკენარის ავტორი და რეჟისორი თ.
ბაბლუანი), „ბაკურბეგელი ხევსური“ (გ. ჩო-
ხელი), „მოგზაურობა სობოში“ (ნ. გორჯა-
ძე), „რას სტვენს ბულბული“ (გ. პეტრიაშვი-
ლი) და სხვ.

თანდათან იხევეება მულტიპლიკატორების
ოსტატობა. უკანასკნელ ხანს საგრანოლად
გაიზარდა ქართული ნახატი და თოჯინური
ფილმების მხატვრული დონე.

მნიშვნელოვანი წინსვლაა ამჟამინევი ქა-
რთულ ენაზე საპკოთა ფილმების დუბლი-
რების საქმეში. ბოლო წლებში კინოსტუდიის
სადუბლიაგო გაერთიანებამ, რომელსაც ცნო-
ბილი ქართული რეჟისორი ვახტანგ ტაბლია-
შვილი ჩაუდგა სათავეში, თვისობრივად გაა-

უმოგესა თარგმანისა და გახმოვანების ღონე. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სახტელერადიოს დაკვეთით იქმნება მოკლემეტრაჟიანი და სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმები. ჩვენი ქვეყნის ცისფერ ეკრანებზე დიდი წარმატებით გავიდა მრავალსერიანი მხატვრული ტელეფილმი „დათა თუთაშია“, რომელიც ქ. ამირეჯიბის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შექმნეს რეჟისორებმა გ. ლორთქიფანიძემ და ვ. გაბესკირიამ.

ქართველი რეჟისორები აგრძელებენ რუსული ლიტერატურული კლასიკის ეკრანიზაციის ტრადიციას, რომელსაც კერ კიდევ 20-იან წლებში დაედო სათავე. რეჟისორმა ვ. კალაშნიკოვმა დადგა სატელევიზიო ფილმი „კავკასიური ამბავი“, ლევ ტოლსტოის „ყაზახების“ მიხედვით.

სახტელერადიოს დაკვეთით შეიქმნა სამსერიანი ფილმები: „მოზანი“ (რეჟ. ვ. ზოჯავა), „ქორწინება იმერულად“ (რეჟ. ნ. ნენოვა, გ. წულაია).

ქართული კინოსადმი მზარდმა ინტერესმა ხელი შეუწყო მკიდრო კონტაქტების დამყარების საბჭოთა და უცხოელ კინემატოგრაფისტებს შორის. კერძოდ, ბოლო წლებში ქართული ფილმების რეტროსპექტულმა ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა ლონდონში, ბერლინში, ნიუ-იორკში...

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის პროდუქცია უკვე კარგა ხანია სარგებლობს დასაბუთებული ავტორიტეტით ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის სამეცნიერო პოპულარული ფილმები, რომლებიც საკავშირო მსაჯურებისთვისაა განკუთვნილი. ქართველ დოკუმენტალისტთა მასშტაბურ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა რეჟისორ ვ. მიქელაძის ფილმები „კომუნისტები წინ არიან“ და „დიდი გზის ეტაპები“, რომლებიც 1980 წლის საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიით აღინიშნა. ამ ფილმებში იშლება ჩვენი ქვეყნისა და მისი შესანიშნავი ადამიანების სახელოვანი ბიოგრაფიის ფურცლები. ეს გახლავთ დიდი ექსპრესიით, მკვეთრი რიტმით შესრულებული კინოფილმები.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში შეიქმნა საინტერესო სრულმეტრაჟიანი ფილმი „მცირე მიწა“ (სცენარის ავტორი დ. სტურუა, რეჟისორი თ. ნოზაძე) ლ. ი. ბრეჯენევის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით.

რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა რეჟისორ რ. თაბუკაშვილის კინოდოკუმენტური ფილმი „იტალიაში“, „ქვალი ნათელი“ — საზოგადო მოღვაწე მ. თამარაშვილზე და „ალბური ვარ-



კადრი ფილმიდან „ნატვის ხე“. ფუფულა — ს. ვიარუელი



კადრი ფილმიდან „სახლი ლსენაიზე“

კადრი ფილმიდან „უბედურება“. ილია — ი. ერემეიშვილი, მაია — ნ. ხელძვე





კადრი ფილმიდან „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, ინალი — დ. ხაზშილაძე
ოთაში — ე. წულაძე

სკვლევი“ — მეორე მსოფლიო ომის გმირ ფორე მისულშიშვილზე. კინოდილოგია წარდგენილია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე.

აღმინებისა და მათ პროფესიზაცია გადაღებული რეჟისორ ლ. ბაქრაძის კინოპორტრეტები „ციტ გატაცებული“ (1977 წლის XII საკავშირო კინოფესტივალის I პრემია) და „გული“ (1980 წლის XIII საკავშირო კინოფესტივალის I პრემია).

ბოტურთი დოკუმენტური ნარკვევების ტრადიციებს აგრძელებს რეჟისორ გ. ჭუბაბრაის ფილმები. ამავე რეჟისორმა 1980 წელს დაასრულა სრულმეტრაჟიანი ფილმი „საქართველოვ, წინ და მალა“, რომელიც საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავს ეძღვნება.

მეათე ხუთწლეულში სტუდიაში შექმნილი ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია დოკუმენტური

ფილმები: „სკოლა მთაში“ (რეჟ. თ. დოლოჯიძე), „ნიღბებს მიღმა“ (თ. ბაქრაძე), „სულხან ცინკაძე“ (ო. გურგენიძე), „ირაკლი აბაშიძე“ (გ. მონაგარდიშვილი), სამეცნიერო-პოპულარული ფილმები: „მთა მთას ესაუბრება“ (ს. სტრახოვი), „გასროლა რიკოშეტი“ (გ. ყვანია), „ბურთი საუკუნეთა მიღმიდან“ (ჯ. გურგენიძე), „სარკმელი სამყაროში“ (კ. კერესელიძე) და სხვ.

მეათე ხუთწლეულში დიდი წარმატებით აღინიშნა საქართველოს კინოქსელის მუშაობა. ძირითადად, სწორედ კინოფიკაციის მუშაობა მეოხებით საქართველოს სსრ სახკინო ორგზის დაცილოვდა სსრკ სახკინოსა და კულტურის მუშაობა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რესპუბლიკის კინოქსელის მიერ გეგმიური დაჯილდების შესრულებისათვის. მეათე ხუთწლეულის მანძილზე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აიგო შეიდი და კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა დაახლოებით ოცდაათი კინოთეატრს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფილმებზე მაყურებელთა საშუალო დასწრების მაჩვენებელი, გაუმჯობესდა მაყურებლის მომსახურების კულტურა და ა. შ.

1980 წლის 1 ოქტომბერს კინოქსელმა მეათე ხუთწლიანი ვეგმა 100,5% -ით შეასრულა.

განსაზღვრავს რა თავის ამოცანებს მეთერთმეტე ხუთწლეულში, ქართველი საბჭოთა კინემატოგრაფისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მაყურებლის გემოვნების, მოთხოვნებისა და სურვილების შესწავლას, რათა უფრო სრულყოფილად მიაწოდონ მაყურებელს კინოხელოვნება, როგორც შემოქმედებითი, ასევე კინოქსელისა და კინოფიკაციის მუშაობით.

ახლო მომავლის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად კვლავ რჩება ქართული ფილმების საშუალო იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების, საბავშვო თემატიკისა და ბავშვებისათვის განკუთვნილი ნაწარმოებების შექმნის, ქართულ ფილმებზე მაყურებელთა დასწრების ზრდის, ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ქართველი კინემატოგრაფისტები ახალი ძალითა და მხატვრული შემართებით იღვწიან სულ უფრო მაღალი მიზნების მისაღწევად, მთელ ტალანტსა და უნარს ამარჯუნ ქართული ეროვნული კინოხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეს. მათი მიზანია მეტერთმეტე ხუთწლეულში განამტკიცონ და გააორკეცონ მეათე ხუთწლეულში მოპოვებული წარმატებები.

კადრი ფილმიდან „ქალაქი ანარა“
ვარლამი — რ. ესაძე





XXVI



ს ს ს ს

ჩრდილოა

რეალობაც, იდეალიც!

გურამ გვერდწითელი

დიდი იყო მოლოდინი ამ ფილმისა. დიდი და მღე-
ლვარე.

ახლა, როცა ეს-ესაა დამთავრდა ფილმზე მუშა-
ობა და პირველმა მაყურებელმაც ნახა იგი, ახლავე
(თუმცა ფილმის ეკრანული ცხოვრება მხოლოდ ინ-
ყება) შეიძლება დაბეჯითებით და სიხარულით, სი-
ამაყითაც ითქვას, რომ მოლოდინი სავსებით გამა-
რთლდა. ჭეშმარიტად მშვენიერი და დიდად მნიშ-
ვნელოვანი, ღრმად დამაფიქრებელი, გონების და
გრძნობების ამაფორიაქებელი, წუხილითა და, მას-
თან ერთად, რეალური იმედებით აღსავსე, ნათელი
და, რაც მთავარია, მაღალი მხატვრული ღირსებე-
ბის მქონე კინონაწარმოები მივიღეთ. იგი კიდევ
დიდხანს დარჩება ცხოველყოფილი იდეების შთა-
გონების წყაროდ მრავალი მილიონი მაყურებლი-
სათვის, დარჩება ისტორიას ჩვენი დროის მართლა
გზნებით სავსე მხატვრულ კინომატიანედ, ახალ ნი-
მუშს და სტიმულს მისცემს ეროვნულ, საერთოდაც,
საბჭოთა კინოხელოვნებას მასშტაბური, ეპიური, თა-
ნამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებების შესაქმნე-
ლად.

ფილმი „მშობლიური ჩემო მიწა“ თანამედრო-
ვეობის მრავალ პრობლემას წამოჭრის, მწვავესაც
და სასიხარულოსაც, დასაფიქრებელსაც და უყოყ-
მანოდ გასაზიარებელსაც, ჩვენი გრძნობების მრავ-
ალ და უმნიშვნელოვანეს სიმებს ეხმიანება, ერო-
ვნულსაც და ინტერნაციონალურსაც, მხატვრული აზ-

როვნებით, გამომსახველობითი საშუალებებითაც
მდიდარი და ნოვატორულია. ამიტომ დიდი მისწო-
ბა არ სჭირდება იმის განცხადებას, რომ ფილმს სე-
რიოზული გამოძახილი ექნება არა მარტო მაყურე-
ბელთა შორის, არამედ კინოკრიტიკოსთა და კინო-
მკოდნეთა მხრივაც. ფილმის მიუღი სიგრძე-სიგა-
ნით თუ სიღრმით: გააზრებას, შესწავლას, ანალიზს,
მისი მნიშვნელობის ყოველმხრივ და სრულად ჩა-
წვდომას და წარმოჩენას, დროის გარდა, იქნებ
მკვლევართა ერთობლივი გარჯაც დასჭირდეს, რო-
ცა ცალკეულ პრობლემათა თუ მხატვრულ ასპექტთა
ჩაძიებული შესწავლისადმი მიძღვნილი წერილების
ჯამი გაგვიხსნის იდეურ-ესთეტიკური თვალსაზრი-
სით ამ მრავალშრიან კინონაწარმოებს. ეს წერილი
მხოლოდ ცოცხალი შთაბეჭდილების გამოხატულ-
ებაა, პირველი და საერთო შეფასების ცდაა. ამ-
დენად ნურც მკითხველები და ნურც ფილმის ავტო-
რები, თუ მთლიანად შემქმნელი კოლექტივი, ნუ და-
გვემდურებინან, რაკი აქ, ამ წერილში ბევრ საკითხ-
ზე, რასაც აღუძრავს მნახველს რეჟისორ რეზო ჩხე-
იძის ახალი ნამუშევარი, ვერ იპოვნიან გამოძახილს.

რამ განაპირობა ფილმის „მშობლიური ჩემო მი-
წა“ ესოდენ დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა,
რითი დაიპყრო ასე ერთბაშად ჩვენი გულეები, რად
მიიზიდა ჩვენი ყურადღება. ამაზე მოკლე და ამომ-
წურავი პასუხი ალბათ ერთი და ერთსულოვანი იქ-
ნება: მრავალმხრივი მაგრამ ეს მართალი პასუხი
არავის დაგვაპყოფილებს, არც მოქმელს და არც
გამგონს. ბუნებრივია ჩვენი სურვილი უფრო კონ-

„მშობლიური ჩემო მიწა“ („არკიომის მდივანი“) ქართული ფილმი
1980 წ.

კრეტული პასუხის მოძებნისა და აქ იქნებ კიდევ გაიყოს აზრი, ზოგმა ერთ რამეს ან ერთ რიგს მიანიჭოს მთავარი და განმსაზღვრელი როლი, ზოგმა — მეორეს, სხვამ კიდევ — სხვას.

მე თუ მკითხავენ, ღრმადაც ვარ ამაში დარწმუნებული, ფილმის გამარჯვების, მაყურებელზე ზემოქმედების მთავარი ძალა მისი გმირია. „მშობლიური ჩემო მიწავ“ აშკარად გამოხატული მონოდრამაა, სადაც ყველა და ყველაფერი მთავარი გმირის ირგვლივია თავმოყრილი, მასთან დაკავშირებით და მისი თვალითაა დანახული. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი სირთულითა და სიმწვავეთაა წარმოსახული (ამაში მართო ბოროტი და კეთილი ძალების დღევანდელი დაპირისპირება კი არ იგულისხმება, არამედ რეალური ცხოვრების მიერ წამოჭრილი სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი თუ სხვა ხასიათის პრობლემების სიუჟე და ერთობლიობა), მაინც ყოველი დიდი თუ მცირე მასშტაბის მოვლენა გმირის თვალთხედვებაში გარდატეხილი, ასეა მონოდრამული და შეფასებული, გმირია ფილმის იდეური და ზნეობრივი საყრდენების გამოხატველი. შემთხვევითი არ არის თუნდაც ის ფაქტი, რომ ტიტრებში მთავარი გმირი გიორგი თორელი ცალკე და გამორჩეულად არის მოხსენიებული, მიუხედავად იმისა, რომ ფილმში არა ერთი ღრმად დასამახსოვრებელი მხატვრული სახვა შექმნილი და გმირთა ერთი ნეცა არა მარტო დიდხანს არის ეკრანზე ჩვენს თვალწინ, არამედ მნიშვნელოვან მხატვრულ ფუნქციასაც ასრულებს.

დაბს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცხოვრება ფილმში უადრესად ფართოდ არის დანახული, რომ ხალხის ყოფა აქ მრავალმხრივ და ღრმად არის გახსნილი და ამიტომ იგი კინოეპოპეადაც წარმო-

გვიდგება, მაინც „მშობლიური ჩემო მიწავ“ მონოდრამაა, ერთი გმირის კინონაწარმოებაა და ღრუ ჩხვირემ გიორგი თორელით კიდევ ერთი მონოდრამული კინოსახე შექმნა.

რეზო ჩხეიძის ახალ ფილმში ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. თუ გავიხსენებთ მის წინა ნაწოდრამებს „ჯარისკაცის მამას“, „ნერგებს“ და რასაც ახლა „მშობლიური ჩემო მიწავ“ მიემატა, სასვებით მართებულად შეგვეძლება ვირწმუნოთ, რომ ამგვარი მხატვრული აზროვნება რეჟისორისათვის ორგანულია. ამ ფილმებში განსაუხებთ თვალსაჩინო გახდა რეზო ჩხეიძის უპირატესი ყურადღება კინოგმირისადმი. საკუთარი პოზიციის, სატიქმლის გასამტკიცებლად იგი წნორედ აშკარად გამოკვეთილ, დასრულებულ, მარმონიული სულიერი საწყაროს, ზნეობრივად სრულქმნილ გმირს ირჩევს და ძირითად ყურადღებას მისი მაღალმხატვრული სახის შექმნას აძლევს. დიდი წარმატებითაც აკეთებს ამას.

შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ „ჯარისკაცის მამის“ და „ნერგების“ გმირებმა მაყურებელსაც შეაყვარეს თავი და მაღალი ჯილდოებიც დაიმსახურეს, ერთმა — ლენინური პრემია, მეორემ კი — საკავშირო კინოფესტივალის მთავარი პრიზი. აქ ერთი რამ უნდა გავამტკიცო გულმსტიკვილით. ყველასათვის ცნობილია სერგო ზაქარიაძის და რამაზ ჩხიკვაძის საოცარი აქტიორული ნიჭიერება და გარდასახვის უნარი, ნათელია მათი დამსახურებაც რეზო ჩხეიძის ფილმებში განსახიერებელი გმირების სახეების შექმნაშიც, ამდენად მათთვის პრემიების მიჩნება სასვებით კანონზომიერიც იყო და ყველასათვის სახიზარულიც. მაგრამ ჩემთვის, და ალბათ სხვებისთვისაც, ისიც უდავო და ცხადია, რომ მათი გმირების სახეების გამაზარებელი და შექმნილი ჯერ სწორედ რეჟისორი იყო და სამართიანობა მოითხოვდა მისი დამსახურების აღიარებაც ასევე ყოფილიყო გამოხატული. ამაში კიდევ ერთხელ დავგარწმუნა რეზო ჩხეიძის ახალმა ფილმმა „მშობლიური ჩემო მიწავ“, სადაც კიდევ ერთი და უადრესად მაიშვნელოვანი გმირის სახვა შექმნილი. აქ გიორგი თორელის სახე მართლაც შესანიშნავად, დიდი სიღრმით და სულიერი თრთოლვით გაგვიხსნა თემურ ჩხეიძემ, მაგრამ ალბათ არ შევეცდები თუ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაშიც მსახიობი მხოლოდ თანავატორია რეჟისორისა, იგი განმსახიერებელია რეჟისორის ჩანაფიქრისა, მისეული გმირის იდეალისა. ასე რომ, „ჯარისკაცის მამაშიც“, „ნერგებშიც“, „მშობლიური ჩემო მიწაშიც“ რეჟისორის შემოქმედებით ბრწყინვალედაც და მხატვრული აზროვნების სიღრმე ფილმის მთლიანობაშიც აღიქმება და გმირის გამოჭერწვის ოსტატობაშიც.

მშვიითი და ვგონებ ჯერ სულაც ერთადერთი შემთხვევაა, როცა ეკრანულ გმირს მონოდრამული სკულპტურული ფეგლი დაედგა. ასე შეთავონა რეზო ჩხეიძისა და სერგო ზაქარიაძის ჯარისკაცის მამამ, გიორგი მახარაშვილმა ჩვენი სასიქადულო მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი თავის შემოქმედება-

23 თებერვალი



საბჭოთა

არმიისა და

სამხედრო —

საგზაო

ფლტის

დღეა!

ში კინოგმირის სახით გამოეხატა სამამულო ომის გმირთა უკვდავების იდეა. არავის გაუკვირვებია ეს; რადგან საბჭოთა ადამიანის, ჯარისკაცის გაუტყუებელი, შეუდრეკელი სული, სამშობლოსათვის თავდადების, გმირული თავგანწირვის შინაგანი წაღილი, მისი ჰუმანური ბუნება ამ ქართველმა გლეხკაცმა გიორგი მახარაშვილმა მთელ ქვეყნურებს ამცნო, როცა ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ეკრანები.

ახლა ქართველი კაცის, საბჭოთა მოქალაქის, კომუნისტის გიორგი თორღის მონუმენტური სახე შექმნა რეზო ჩხეიძემ ახალ ფილმში და ამით იკვლევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი შემოქმედება ველავ თავს დასტრიალებს საბჭოთა ხელოვნების გმირის — შთაგონებული, მაღალი იდეების და ზნეობის გამომხატველი, ღრმა მოქალაქობრივი, კომუნისტური და ეროვნული ვალის გრძნობით აღსავსე გმირის სახის შექმნის დიდად მნიშვნელოვან და კეთილშობილურ ამოცანას.

იმისათვის, რომ ნათლად გავიზროთ, თუ რამ განაპირობა საერთოდ საბჭოთა მწერლობასა და ხელოვნებაში, კერძოდ კი რეზო ჩხეიძის შემოქმედებაში ამგვარი გმირებისადმი განსაკუთრებული ყურადღება და მათი მნიშვნელობა ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე, მოკლე ექსკურსი დაგვჭირდება არცთუ შორეულ წარსულში.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის და სამოციანი წლების მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნების განვითარებისათვის, მარტოვე მეტად დიდია. იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი მთავარი ნიშანი — განახლებისადმი შინაგანი ლტოლვა, თვითკრიტიკული ანალიზის მოთხოვნილება, საკუთარი კონსერვატიზმის დაძლივის წაღილი — თვისობრივად ახალი განვითარების სანინდარი გახდა. განახლების ტალღამ ლიტერატურასა და ხელოვნებასაც შეაცვლევინა გეზი, ახალი ორიენტაცია დაუსახა მას, ახალი მიმართულება მოსცა მის დინებას, ახალი ძალით აავსო იგი. გვახსოვს, ამან რა მშვენიერი ნაყოფი გამოიღო საბჭოთა ხელოვნებასა და მწერლობაში, კერძოდ, ქართულშიც.

მაშინ განახლებისათვის ბრძოლის მთავარ ასპარეზად გმირის წარმოსახვასთან დაკავშირებული პოზიციები იქცა. რეკლუციური რომანტიკით მოსილ გმირებს 20-იან და ნაწილობრივ 30-იან წლებში დამსახურებულად დაეთმოთ პირველობა, რადგან უშუალოდ ცხოვრებიდან იყვნენ გადმოსული მხატვრულ ნაწარმოებებში და რეკლუციისათვის თავგანწირულ თუ ახალი საზოგადოების შთაგონებით მშენებელ ადამიანებს განასახიერებდნენ.

როგორც ეს ხშირად ხდება, ამ ჯანსაღი ტენდენციის თანდათანობითმა გაზვიადებამ და გაყალბებამ „გმირმანიის“ საშორეოა შექმნა, რაც უკვე იმავე 30-იან წლებში შეიმჩნეოდა და რამაც განსაკუთრებით მახინჯი ფორმები ომისშემდგომ მიიღო. სწორედ ამ დროს დამკვიდრდა „ძლიერი გმირის“ კულტი, როცა მწერლები, ხელოვანი რეალურ გარე-

მოში კი არ ეძებდნენ თავიანთი ნაწარმოებების შესრისაყების პრობლემებს, არამედ მხოლოდ მესტილიად საკუთარი ფანტაზიით თხზავდნენ გმირებს და ნაკლებ უწევდნენ ანგარიშს იმას, რასაც ცხოვრების სიმართლე ჰქვია. ამან გამოიწვია ყოველმხრივი შემეშლი, თუმცა მანვეკერნი სიღამაზით აღებჭდილი, ფუყვი და უსიციოცხლო გმირების მომრალეობა, რომლებიც ავტორების ნება-სურვილით იოლად აღწევდნენ ყველაფერს, გარდა ერთისა და მთავარისა — მაყურებლების თუ მკითხველების გულდობისა.

ამ ტენდენციის უარყოფითა და დაპირისპირებით წარიმართა 50-60-იანი წლები და ეს საესებით ლოკიკური, აუცილებელი რეაქცია იყო, რითაც ხელოვნებას თვით უნდა დაეღწია მომაკვდინებელი სენისაგან — სიყალბისაგან. ეს ახალი ტალღა „ანტიგმირის“ სახელით მოინთხა. მაგრამ ეს არ არის ზუსტად და მართებული განსაზღვრა. არსებითად „ანტიგმირი“ სწორედ ის ფსევდორომანტიკით დაღდაძმული გმირი იყო, რომელიც საზოგადოებას, მასებს, საკუთარი შინაგანი სიძლიერით და სიმშვენიერით კი არ უსწრებდა წინ, რომ გზა გაეკვლია მათთვის, არამედ მხოლოდ ავტორის მიერ იყო მათზე წინ დაყენებული, როგორც ამას ტყეისაგან ჩამოსული ქონდრისკაცებით თამაშის დროს აკეთებენ ხოლმე იოლად. ახალი გმირი კი სწორედ რეალური ადამიანების მხატვრულად განზოგადებულ სახეს წარმოადგენდა, რომელიც ცხოვრების სიმართლით იყო სასვე და უტყუარად გამოხატავდა თანამედროვეთა აზრს და გრძნობას, წაღილსა და ყოფას.

ფუყვი და მანვეკერმა გმირებმა საესებით კანონზომიერად გამოიწვია ხელოვნების და მწერლობის უკურეაქცია. მათ მთელი თავიკი ყურადღება ცოცხალ ადამიანს მიაპყრეს, რომელიც გარეგნულად არაფრით არ იყო გამოირჩეული. სწორედ ამან მოამთლინა ზოგიერთებს იგი „ანტიგმირის“ ხელოვნებად და ლიტერატურად. მაგრამ აბა გადავაჯლოთ თვლი იმ დროის მხატვრულ ნაწარმოებებს, რა ხალსი მშვენიერებით, დიდი და ადამიანური სიკეთით, სიანთებით სასვე გმირები გაიფლებებ ჩვენს წინ. სწორედ მათი მეშვეობით შექმინა მხატვრულ სამყაროს საოცარი ზეციობრივი სისუფთავი, სისვეტავი, რომელიც თავად ხალსის ცხოვრებიდან იყო გადმოსული და მევე ისევე ხალსსვე უბრუნდებოდა როგორც მხატვრული ნიმუში ჭეშმარიტი ჰუმანრობისა, ადამიანის კეთილი ბუნებისა, მისი ცხოვრების აზრისა და მონღებისა.

ამგვარი ხედვის გამოხატულება იყო საბჭოთა ფილმები „მიფრინავენ წერობი“, „ბალადა ჯარისკაცზე“, „სერგოჯი“, „ადამიანის ბედი“ და სხვა. გავიხსენოთ ანგვარი გმირების პირველი სახები ქართულ მწერლობაში — ედიშერ ყიფიანის პოპოიზე დამკვრელი, თამაზ ჭილაძის ცხოვრების შევადღეს მიღწეული მძღლო, არჩილ სულაკაურის მთევეზე, ნოღად დუმბაძის შესანიშნავი ოთხეული, რევაზ ჯაფარიძის ჯარისკაცის ქერივი, რევაზ ინანიშვილის სოფლები, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რკი-

ნეგზის სადგურზე ატუზული პატარა გოგონა და მათ მოყოლილი კიდევ ბევრი სხვა გმირი ამავე თუ სხვა მწერლების შემოქმედებაში და ნათელი გახდება, რომ უამათოდ ქართული ლიტერატურა ძალზე ღარიბი და ცალმხრივი იქნებოდა.

ყოველი ტერმინი მიხაბოვებითი, პირობითია. ალბათ ისიც, რომელიც „პატარა“ ან „უბრალო ადამიანის“ ასპარეზად მიიჩნევა იმ ხანის ხელოვნებასა და მწერლობას. მაგრამ, ეს ტერმინები სხვაზე უფრო მეტად გამოხატავდნენ იმ დროის მხატვრულ სულისკვეთებას, ახალი ტალღის არსს.

აქ კი სამართლიანობა მოითხოვს საცხებიტ ვარკვევით ითქვას, რომ ამ სიახლის პიონერები, გზის გამკვალავები ქართულ მწერლობაშიც და ხელოვნებაშიც (ვგონებ უფრო ფართო მასშტაბითაც) სწორედ რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე აღმოჩნდნენ თავიანთი ერთობლივი ფილმით „მაგდანას ლურჯათი“. უბრალო ადამიანების, გამოუჩენელი, არაფრით გამორჩეული გმირების სულის სიღამაზის, კეთილშობილი ბუნების დიდებულ საგალობლად აფლერდა ეკრანზე დანაგრული, უმწეო ქვრივი გლეხი ქალის და მისი გოგო-ბიჭის გულისაჩაყუებელი ისტორია, რამაც ყველა მნახველში ჰჰოვა მხურვალე თანაგრძნობა, ფილმს კი ჭეშმარიტი ჰუმანურობისა და მხატვრული სრულყოფილებისათვის კანის საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი არგუნა.

ასე რომ, სწორედ რეზო ჩხეიძე იდგა იმ სიახლის სათავეში, რამაც ასეთი კეთილი ნაყოფი გამოი-

ლო და რასაც მოჰყვა შემდეგ ქართულ კინოში იმავე რეზო ჩხეიძის „ჩვენი ეზო“, თენგიზ აბულაძის „სხვისი შვილები“, ოთარ იოსელიანის, ელდარ შენგელაიას, მერაბ კოკოჩაშვილის, ლანა ლოლობერიძის, გიორგი შენგელაიას და სხვების მშვენიერი ფილმები უბრალო ადამიანების სულიერ სიმდიერესა და სიღამაზეზე.

თუმცა, შემდეგ ამას ისიც მოჰყვა, რომ ხელოვნებას და მწერლობას კვლავ დაეტყო ცალმხრივობის ნიშნები. მისი გმირები ხალხის წიაღიდან კი იყვნენ გამოსულნი და ჩვენც საშუალება მოგვეცა დაგვენახა მათი დიდი გული და წარუვალი ადამიანური ღირსებები. მაგრამ იმავე ხალხში არიან ისინიც, ვინც არა მარტო განასახიერებენ ადამიანურ სიკეთეს და მშვენიერებას, არამედ მათი დამკვიდრებისათვის, მათი ბოროტებაზე და სიმახინჯეზე გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლიც არიან. ამგვარი გმირების ხვედრითი წილი ძალზე შემცირდა. შემცირდა იმის გამოც, რომ დიდი საქმეებისათვის მონოდებული გმირების სახეები ადრე შეიღახნენ ეგრეთწოდებულ „შემღამაზებულთა“ შემოქმედებაში და ამისი შიში ინერციით ვერ კიდევ მოგვკვდა. და კიდევ, იმის გამოც შემცირდა, რომ მომრავლდნენ ეპიგონები.

ჩვეულებისამებრ, ახალ და ჯანსაღ ტენდენციას ბევრი აჰყვა და სიცოცხლით სასვე მხატვრულ ნაწარმოებებსაც ბევრი ასლი გაუჩნდა. განუკითხაობის გამო ნელ-ნელა ერთმანეთში აირია ნამდვილად ძვირფასი და უბრალოდ ბრჭყვიალა თელვები. ეპიგონთა წყალობით უსასუელოდ მომრავლდა ერთი



კადრი ფილმიდან „გიორგი თორელი“ — თ. ჩხეიძე
კადრი ფილმიდან „პატარა გიორგი“ — ი. ხითაიშვილი, ფარსმან თორელი — ზ. ჩუბინიშვილი.
კადრი ფილმიდან „ბაგრატი“ — ზ. დუკუნოსაძე, გიორგი თორელი — თ. ჩხეიძე

შეხედვით თითქოს ცხოვრებიდან მოსული, მაგრამ სინამდვილეში აშკარად რემინისცენციებით შეკონინებული სახეები გმირებისა. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ერთბაშად ძნელი ამოსაცნობი ხდება ასლი, იმდენად ოსტატურად არის იგი შესრულებული. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს სოფლის ცხოვრებაზე შექმნილ ნაწარმოებებში, სადაც უამრავი ბაბუები და ბებები არიან დაკოჟირი ხელოვნობითა და დათაფლული ენებით, საკმარისად კოლორიტულნი იყრიან და მეტყველებით, საკმარისზე მეტად მოფუსფუსენი და მოლაქლაქენი, თითქოს უშუალოები და ცოცხლები, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ იმიტირებულნი და ამიტომ მანინც ფიტულებივით უსიცოცხლნი.

ჯერ ისედაც შესამჩნევი გახდა აქტიური, დიდი საქმიებით შთაგონებული, მებრძოლი და მოქმედი გმირის ნაკლებობა ეგრეთწოდებული უბრალო გმირებით გატაცებულ ხელოვნებასა და მწერლობაში, ამ ზღვად მომსკდარი ეპიგონობის შედეგად კი პირდაპირ საგანგაშოდ შეიქნა საქმე. ეს მარტო ჩვენი კი არა, საერთო საწუხარი გახდა. ამიტომაც გაისმის ასე ხშირად საკავშირო პრესის ფურცლებზე ენერგიულ გმირს მონატრებული ხმები.

შემთხვევითი არ არის, რომ ისეთ ნაწარმოებებს, სადაც თანამედროვე ადამიანი მთელი თავისი შემართებით, საზოგადო საქმისათვის თავდადებით, ღიდი შთაგონებით ჩანს, მხურვალე გამოძახილი აქვს არა მარტო კრიტიკოსთა მხრივ, არამედ ხალხ-

შიც, თუნდაც მხატვრულად არცთუ დიდი ღირსებები გააჩნდეს მათ.

ლიტერატურის უპირველესი დანიშნულება მანინც ახალი ტიპის ადამიანის დანახვა და გამოხატვაა, რომელსაც თვით ცხოვრება ჰქმნის. დღევანდელი ჩვენი თანამედროვე, ვინც არ უნდა იყოს იგი — ინტელიგენტი, მუშა თუ გლეხი — ყველაფრით, თავისი ცხოვრების წესითაც, სამუშაო პირობებითაც, იერიითაც, აზროვნებითაც, ემოციებითაც კი, თავისი პრობლემებითაც და საერთოდ ყველაფრით დიდად განსხვავდება თუნდაც 20 წლის წინანდელი ადამიანისაგან. ცხოვრებასთან ერთად, რომელიც საოცარი ტემპით მიდის წინ, იზრდება და იცვლება ადამიანიც და ახალი ლიტერატურის გმირიც სწორედ ეს ახალი ადამიანი უნდა იყოს.

ჩვენი დრო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქადაა მონათლული. ეს ხომ ხელოვნურად მოგონილი ტერმინი არ არის, ამაში არავის ეპარება ეჭვი, რადგან თავად ვართ მომხსენენი და მონაწილენი ამ დროისა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მარტო მეცნიერებაში და ტექნიკაში მომხდარ ძვრებს ხომ არ გულისხმობს, იგი მთელი ჩვენი ცხოვრების წესის განმსაზღვრელია, იგი ახალი ადამიანის ტიპის შემქმნელი და ჩამომყალიბებელია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სული მეტ-ნაკლებად ყველა სფეროში ტრიალებს, მოყოლებული კოსმოსის ათვისებიდან საყოფაცხოვრებო ნივთების საჭიროების გაანგარიშებამდე, ეს სული ყველა ადამიანს



სწვდება — რაკეტების შემქნელ მეცნიერსაც და ვენახის მომვლელ გლეხსაც.

ყოველი დროის ხელოვნებისა და მწერლობის ვალში მისი თანამედროვე ცხოვრების ხოლოდ უზრალოდ წარმოსახვა კი არ არის, არამედ ამასთანავე, და რაც მთავარია, ეპოქის სულის გახსნაცაა. ყოველ დროში, ძნელბედობის ხანა იქნება თუ შვების, ტირილი და ლხინიც ხალხი ლამაზია სულით და პრძევი გონით. სწორედ ხალხის წიაღიდან გამოიზრდებიან გმირები, რომლებიც კისრულობენ წინამავლის როლს. ამგვარი გმირები ყოველ შემთხვევაში არანაკლებ საინტერესონი უნდა იყვნენ ხელოვნებისა და მწერლობისათვის. სწორედ ამგვარი გმირებისადმი შემეცირად ყურადღება 60-იან წლებში. ამიტომაცაა, რომ ეპოქისა და გმირის პრობლემა, რაც ურთიერთგადაჯაჭურულია, კვლავ დიდი სიმწვავით და ახალი ასპექტით დადგა უკანასკნელ წლებში ხელოვანთა წინაშე.

რეზო ჩხეიძის ეს ახალი ფილმიც „მშობლიური ჩემო მიწავ“ სწორედ ამის გამოძახილია, საბჭოთა ხელოვანის პასუხია მისი დროის მოწოდებაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყროლობაზე ერცლად და საფუძვლიანად იქნა განაღლიზებული საბჭოთა ხელოვნების და მწერლობის მდგომარეობა, მისი მიღწევები და ნაკლოვანებები, დასახული იქნა სამომავლო ამოცანები. ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც ხელოვნებასა და მწერლობას შეეხებოდა, ამ სადაც იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის შესახებ იყო ლაპარაკი, განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მხატვრული ნაწარმოები უნდა აღეკითხებდეს აზრს, აღრმავებდეს ხალხის ისტორიულ მემსიერებას, ეხმარებოდეს ადამიანებს ჩვენი ეპოქის არსისა და სულის შეცნობაში. იქვე ითქვა, რომ საჭიროა შემოქმედებითი ინიციატივა და გამბედაობა, რათა იკვლილი და განამტკიცებდ ჩვენი დროის რეკოლუციური სიახლეებს. ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევა სწორედ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე, მეტწილად სწორედ კინემატოგრაფულზე, მიგვაბუკვინა ყურადღება, სადაც საბჭოთა ადამიანის გმირული სული და ზნეობრივი მშვენიერება ხელოვანის ყურადღების ცენტრში.

ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევა XXV ყროლობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „ჩვენი მწერლების, მხატვრების დამსახურება ის არის, რომ ისინი ცდილობენ მხარი დაუჭირონ ადამიანის საუკეთესო თვისებებს, მის პრინციპულობას, პატიოსნებას, ვრძნობების სიღრმეს და ამასთან ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური ზნეობის ურყევი პრინციპებით“.

იმვე მაღლი ტრიბუნიდან განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევა: „არაფერი ისე არ ამალღებს პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებლილი დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხდება ტყევის ყოველდღიური ნორმა, ასეთი

პოზიციის შემუშავება ზნეობრივი აღზრდის ამოცანაა“.

აი, საით მიმართა პარტია ხელოვნების ყურადღება, რა ამოცანები დასახა მის წინაშე.

რეზო ჩხეიძის ეს ახალი ფილმიც „მშობლიური ჩემო მიწავ“ სწორედ ამის გამოძახილია, კომუნისტური ხელოვანის პასუხია მისი პარტიის მოწოდებაზე.

70-იანი წლები ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში უაღრესად დაძაბული, დიდი და ისტორიული მნიშვნელობისა აღმოჩნდა. ეს განაპირობა იმ საერთო გრანდიოზულმა ამოცანებმა, რომლებიც მრავალი ერისა საბჭოთა ხალხის წინაშე იდგა ამ დროის მანძილზე და კიდევ იმ კერძო საზრუნავმა, რაც თავად ჩვენი მინარე ცხოვრებით იყო გამოწვეული. რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის ზრუნვამ, 60-იანი წლების მანძილზე სულ უფრო მეტად მოძალებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ფართო მასშტაბი და უკომპრომისო სასიათი მიიღო. ჯერ წაყრებულმა, ხოლო შემდეგ კი წაქეზებულმა მანკიერებასა საზოგადოებისათვის გამზრუნული, ეზიდვიური სენის საშოგადოება შეიძინა და ხსნა მხოლოდ რადიკალური მოქმედებითა შეიძლებოდა. საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელებმა, ხალხის ერთსულოვანი მიზრდაჭერით, დაუნდობლად შეუტეს ყველაფერი იმას და ყველა იმათ, რაც და ვინც ხელს უშლიდა, ამუხრუჭებდა ჩვენს ეროვნულ პროგრესს. ხოლო ბოროტმოქმენი, უკან რომ ექაჩებოდნენ ჩვენს საზოგადოებას, აღვივებდნენ კერძომაკათურულ ინსტინქტებს, ნერვოზულ კორუპციას და თვალმოპქვობას, ქმნიდნენ თავისებურ მათვის კეთილი ნების დასათრგუნავად და ზნელი ძალების საპრაპოზოდ, მოკვეთილი, ამოძირკვეული იქნენ ჩვენი საზოგადოებიდან.

ეს ბრძოლა დღეისათვის არსებითად უკვე უკან არის ჩამოტოვებული, მაგრამ მან თავისი დიდი დასავა 70-იანი წლების ჩვენს ცხოვრებას. ის ტკივილები და სიხარული, რაც თან ახლდა ამ განახლების პროცესს, ის თავდაუზოგავი შრომა და ბრძოლა, რაც ამ წლების მანძილზე გასწიეს რესპუბლიკის მშრომლებმა და მათმა ხელმძღვანელებმა, ის მისიაც, რაც იკისრეს ზოგიერთმა პიროვნებებმა ამ ბრძოლის დაწყებასა და წარმატებით დაგვირგვინებში წინადა და უნდა გადაეცეს შთამომავლობას როგორც ჭეშმარიტად ისტორიული, რეკოლუციური მნიშვნელობის გაკვეთილი. ეს დიდი და კეთილშობილური ვალი ქართულ ხელოვნებასა და მწერლობასაც აკისრია.

რეზო ჩხეიძის ახალი ფილმი „მშობლიური ჩემო მიწავ“ სწორედ ამ მოვალეობის გრძნობითაც არის შთაგონებული და შექმნილი, ქართველი ხელოვანის პასუხია მისი ერის გულისწავილებაზე.

ასე შეერწყა ამ ერთ ფილმში „სამსახეობა“ ხელოვანისა, — საბჭოთაობა, კომუნისტურობა და ეროვნულობა, — ანუ ის მტკიცე ნაჯვარი, რაზეცა დაფუძნებული ყველაფერი საუკეთესო საერ-

თოდ ჩვენს მრავალეროვან თუ, კერძოდ, ქართულ ხელოვნებასა და მწერლობაში.

აი, ჩემის აზრით, რამ განაპირობა ამ ახალი ფილმის „მშობლიური ჩემო მინავ“ და მისი გვირის გიორგი თორელის დაბადება.

ახლა კი ორიოდ სიტყვა თავად ფილმის შესახებ.

ვიდრე უშუალოდ ფილმი წამოჭრილ პოპულარულ-მეხსი და მათ მხატვრულ გადწყვეტაზე ვიპოვებ რაიმეს, მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო მწერლისა და დრამატურის სულიყო ფუნქციის დიდ დამსახურებაზე. რეზო ჩხეიძის და სულიყო ფუნქციის შემოქმედებითა თანამშრომლობამ და მეგობრობამ, ამ ორი ხელოვანის მასშტაბურმა მხატვრულმა თანაზროვნებამ ქართულ კინოს ბევრი სიკეთე მოუტანა, არაერთი გამარჯვება არგუნა. საკმარისია გავისხნოთ, რომ ადრე მათი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა „ჯარისკაცის მამა“ და „ნერგები“. ეს ახალი ფილმიც მათი ერთობლივი გარჯისა და შთაგონების ნაყოფია. სცენარია ამ ფილმისა მათ ერთად დაწერეს და უკვე იგი წარმოადგენდა მაღალ-მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებს მძაფრი დრამატურებით, მწვავე პრობლემებით, რელიგიური ხასიათებით, რაც მთავარია, მომხიბლავი ცენტრალური გმირით, რომელიც თანამედროვე კომუნისტ-ტიორგანიზატორის, მასების ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებების მატარებელია. სცენარი უადრესად საინტერესო იყო და ეს მკითხველებისათვის ცნობილია, რადგან ნაწყვეტები კიდევ დაიბეჭდა ლიტერატურული პრესის ფურცლებზე.

ფილმის მოლოდინი დიდი იყო-მეთქი, თავში რომ ვთქვი, ესეც მამდევდა ამის უფლებას. მომავალი ფილმის მასშტაბურობა უკვე დაინტერესებულნი მკითხველისათვის, ფართო საზოგადოებრიობისათვისაც იყო ცნობილი. ფილმის სცენარს, მის ლიტერატურულ საფუძველს დამოუკიდებელი მხატვრული ღირსება გააჩნია, რასაც რეზო ჩხეიძისთან ერთად სულიყო ფუნქციაც უნდა ვუმადლოდეთ.

ასეთი მაღალმხატვრული პირველწყაროს შემდეგ თითქოს ეჭვი აღარ უნდა შეგვარდოდა ფილმის წარმატებაში, მითუმეტეს, რომ მას საყოველთაოდ ცნობილი, გამოჩენილი კინორეჟისორი იღებდა, მაგრამ იმან, რასაც ჩვენ ახლა ვუყურებთ ეკრანზე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თითქმის ოთხი საათის განმავლობაში (ფილმი ორსერიანია) მაყურებელი შეუნღებელი ყურადღებით, დროის შეგრძენების გარეშე, სულმოუთქმელად ადევნებს თვალს ეკრანზე გადახანილ ცოცხალ ცხოვრებას, ჩვენი დღევანდელი ყოფის ამაღლებულ თუ შემადრწუნებულ სურათებს, ადევნებს თვალს გმირის დაძაბულ საქმიანობას, მის ბრძოლას ხალხის საკეთილდღეოდ, თავისი მზარის, მამსახადმე, ერის, მამსახადმე ქვეყნის საკეთილდღეოდ, ადევნებს თვალს რწმენავადვიძებულ ხალხის მოზღვევებულ ერთგულებას და ამგვარად ფილმი აღწევს კინემატოგრაფის უმაღლეს მიზანს — მაყურებლის თანაგანცდას.

აქ ერთი „საიდუმლო“ უნდა გავუმყდინო მკითხველს. ასევე სულმოუთქმელად უყურებდა დარბაზი


ამ ფილმს, როცა რეჟისორმა პირველი მონტაჟის შემდეგ აჩვენა იგი და როცა თითქმის ორჯერ კინო მეტ ხანს მიდიოდა. მე მკობდა ბედნიერება ის პირველი ვარაიანტიც შენახა. მაგრამ, სამწუხაროდ, კინოს ჩარჩოებმა, დრომ და მეტრასმა, არაერთი მნიშვნელოვანი, ამაღლებული, ლამაზი ეპიზოდი და კადრი შეინარა, რომელსაც ახლა მაყურებელი ვეღარ ხედავს. ცხადია, დასანანი ეს, დასანანი რეჟისორისთვისაც და მაყურებლისთვისაც, მაგრამ რაც დარჩა, რაც ჩაბაძა ამ დროით და მეტრავით შეზღუდულ ჩარჩოში მთლიანია, შეკრულია, შთაგონებულია, ერთი სიტყვით — დიდებულია.

ფილმის პირველივე კადრები არა მარტო ლამაზია, მშვენიერია, არამედ საესეა სიმბოლიკითაც და მაყურებელს აგრძობინებს, რომ მნიშვნელოვანი სანახაობისათვის უნდა შეემზადოს. დატყვევებული არწივის ბედს ის გზად შემთხვევით შემოხვედრილი ახალგაზრდა კაცი გადაწყვეტს, ვისაც ჯერ არც ჩვენ ვიცნობთ და არც ეკრანზე წარმოსახული გზის მშენებელი. უცნობის, გიორგი თორელი რომ ყოფილა, უბრალოდ და ნათელი ორი სიტყვა მოავაგებს გონს ხალხს. არწივს, მართლაც, რა უნდა ტყვეობაში. მისი ასპარეზი ცა და სივრცეა. ფილმის პროლოგში მაღლა, ლურჯ სილამაქვარდში აჭრილი მოლივილი არწივი მარტო თვალს კი არ ახარებს, არამედ გულსაც შეუცნობელი იმდეთ ვეცხებს და ეს სიმბოლიკა ნათელიცაა, წარმტაციც და მნიშვნელოვანიც. ამ სანახაობას თან ერთვის ზარის ხმა და ჩვენც უკვე მთლიანად შემზადებული, განწყობილი ვართ ფილმთან შესახვედრად.

ეს სიმბოლიკა არ არის პირდაპირი ეკრანული ანალოგია გაყას დიდებული სტროფებისა, მაგრამ მაინც ემხიანება მას, ემხიანება ხალხის პოეტური გენიით შექმნილ ფოლკლორულ სახესაც და ასე ვეაძლევს გასაღებს გიორგი თორელის მისიის შესაცნობად, ვისაც არწივით სჭირდება სივრცე, ვინც არწივით ვაჯავსეფი, მძღვე ბუნებისაა, ვისი ხვედრიც ყვაფ-ყორანთა შემუსვრება.

ზარის ხმაც ბოლომდე გასდევს ფილმს, მხოლოდ ახს სულ სვავდასხვა, განსვავებული ფლერადობა აქვს. იგი ხან განსაცდელს გვაშენობს, ხან რისხვას, ხანაც გამარჯვების დიდებულ საგალობლად გაისმის და ეს მუსიკალური რეფერენსი (კომპოზიტორი გაია ყანჩელი) აშკარად შთამბეჭდავი.

პროფესიონალთა აზრით მიჩნეულია, რომ თანამედროვე კინემატოგრაფი უფრო „მეკადრი პროზისა-კენ“ ილტვის. ეს დავის სატეხაა არ გამხსენებია. უბრალოდ, რეზო ჩხეიძის ამ ახალმა ფილმმა მაიფიქრებინა, რომ ჩვენდა საბედნიეროდ კინოს არამც-თუ არ დაუკარგავს, არამც-თუ არ გაუღებია, არამედ კიდევ უფრო მოსხალეობა პოეტური სული. თვით ისეთ დრამატულ ფილმშიც კი, როგორცაა „მშობლიური ჩემო მინავ“, სადაც თანამედროვეობის „პროზაული ყოფაც“ საკმაოდ ახასიათებს, პოეტური ხედავს და სუნთქვა ყოველ კადრში იგრძნობა, სანახაობრივადაც აშკარა და სიღრმისეულ პლასტიკშიც სჭყვივს.



გიორგი თორელი — თ. ჩხიძე
კახია ველმიძე — (მარცხნივ) გურამ
ლოლოტი — ი. ხიზანიშვილი.

ფილმის პოეტობაციაში თავისი წვლილი აქვთ შეტანილი დამდგმელ-ოპერატორს ლომერ ახვლედიანს, დამდგმელ-მხატვრებს გივი გიგაურს და ზურაბ მემქარიაშვილს. ლომერი ახვლედიანის, ამ შესანიშნავი ოპერატორის მაღალი პროფესიონალიზმი და დახვეწილი ოსტატობა ადრე მისი სხვა ფილმებიდანაც იყო ცნობილი და აქაც მთელი სისრულით, მომხიბლაობით წარმოჩნდა. ყოველ კადრში იგრძნობა ზედმიწევნითი მხატვრული გააზრება და დიდი გემოვნება. ოპერატორის თვალი მარტო ზუსტად კი არ მიგვაქცევინებს ყურადღებას კადრის გამოსახულებაზე, არამედ შესაბამის განწყობილებასაც გვიქმნის. ეს იგრძნობა არამარტო კონტრასტული ხედვის დაპირისპირებისას, ვთქვათ როცა გადახრუკულ, უწყლობისგან დამსკდარ ყამირს, ან ამბიზინებულ ველებს შევყურებთ, ანუ როცა კადრს მხოლოდ და მთლიანად ხედვითი ფუნქცია აკისრია, არამედ მაშინაც, როცა პერსონაჟთა დიალოგს ვისმენთ და ოპერატორს თითქოს უფლება ეძლევა ოდნავ მაინც შევბა მისცეს თავს, მაქსიმალური შემოქმედებითი წვით არ მოეციდოს კადრს და პრიორიტეტი სიტყვას დაუთმოს. ეს ჭეშმარიტი კინემატოგრაფიული გადაწყვეტაა.

ფილმში პოეტური სული, როგორც ვთქვი, მარტო ფაქტურაში კი არ იგრძნობა, ამითაა გამსჭვალული მთელი სათქმელი ავტორებისა, ასეა დანახული ხალხის ყოფა, გმირის ბუნება, პერსონაჟთა ხასიათები, ასეთია მთლიანად დამოკიდებულება თანამედროვე ცხოვრებისადმი, მიუხედავად იმისა, რომ აქ არაფერია მიფურჩეხებული, წაყრუებული, პირიქით,

ბოლომდეა გაშიშვლებული სატიკივარი, ხმამაღლა ნათქვამი სიძნელებზეც, უკეთურებაზეც.

საოცარი სიძლიერისაა კადრები, როცა რეტროსპექტივით ვხვდებით პატარა გიორგი თორელს, მის ბავშვობას, ფრანთი ხელში რომ დარბის მშობლიურ მიწაზე, ან კიდევ როცა საზღვარს გაღმადან ქართველი გლეხი საკუთარი მარტივი, მაგრამ სულისშემძვრელი სიმღერით საგალობელს ამბობს გიორგი თორელის სადიდებლად, ვინც ააღორძინა პირადად მისთვის ჟამთა უკუღმართობის გამო დაკარგული, მაგრამ მაინც წმინდა მშობლიური მიწა, ვინც მისი შორით სათაყვანებელი ხალხის ბედნიერებისათვის იღვწის და იწვის. მართლაც ჟრუანტელის მომგვრელი ეპიზოდებია ესეც და კიდევ ბევრი სხვაც ამ ფილმში.

გავიხსენოთ ის ეპიზოდი, როცა გიორგი თორელი საკუთარ მშობლიურ, ბოროტი ნების ძალით მიიტოვებულ, ან გაცეხულ კერას მიაკითხავს. თვალწინ გვიდგას გმირის მეტყველი სახე, მის აფორიკებულ სულს რომ გვიხსნის და განგვაცდევინებს. მისი სევდიანი თვალები სახეუა არა გოდებით, არამედ წუხილით, არა ბედის მორჩილებით, არამედ სიმედვრით. სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ატყვია დღეს ამ ნასახლარს, მაგრამ აი, გიორგი თორელი ძველისძველ აკანში ანთებულ ელექტროფარანს ჩადებს; ასე დაარწვევს სინათლეს და ეს დიდი ადამიანური დრამით, ტრაგიზმითაც სასევ ყოფითი ეპიზოდი ამ კადრის წვალბობით ერთბაშად სიმბოლიკურ მნიშვნელობას იძენს. დაიხ, მართლაც ბევრია ამ ფილმში პოეტური სულით და სიმბოლიკით გამსჭვალული კადრები, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანს,



ან უბრალოდ შეუძლებელია, რადგან ეს ცალკეული ეპიზოდების კუთვნილება კი არ არის, რეზო ჩხეიძის სტილის განმსახვრელი ნიშნებია.

ზემოთ მე თქვი, რომ „მშობლიურო ჩემო მინავ“ მონოდრამაა, ერთი გმირის ფილმია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ცხოვრებაც ფართოდ, მრავალმხრივად წარმოსახული და პერსონაჟებიც მრავალად არის გამოყვანილი. მკითხველის ყურადღება, ცხადია, სწორედ გმირის, გიორგი თორელის სახეზე მინდა შევაჩერო, რადგან ესაა უმთავრესი ამ ფილმში, მაგრამ ვიდრე ამას მოვიმოქმედებდებ, რაკი სხვა საშუალება ამავმად არ გაამჩნია, სხვებს მოვიხსენიებ მაინც, რომ ამავე არავის დაუყარვთ.

ფილმში შესანიშნავადაა გახსნილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხის სახე და ეს მისი დიდი ღირსებია. ჩვენ უბრალოდ კი არ ვხედავთ, რომ გმირი მარტო არაა და მას ხალხი უფლებას მხარში, არამედ ვგრძნობთ ხალხის სულისკეთებას, მის გულისხმავებს, ეს შთამბეჭდავად არის გადმოცემული და გახსნილი მაშინაც, როცა მასას შეეყურებთ და მის ფსიქოლოგიას მივაქცივინებთ რეჟისორი ყურადღებას, მაშინაც, როცა ამ ფუნქციას იგი კონკრეტულ პერსონაჟებს აკისრებს.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა მესხეთის მკვიდრი გლეხების, ძმები დვენოსაძეების სახეები. ბაგრატი (ბაგრატ დვენოსაძე) და აბესალომის (მიხეილ ვაშაძე) სახეები იმდენად მართალი, ძლიერი და შთამბეჭდავია, რომ წარუშლელ შთამბეჭდლებას სტოვებს მაყურებელზე და აჯერებს მას, რომ სანამ ამგვარი ფესვმგვარი მუხები ჰყავს ჩვენს გლეხობას; არც ვაზი გადაშენდება, არც მამაპაპური კეთილი ტრადიცია მოიშლება და მომავლის მტკიცე იმედიც შეგვიძლია გვეკონფდეს.

მშვენიერი, დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მთავარი როლების შემსრულებლებმა ევა ხუტუნაშვილმა (რაიკომის მიდინეს ასმათ იაშვილისა), ცილა ჩხეიძემ (გიორგი თორელის დედისა), ირაკლი ხიზანიშვილმა (რაიამასკომის თავმჯდომარის გურამ ლლონტისა), გიორგი ხარაბაძემ (მერაბ სეთურაიძისა). შედარებით ნაკლებნიშნელოვანი და ეპიზოდური როლებიც კი ჭკუშარიტი აქტიორული ხელისაგნებით არის შესრულებული. გავიხსენოთ დერიოვიჩი (იური სარანცივი), ბებია დარეჯანი (ნატალია ხელაძე), გიორგის დედა ახალგაზრდობისას (მარინე ჯანაშია) ან თუნდაც ნებისმიერი როლი და მისი შემსრულებელი.

აღსანიშნავია, რომ ფილმი ცნობილ მსახიობებთან, ვთქვით ლია კაპანაძესთან, ზურაბ ლაფერაძესთან, ზურაბ ყიფშიძესთან, და სხვებთან ერთად დიდი წარმატებით ასრულებენ როლებს არაპროფესიონალებიც, ისე რომ აქტიორული ოსტატობის თვალსაზრისით სხვაობას ვერც შეამჩნევთ. არაპროფესიონალებთან პატარა, მაგრამ საკმაოდ რთულ როლს მშვენივრად გაართვა თავი თამარ ბააკურელია, დიდი დატვირთვის შთამბეჭდავი სახე შექმნა მესხი გლეხისა ბაგრატ დვენოსაძემ, კიდევ უფრო გასაკვირია ცილა ჩხეიძის მიერ განსახიერებული

ერთ-ერთი მთავარი როლი დედისა. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს რეჟისორ რეზო ჩხეიძის მსახიობებისთან (პროფესიონალებთან თუ არაპროფესიონალებთან) მუშაობის დიდ ნიჭსა და გამოცდილებას.

ახლა კი მთავარი გმირის გიორგი თორელის, მისი როლის შემსრულებლის თემურ ჩხეიძის და კიდევ ფილმში ნამოჭრობი ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ.

მერაბ სეთურძე, საქმოსნების და ფულისმკეთებლების თავკაცი, ასე ვთქვათ, ადგილობრივი მაფიოზო (ანალოგია რომ არ არის აზრს მოკლებული, ამაზე ქვემოთ), რაიკომის მიდინეს შეცვლით შემოთავაზებული ძველს, გადაყენებულს მისტიორის, ამ ცხოვრების ყველაფერი ესმოდაო, ახალზე კი, გიორგი თორელზე ასე ამბობს: არ ესმის, რომ იდეალი ერთია, რეალური ცხოვრება კი სხვა, წიგნებშია აქვს თავი გამოტყნილი. საგულისხმო დეტალია — ამას რომ ამბობს, თან დან კიხოტის მომცემ ბრინჯაოს სკულპტურას ათამაშებს ხელში.

ობივატელური ფილოსოფია. სეთურძე არ არის ობივატელი, იგი ყაჩაღია, ამას ობივატელების გასაგონად ამბობს, რომ ჭკუაში დაუჯდეთ. თავად კარგად იცის, ესმის, რა ძალაც დაუპირისპირდა მას.

გიორგი თორელისათვის რეალობა და იდეალი სულაც არ არის გათიშული ერთმანეთისაგან, ერთი მეორისაგან საზრდოობს და ასე მიიწევს საზოგადოება წინ პროგრესის გზაზე.

დონ კიხოტის ფიგურაც არ არის აქ შემთხვევითი. იმავე ობივატელის აზრით სერვანტესის გმირი ოდენ ფუჭი მოცინება, სასაცილოდ რომ გაუხდია თავი, კაცობრივნისათვის კი მწუხარე სახის ლამაზი რაინდი ერთი უსაყვარლესი და უმშვენიერესი გმირია, ვისი გულვიც ადამიანური სიკეთით, სიყვარულით არის სავსე და ვინც მუდამ მზადაა სხვათათვის თავის გასაწირად.

თუ მხატვრული ასოციაციებით ვიმსჯელებთ; გიორგი თორელი სწორედ ამგვარი მშვენიერი სულის რაინდია. თუ რეალობა მიგვარავნებდა, აქაც ენახათ ამგვარ ნათელ პიროვნებებს.

გიორგი თორელი დღევანდელი პარტიული ხელმძღვანელის განზოგადებული მხატვრული სახეცაა და იდეალური გმირიც. ნუ შეგვემინდა ამ ტერმინის. „იდეალურ გმირს“ ავერ უკვე ოც წელზე მეტია აღარ ხმარობს ხელოვნებათმცოდნეობა და კრიტიკა, ერიდება მას, რადგან იგი ხელოვნურად შექმნილ, უსიცოცხლო, განყენებული იდეების მხატვრულ და მქადაგებელ გმირთა სინონიმად აქციეს თავის დროზე. მაგრამ არც ასეა საქმე. განა თურმე ნოვის ჩაპაევი, ან შოლოხოვის დავიდოვი მართლაც იდეალური გმირები არ არიან? მიუხედავად იმისა, რომ ერთი რეალურ პიროვნებას განასახიერებს, მეორე კი შეიხუბლია, ერთავე მართალი სახეა, თავად ცხოვრებიდან გადმოსული მწერლობაში და ეკრანზე. სხვაც ბევრი ჰყავს ლიტერატურასაც და კინოსაც იდეალური გმირები, რომლებიც თავიანთი

პარმონიული ბუნებით, მიზნისა და საქმის ერთიანობით, სოციალური აქტივობით და მაღალი ზნეობით, პატრიოტული და ინტერნაციონალური სულით, და კიდევ, რაც მთავარია, რეალისტრობის, ანუ რეალური წარმომავლობის წყალობით საოცარ ზემოქმედებას ახდენენ მაყურებელზე. მათი დამაჯერებლობის ძალა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მართალია, უტყუარია, ცოცხალია ამგვარი მხატვრული სახეები.

გიორგი თორელი დღეს ჩვენთვის უკვე ცნობილია ჩვენი თანამედროვე ცხოვრებიდან. ისიც დიციით, რომ ამგვარი კომუნისტების რიცხვი, ვლითოდლე იზრდება. ასეთია ცხოვრების ლოგიკა, ასეთია განვითარების ტენდენცია, ასეთია დასახული მიზანი.

გიორგი თორელი სწორედ იდეალურ გმირთა რიგს განეკუთვნება, რადგან მას ყველა ის თვისება გააჩნია, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე. ეს ის გმირია, ვისი სწორებაც დააჩქარებს საზოგადოების, ერის პროგრესს.

გავისხენოთ ერთი არსებითი შტრიხი მისი პორტრეტისა იმ ამოცანების შუქზე, რომლებიც ეძღვრად ამბროსის ძე შევარდნაძემ სულ ახლახან დააყენა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიულ კონფერენციაზე. აი რა თქვა მან:

„ახლა ამოცანა ის არის, რომ ვისწავლოთ დაწყებული საქმის დაბოლოება...“

სწორედ ეს შეუპოვრობა, შეუპოვრობა გამომუშავებული პოლიტიკის განხორციელებაში, მთავარი, ძირითადი კვლის თანმიმდევრულ გატარებაში, ცალკეული საკითხების, ცალკეული პრობლემების საბოლოო გადაწყვეტის, დაწყებული საქმის დაბოლოების უნარი ჯერ კიდევ აკლია ზოგიერთს...

მოკრძალებული, თავმდაბალი, მორცხვიც კი შეიძლება იყო, როცა საქმე ეხება რაღაც პირად თხოვნას, ოჯახურ საქიროებას, სხვადასხვა ყოფით საზრუნეს. მაგრამ როცა ჯერი მიდგება საქმეზე... მოსახლეობის ინტერესებზე, მოკრძალება სრულიად უადგილოა: მაშინ მიზნის განხორციელებაში, მიზნის მიღწევაში უნდა ვიყოთ პრინციპულნი, თანმიმდევრულნი, შეუპოვრონი, შემტყნები და უდრეკნი... როცა წამოყენებულია მტკიცუნული საკითხი, როცა იგი წამოყენებულია სწორად, ობიექტურად, პრიციპულად, უნდა უსრულდა უნდა მის და იო საკუთარ გეზს და არ დაიხიო უკან, სანამ არ მიადნევა სასურველ შედეგს, საკითხის დადებით გადაწყვეტას“.

ჭეშმარიტი კომუნისტის სწორედ ამ თვისებებით არის დაჯილდოებული გიორგი თორელი და ეს კარგად ჩანს ფილმის დრამატურგის ხერხმალში. ვიფიქრებ, რომ თვისების, მისი დასახლება, უფიქრის გამგება, ხალხისთვის საჭირო პრობლემების შექმნა — აი ის პრინციპული, გენერალური გეზი, რამაც უნდა გადაარჩინოს და ააღორძინოს მხარე. ესაა

თორელის საქმეც და ოცნებაც, რომლის განხორციელებაშიც იგი უმარავე, თითქოს გადასწავლილი სიმწლეებს აწყდება, მაგრამ მაინც თავისი გააქვს, იმარჯვებს, რადგან მართალი საქმისთვის, ხალხისთვის, ქვეყნისთვის იბრძვის და იღვწის.

რა კონტრასტია ფილმის დასაწყისსა, როცა გაპარტახებულ სოფლებს, ნასახლარებს, ნანგრევებს ვხვდებით და ფილმის ფინალს შორის, როცა ახალმოსახლეთა ნიაღვარი მიედინება ყამირის ასათვისებლად, იქ დასაფუძნებლად მართლაც პათეტიკური ფინალია, ზეანული, საზეიმო. თითქოს დაუჯერებელი სასწაული მოხდა ჩვენს თვალწინ, მაგრამ ფილმი ღრმად გვაჯერებს ამ სასწაულში, რადგან მისი განხორციელებისათვის განვიღო მძიმე გზას ჩვენი თვალითა ვხვდებით და კიდევ უფრო ვხვდებით, რომ ეს მხოლოდ გიორგი თორელის ოცნება კი არა, მთელი ხალხის გულისნადების გამოხატულება იყო.

ხალხის ნებას წინ ვერაფერი დაუდგება. იმიტომაც იმარჯვებს გიორგი თორელი, რომ მისი სჯერა ხალხს. ნდობის მოპოვება კი საკმაოდ რთული საქმე იყო გულგატეხილთა შორის. ვანა თუნდაც ეს მოტივი ფილმისა ჩვენი რესპუბლიკის გუმწიფი დღით არ არის ნაკარნახევი? ხოლო როცა ხალხი შენს მხარეზეა, როცა იგი დაგიჯერებს და დაიარაღება კეთილი ნებისა და საქმის განსახორციელებლად, ვეღარაფერ ვერაფერს დაგაკლებს, ვერც „ზემოთ“ მოკალათებული გავლენიანი პირი ვინც ვანიძე და ვეღარც მისი ხელშეწყობით გაპარაშუტული და გაზულუქებული მერაბ სეთურიძე.

საგულახლო კონტრასტებია: მერაბ სეთურიძე და მისი ამფსონები ვერტმფრენით შველზე ნადირობით ერთობაშია, გიორგი თორელი კი ამ დროს ყამირი მინაზე მარტოდმარტო დადის და თავის ოცნებას მისცემია.

მაფიის პრინციპებს საგულდაგულოდ სესხულობდნენ ჩვენი საქმისნები. მოსყიდვა, ძალადობა, ანგარიშსწორება, შანტაჟი, თუნდაც მკვლელობა ჩვეულ საშუალებებად იქცა ზნელი ზრახვების აღსასრულლებად. ამ ფილმშიც კარგად ჩანს ეს. ქართველი მაფიოზოს ტიპიური განსახიერებაა მერაბ სეთურიძე (შესანიშნავად, დიდი ოსტატობით ანახიერებს მას გიორგი ხარაბაძე), ვისაც ცხოველური გამომეტყველების პირადი მცველი, აშკარა კაცისმკვლელი მუდამ ჩრდილივით თან დასდევს. სწორედ ეს დაქირავებული ერთგული ჯგოლი აჩებას იმედგაღვიძებული გლეხობის მიერ დიდი ჯაფთა და სიყვარულით გაშენებულ ვაზის საწერგეს.

კიდევ ერთი დრამატული, მაგრამ ბრწყინვალე ეპიზოდი ხალხის ნებისა და რისხვისა. გლეხობის დამსხვრეულ იმედთან, აჩვილ ვაზის საწერგესთან ბოროტმოქმედს, სეთურიძეს პირად მცველს გაბანრულს მოიყვანენ. ხალხის გულისწყრომას — საზღვარი არ აქვს და აღ ანტიკური ტრაგედიის დონეზე, თუმცა ეს პარალელი რად გვირდა ჩვენი ფოლკლორის და ვაჟას პატრონებს, თამაშდება ბოროტი სულის თემისგან, სოფლისგან მოკვეთის უძველესი ადითი და წესი.



ხევისპერის შტრკენებასავე იხმის გიორგი თორელის სიტყვები. ტრაგიკული მოტივის კულმინაციური დასასრულია. ერთდროულად თავზარდამცემი და ამაღლებული ეპიზოდია, რომელიც ფილმს საოცარ ემოციურ დამაბოლოებას ანიჭებს და ამასთანავე ბოროტი-სა და კეთილის ბრძოლასაც წერტილს უსვამს.

ფილმში ორგანულად არის გადაჯაჭვული ერთ-მანეთთან წარსული, აწმყო და მომავალი. ქართული სულის ფესვებიც ჩანს, მისი დღევანდელი მძლეობაც და მომავლისაკენ მიმართულებაც. ამ სულის უკვადვების არაერთი მშვენიერი გამოხატულებაა აქ და ეს კადრე უფრო მნიშვნელოვანს ხდის ფილმის ავტორთა სათქმელს.

ქართული ეროვნული სული არასოდეს უცხოობდა სხვათა სიყვარულს, ხალხთა შორის მეგობრობას. ეს ტრადიცია დღეს ახალ სიმაღლეზეა აყვანილი და არც ამისი გამოხატვა დაკლებია ფილმს. გიორგი თორელის და მესხეთის მოსახლეობის ქვეშაობიტი თანამდგომები, გაჭირვების ტალკეცები არიან ელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი გერასიმ პეტროვიჩ დერიუჯინი (იური სარანცევის ოსტატური აქტიორული შესრულებით) და მესახლდერეთა კაპიტანი ტკაჩოვი. ინტერნაციონალური სული კიდევ უფრო ამშვენებს, სიმართლესა და მნიშვნელობას სძენს ამ ფილმს.

გიორგი თორელის, ქართული კინემატოგრაფიასთვის ამ ახალ, დიდად მნიშვნელოვან გმირს შეიძლება ითქვას ნათელი დაადგა მისმა შესრულებულმა თემურ ჩხეიძემ. ახლა როცა ამგვარ გიორგ თორელს ჩვეცანით, პირდაპირ შეუძლებელია ვისიმე სხვისი წარმოდგენა ამ როლში.

თემურ ჩხეიძის გიორგი თორელს არაფერი აქვს საერთო პარტიული ორგანიზატორის იმ სტერეოტიპთან, რომელიც ასე გავრცელებულია. არცერთი, თუნდაც ერთხელ მაინც ნანახი თუ გაგონილი ყუსტი ან მიმიკა, ფრაზა ან ინტონაცია არ შემოჩნვეა მის თამაშში. არც საერთო იერით არ ჩამოგავს ჩვენთვის უკვე ნაცნობ სახეებს. სუსტი და ფერმკრთალი, ოდნავ ანუწული მხრებით, მორცხვი და მომბობლავი ლიბლით თითქოს სულაც არ შეეფერება მასების ორგანიზატორის სახეს, მაგრამ ამგვარი შთაბეჭდილება თავიდანვე და ერთბაშად ქარწყლდება. მის ინტელიგენტურ იერში სწორედაც განსწავლულობა ამოიკითხება, ურომლისოდაც თანამედროვე პარტიული მუშაკი წარმოუდგენელი უნდა იყოს. საგულისხმოა ერთი მისი ფრაზაც: როცა ვაიის ყამირის ათვისების უაღრესად თამამ და თითქოს განუზოროციებელ იდეას გააცნობს თავის თანამდგომებს, უბრალოდ ეტყვის, სანამ პასუხს გამცემდეთ და დავას დამიწყებდეთ, კარგად მოიფიქრეთ, მე ეს ყოველმხრივ მიქვს შესწავლილიო. და ეს მართლაც ასეა.

თემურ ჩხეიძის ტანმორჩილობა მალევე გვაჯინყდება, რადგან პირველივე შეხვედრებიდან ვგრძნობთ მასში საოცარ სულიერ სიმტკიცეს და თანდათან სულ უფრო ვრწმუნდებით, რა ძლიერ პიროვნებასთანაც გვაქვს საქმე. თავაზიანობა სულაც არ უშლის

მას ხელს იყოს პრინციპული და მკაცრი, სიმართლის პირში მოქმედი. გავისხენით ჯერ მისი ჩამოშლასა და დამყოფობაში, როცა მორიგე ექიმისაგან დებულობს ყოველ ნაბიჯზე ნებართვას, ვქვითა ეკიხება, შეიძლება პალატაში შესვლაო, მერე კი — მისი იმავ საავადმყოფოს პერსონალის წინაშე საბრძოლვებლო სიტყვა, რომლითაც დაუნდობლად ამხელს მათ უსულგულობას. განსაკუთრებით შთაბეჭდვითაა გიორგი თორელი მაშინ, როცა გარდამავალ დროშაზე ლაპარაკობს და აფრთხილებს ყველას, რომ ჭუჭყიანი ხელებით შეიძლება საკუთარი კეთილდღეობა მოიწყოს ვინმემ, მაგრამ ნურას უკაცრავად, დროშას, ამ წმიდათამიდას ნურავინ ნაეპოტინებაო. რა შთაბეჭდვითაა ეს ეპიზოდიც საერთოდ, განსაკუთრებით კი გიორგი თორელის გამომეტყველება. წმინდანის რისხვა ამოიკითხება მის თვალეშში.

ცხადია, გიორგი თორელი არ არის დღევანდელი პარტიული ხელმძღვანელების რაღაც საშუალო არითმეტიკული, იგი გამოჩრეულია, უფრო ხვალის-დელი დღის ტიპია. მაგრამ იგი ამავე დროის, და ამას ხაზი უნდა გავსვას, ჩვენი სახამედროვეების განზოგადებული სახეა. ამაშია ამ სახის რეალისტური სიძლიერე და მისი მხატვრული მავალითის ძალა.

საქვებით კანონზომიერია, რომ თუ 60-იან წლებში ვერც ქართულ მწერლობაში და ვერც კინემატოგრაფიაში ვერ გავისხენებთ კომუნისტი ორგანიზატორის ძლიერ მხატვრულ სახეს, 70-იან წლებში უკვე არაერთი შეიძლება დავასახელოთ. მწერლობაში, თუნდაც, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რაიკომის მდივანი დოკუმენტურ რომანში „რა მოხდა აბაშაში“, კინემატოგრაფში — გიორგი თორელი. ამას თავის საფუძველი აქვს, სწორედ უკანასკნელი წლებში რეალობამ შთააგონა ქართულ ხელოვნებას ამგვარი ტიპები, რომლებიც ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან არიან აღებული და რომლებიც კომუნისტების იდეალადაც შეიძლება დავსახოთ.

რეზო ჩხეიძემ საერთოდ შესანიშნავი, მაღალ-იდუური, მხატვრულად ძლიერი ფილმიც შექმნა კომუნისტთა XXVI ყრილობისათვის და თავად კომუნისტის დიდად შთაბეჭდვით სახეც მოგვცა. ფილმი „მშობლიური ჩემო მიწა“ მისი მოქალაქეობრივი სულის, კომუნისტური მრწამსის და ბრწყინვალე ოსტატობის ნათელი გამოვლენაა.

XXVI



ს ს ს ს
ყ ი ბ ლ ბ ა

ჩ ვ ე ნ

კ ა უ ე ნ ე ბ ი

კ ო მ უ ნ ი ზ ე ს



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს უძღვნეს ქართველმა მხატვრებმა ვრცელი რესპუბლიკური გამოფენა „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“, რომელიც თბილისის სურათების გალერეასა და „მხატვრის სახლში“ გაიმართა. ექსპოზიციაზე ფართო და მრავალმხრივი ასახვა ჰპოვა ჩვენმა თანამედროვეობამ, ხალხის შრომამ და მოღვაწეობამ სამშობლოს სასიკეთოდ, დროის ღირსეული მოვლენებმა, სოციალიზმის ქვეყანა რომ განუხრელად მიჰყავს კომუნისმისაკენ.



თ. სამსონაძე
დილა
დ. ერისთავი
რთველი

დერმწერლები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები ისწრაფვიან თავიანთ ნამუშევრებში ფართო მხატვრული განზოგადებით წარმოსახონ საბჭოთა სინამდვილის ტიპური, სახასიათო ნიშნები, შექმნან მშრომელი ადამიანების შთამბეჭდავი სახეები. გრაფიკოსები ხშირად მთელ ციკლებს უძღვნიან უბრალო ადამიანების შთაგონებულ შრომას საყოლმეურნეო მიზნდრებსა თუ მარტენის ლემელებთან, სამეცნიერო ასპარეზზე თუ გაგანტურ მშენებლობებზე. მხატვრები ცდილობენ მოძებნონ ახლებური კომპოზიციურ-სახვითი და პლასტიკური საშუალებანი აზრის შთამბეჭდავად გადმოსაცემად, ჩანადიქტი გახსნან არა პროზაულად, თხრობითი საშუალებებით, არამედ დატივრითონ პოეტური ინტონაციით. მთელ რიგ ნამუშევრებში ავტორებმა ამას მიაღწიეს კიდეც, თუმცა, რა თქმა უნდა, გამოფენაზე ნაკლებ-გამომსახველი ნაწარმოებებიც იყო.

ქართველ მხატვართა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს ფართო აღიარება ხვდა მოსკოვში გამართულ საკავშირო გამოფენაზეც „ჩვენ ვაშენებთ კომუნისმს“.



გ. ქუთათელაძე
სერია „კოსმოსი“

ნ. ივანატოვი
რთველი



XXVI



ს კ კ კ
ყ რ ი ლ ბ ა

ყ რ ი ლ ბ ი ლ ა ნ

ყ რ ი ლ ბ ა ე ლ ა

სვეტლანა კეცვა

აფხაზეთის კომპოზიტორთა
კავშირის თავმჯდომარე

აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინამორბედი ყრილობიდან დღემდე მიზნად ისახავდა მრავალი ამოცანის გადაწყვეტას — პირველ რიგში, ხალხისა და პარტიის მხარში დგომას, სულიერად მდიდარი პიროვნების — პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის აღზრდაზე ზრუნვას. უკვე ეს ამოცანები მოწოდებენ სამოღვაწეო პროგრამის სიღრმესა და სიფართოვეზე.

ბუნებრივია, რომ ამ ამოცანებმა გარკვეული გეზი მისცეს აფხაზურ პროფესიულ მუსიკას, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ნაყოფიერად ვითარდებოდა. ამ ხნის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვაგვარი მუსიკალური კანონების ათვისების პროცესი, წარმოიშვა მრავალი ახალი სიმფონიური ნა-

წარმოები, რომელთა შორის აღსანიშნავია ა. ჩიჩბას სიმფონიური პოემა „აბრსკილი“ და მისივე სიმფონია, ა. პეტროვის საფორტეპიანო და სიმებიანი კონცერტები, მისივე სიმფონიური პოემა „ვლადიმერ ჩარაზია“, რ. გუმბას სიმფონია და სიუიტები, ლ. ჩეპენლიანსკის „საზეიმო უფერტიურა“ და სხვა.

ნაყოფიერად ვითარდებოდა საგუნდო მუსიკა, შეიქმნა კაპელის სტილით დაწერილი მ. ბერიკაშვილის, თ. აჯაპუას, რ. გუმბას, კ. ჩენგელიას და სხვა კომპოზიტორთა ახალი გუნდები. აფხაზური საგუნდო მუსიკა გამდიდრდა კანტატებით, რომელთა შორის აღსანიშნავია თ. აჯაპუას „ფიქრები სამშობლოზე“, რ. გუმბას „მუქმეფნი აფსნი“ და „ხალხთა მეგობრობა“, ა. ჩიჩბას „უკვდავი სახელი“, კ. ჩენგელიას „აღორძინებული აფსნი“ და სხვა. ამ კომპოზიტორთა მეცადინეობით დღითიდღე იხვეწება, მადლდება აფხაზური საგუნდო მუსიკის პროფესიულ-მატერული დონე, ფართოვდება მისი იდეური დიაპაზონი. ამავე პერიოდში შეიქმნა და ყოფაცხოვრებაში დამკვიდრდა მრავალი ახალი მასობრივი სიმღერა.

ინტენსიურად ვითარდება აფხაზური კამერული მუსიკაც, რომელიც თანდათან ფართოვდება სიმებიანი თუ სასულე ინსტრუმენტებისათვის დაწერილი სოლო და ანსამბლური ნაწარმოებებით, რომანსებით. მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ლ. ჩეპელიანსკის „სონატამ პობოისა და ფორტეპიანოსათვის“, რ. გუმბას რომანსებმა, პ. პეტროვის „რონდომ სასულე საკავთა კვინტეტისათვის“, „პიესამ საფორტეპიანო ტრიოსათვის“.

აფხაზური პროფესიული მუსიკის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ახალგაზრდა კომპოზიტორის ვ. ჭყადას მიერ ამავე პერიოდში შექმნილი ბალეტი „რიწა“, რომელიც ამ ეპოქის პირველ ნიმუშს წარმოადგენს.

ამავე პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო ეროვნული პედაგოგიური რეპერტუარის ფორმირებას. კომპოზიტორებმა ვ. ჭყადამ, ა. ჩიჩბამ, პ. პეტროვმა, ლ. ჩეპელიანსკიმ ბავშვებისათვის შექმნეს საფორტეპიანო პიესები, ა. ესებუამ და თ. აჯაპუამ პიესები სასულე ინსტრუმენტებისათვის, კომპოზიტორმა პ. პეტროვმა კი ჩვენს მოზარდებს მიუძღვნა „საბავშვო სიუიტა“ სიმფონიური ორკესტრისათვის.

აფხაზური მასობრივი სიმღერის, კამერულ-ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის განვითარების მიზნით აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირმა დააწესა საპედაგოგიური კონკურ-

სემი საუკეთესო პატრიოტულ სიმღერაზე, კამერულ მუსიკის ნაწარმოებებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების და აფხაზეთის XXXV საოლქო პარტიკულფერენციის აღსანიშნავად აფხაზეთის კომპოზიტორებმა შექმნეს ახალი ნაწარმოებები. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენებს რ. ვეკუაძემ მიუძღვნა ორატორია, პ. პეტროვმა მეორე სიმფონია, მ. ბერიაკვილიძე ვოკალური ციკლი, ლ. ჩეპელიანსკიმ „საიუმბილო პოემა“ სიმფონიური ორკესტრისათვის, ჩენგელიამ და ავაბუამ ახალი სიმღერები და სხვა.

უქანსკენელ წლებში გამოიკა აფხაზ კომპოზიტორთა პარტიტურები, მათ შორის ა. ჩიჩხას დრამატული უფერტურა „ხილვები“, ვ. ჭკადუას სიმფონიური სურათი „დილა მთაში“, ა. ჩიჩხას კანტატები „ოქტომბრის გამარჯვების ზეიმი“ და „უცდავი სახელი“, მ. ბერიაკვილის გუნდები „შრომის სიმღერა“, პ. პეტროვის სიუეტა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის, „ავარტულები“, ლ. ჩეპელიანსკის „ლევენა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის“ და სხვა.

გრამფირფიტებზე ჩაიწერა აფხაზეთის კომპოზიტორთა სიმფონიური ნაწარმოებები.

თავიანთ ნაწარმოებებში აფხაზ კომპოზიტორები ასახავენ ჩვენს დიად სინამდვილეს, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელ საბჭოთა ადამიანთა სახეებს. სკკპ XXVI ყრილობის წინა პერიოდში აფხაზეთის კომპოზიტორებმა მოახდინეს შემოქმედებითი ენერგიის მაქსიმალური მობილიზაცია, საგრძნობლად გააფართოვეს თავიანთი შემოქმედების თემატური წრე, აიმაღლეს ოსტატობა, გააღრმავეს კავშირი პროფესიულსა და ხალხურ მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ამავე პერიოდში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა კომპოზიტორებმაც, რომელთა წარმატებები აფხაზეთი პროფესიული მუსიკის პერსპექტივებზე მეტყველებენ.

აფხაზეთის საკომპოზიტორო ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მშობლიური მუსიკის პროპაგანდა, მუსიკალური კულტურების ინტერნაციონალური კავშირების გაღრმავებისა და გაძლიერების, საბჭოთა ქვეყნის მრავალრიგულ ოჯახში თავისი ადგილის დამკვიდრების მიზნით. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებითაც ბევრ რამ გაკეთდა.

აფხაზეთის მუსიკა თავის წარმატებებს უნდა უმაღლესად პირველ რიგში ქართულ მუსიკოსებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთი პროფესიული მუსიკის ფორ-

მირებისა და განვითარების საქმეში. საქართველოსა და აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირების შემოქმედებითი კონტაქტები განსაკუთრებით გაღრმავდა უკანასკნელ წლებში, გამოიძებნა და დამკვიდრა ქართული და აფხაზი კომპოზიტორების თანამშრომლობის ახალი ფორმები. დიდ შემოქმედებით სტიმულად იქცა შემდგომი ერთობლივი პროპაგანდისტული მუშაობისათვის „აფხაზეთი მუსიკის დღეები“, რომლებიც წარმატებით ჩატარდა თბილისში, რუსთავსა და თელავში 1979 წლის ივნისსა და ივლისში. აფხაზეთი კულტურის ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გაგრძელებას წარმოადგენდა 1980 წლის მაისში აფხაზეთში ჩატარებული „აფხაზეთი და ქართული მუსიკის დღეები“. ამ შესანიშნავი ღონისძიების წყალობით აფხაზეთის მშრომელები, კომპოზიტორები, მუსიკები, ინტელიგენცია გაცნო ქართული და აფხაზეთი მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშებს. ამ კონცერტებში, რომლებიც გაიმართა სოქუმში, ტყვარჩელში, ონიშირეში, ვაგრაში, გუდაუთში, ვალში, გულრიფში, აგრეთვე სოფლებში ლიხინა და ცებელა, მონაწილეობდნენ საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები, ცნობილი შემსრულებლები. ფართო გამოხმაურება ჰპოვეს კომპოზიტორებისა და მუსიკოსთა კონცერტების გამოსვლებმა ფაზარიკა-ქარხნებში, კომპოზიტორებში, საწარმოო დაწესებულებებში. აფხაზეთი და ქართული მუსიკის დღეები“ დააკვირვინა „მრგვალმა მაგიდამ“, რომელმაც დასახა შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომი გზები.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებას თავისი კვალი დაამჩნია კიდევ ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა მოვლენამ — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით სოხუში ჩატარებულმა თათბირმა თემაზე „შემოქმედებითი ინტელიგენცია და მხატვრული თვითმოქმედება“. ამ საკითხის აქტუალობაზე, სოფლის მაცხოვრებელთა კულტურული განვითარებისათვის კონკრეტულ ღონისძიებებზე ილაპარაკა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. ორჯონიკიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ მ. ჯანაბრიძემ, ეურნალ „ალაშრას“ რედაქტორმა გ. გულდამ, მწერალმა ქ. აბრევიძემ, მუსიკოსებმა ნ. ხაშაძემ, გუდაუთის კულტურის სახლის დირექტორმა ი. ლავრიაძემ და სხვებმა. ამ თათბირის თავისებურ ილუსტრაციად იქცა სოხუში, თბილისსა და რუსთავში ჩატარებული აფხაზეთი

ხალხური მუსიკის კონცერტები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებისადმი. ფოლკლორულმა კონცერტებმა ერთის მხრივ, გაზარდეს ხალხური მუსიკალური შემოქმედებისადმი შემსრულებელთა ინტერესი, ხოლო, მეორეს მხრივ, ხელი შეუწევეს ქართველი და აფხაზი მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთკავშირების განმტკიცებასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის წარგზავნილები ქართულ საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ზედებოდნენ არა მარტო საკონცერტო ატმოსფეროში, არამედ მეგობრულ ვითარებაშიც, სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებს; ასეთი შეხვედრა-საუბრების წყალობით საფუძველი ჩაეყარა ჰუმარიტად ადამიანურ კონტაქტებს, რაც უფრო მეტად დააახლოვეს ჩვენს ხალხებს.

ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც ახლახანს ჩატარდა. ვგულისხმობ აფხაზეთის კომპოზიტორთა შეხვედრას აფხაზეთის XXV საოლქო პარტკონფერენციის დელეგატებთან. ამ შეხვედრაზე ჩვენმა კომპოზიტორებმა დამსწრე საზოგადოებას უამბეს თავიანთ შემოქმედებაზე და მიიღეს დაკვირვებები ახალ ნაწარმოებებზე.

ასეთია არცთუ სრული სია იმ მოვლენებისა, რომლებიც განხორციელდა აფხაზეთის მუსიკალურ ცხოვრებაში წინამორბედი ყრილობიდან დღემდე.

მთავარია ის, რომ უკანასკნელ წლებში აფხაზეთის პროფესიულმა მუსიკამ თანდათან მოიპოვა თავისი ადგილი მრავალტროვან საბჭოთა მუსიკალურ კულტურაში, რაც ჩვენთვის ძალზე საამაყოა.

ჩვენ ვამაყობთ აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივებით და შესანიშნავი შემსრულებლებით, რომლებმაც საგრძობლად ამაღლეს აფხაზური მუსიკალური ხელოვნების პროფესიულ-მხატვრული დონე. დღეს უკვე აფხაზეთის მუსიკალური კულტურა წარმოდგენილია ყველა ეანრით — ოპერით, ბალეტით, ორატორიებით, კანტატებით, სიმფონიებით, კამერული მუსიკით, სიმღერებით, და ა.შ. ეს ნაწარმოებები ჰუმარიტად ეროვნულია, გამსჭვალულია ხალხური სულით.

მაგრამ თვალსაჩინო წარმატებების ფონზე ჩვენ არც ნაკლოვანებებს ვივიწყებთ, ვებრძობი ხარვეზებს. დღის წესრიგში კვლავაც იდგება თანამედროვეობის სულისკვეთებით აღბეჭდილი ჰუმარიტად რეალისტური ნაწარმოებების შექმნის ამოცანა. ჩვენი მიზანია კომპოზიციის დიდი იდეების წარმოსახვა მუსიკალური ხელოვნების საშუალებებით.

ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედება

მიხეილ ოძელი

საქართველოს კომპოზიტორთა
კავშირის მდივანი

1976 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დადგენილება „შემოქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, რომელმაც სკკპ XXV ყრილობის შეუქმნე დასახა ახალგაზრდული შემოქმედებითი მოძრაობის აღმავლობისა და სრულყოფის გზები.

ამ დადგენილებამ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც თელ საბჭოთა კავშირში, ფართო გამოხმაურება პოვა. საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობა დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა პარტიისა და მთავრობის ამ ღირსშესანიშნავ დოკუმენტს,

რომელმაც მძლავრი ზიძგი მისცა მათ შემოქმედებით მუშაობას.

ჩვენმა ახალგაზრდა მხატვრებმა და არქიტექტორებმა, ლიტერატორებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნეს მრავალი, შინაარსისა და ფორმის მხრივ საინტერესო ნაწარმოები, რომელშიც ასახა ჩვენი სინამდვილე, საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო.

ამ ფართოდ გაშლილ შემოქმედებით საქმიანობაში თავისი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა ქართველმა მუსიკოსებმაც.

1976 წელს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობამ გამართა პლენუმი, რომელიც მთლიანად მიჰქცნდა ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედებას, ეს იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი ზემოაღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ამ პლენუმმა წარმოაჩინა ახალგაზრდა კომპოზიტორები: მანანა ცერცვაძე, იოსებ ბარდანაშვილი, გიორგი ჩლაიძე, ელისაბარ ლომდარიძე, რუბენ კაჟილოტი, თენგივ შავლობაშვილი, ალიკო შანიძე, ვახტანგ ჭულუხაძე, ლავერნტი ჯინჭარაძე, მერაბ გაგნიძე, ჯუმბერ კეკეყაძე და სხვები. დრომ დაგვიმონწა, რომ მათი გამოცემა შემოქმედებით ასპარეზზე არ ყოფილა შემთხვევითი. დღეს ეს კომპოზიტორები გატაცებით მუშაობენ მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა ფანრში, მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. ცხადია, მხოლოდ ერთი პლენუმი, მიუხედავად თავისი მრავალმხრიობისა, ვერ გადაწყვეტდა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის ამოცანებს. ამ მიმართულებით შემდგომშიც ბევრი რამ გაკეთდა.

1979 წელს (საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მეექვსე ყრილობის შემდეგ) კომპოზიტორთა კავშირში შეიქმნა „ახალგაზრდა მუსიკოსთა გაერთიანება“, რომელშიც შევიდნენ არა მარტო კომპოზიტორები, არამედ მუსიკისმცოდნეები და შემსრულებლები. „ახალგაზრდა მუსიკოსთა გაერთიანება“ მიზნად ისახავს ახალგაზრდა კომპოზიტორებისა და მუსიკისმცოდნეთა ნამუშევრების პოპულარიზაციას, აგრეთვე, ვოკალისტებისა და ინსტრუმენტალისტების ჩართვას კომპოზიტორთა შემოქმედებითი მუშაობის პროცესში.

გაერთიანების მიერ ჩატარებული გარკვეული მუშაობა:

ახალი წლის შემოდგომაზე სოხუმში ქაროველი და აფხაზი ახალგაზრდების ძალებით ჩატარდა „ემინარი, რომელიც განიხილავდა მუსიკის, თეატრისა და კინოს შემოქმედებით პრობლემებს. წინადა პროფესიული ინტერესის გარდა ამ ღონისძიებას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მან ხელი შეუწყო ხელოვნების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა მუშაკების დახლოებას. სასურველია, რომ ეს სემინარი ტრადიციულად იმართებოდეს, რაც ძალიან კარგ შედეგს მოიტანს.

იმავდ წელს, მოსკოვში, საკავშირო კომპოზიტორთა კავშირში მოეწყო ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა კომპოზიტორების მიერ სხვადასხვა ფანრში შექმნი-

ლი ნაწარმოებების მოსმენა, რის შედეგადაც დასაბეჭდად იქნა რეკომენდებული რამდენიმე ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოები.

მარშან, ვახაფხულზე ერეგანში გაიმართა ამიერკავკასიის ახალგაზრდა კომპოზიტორთა კამერული მუსიკის ფესტივალი, რომელზეც დიდი წარმატება ხვდა ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა კამერული მუსიკის სადამო.

სულ ახლახანს კი თბილისის ოპერის თეატრში მოეწყო ორი რესპუბლიკის (უკრაინა და საქართველო) ახალგაზრდა შემოქმედთა კონცერტი, რომელიც გათავალისწინებული იყო საქართველოსა და უკრაინის კომპოზიტორის ცენტრალური კომიტეტების ინიციატივით ჩატარებული ახალგაზრდა შემოქმედთა სემინარის პროგრამით. ამ კონცერტზე მონაწილეობდნენ ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორები და შემსრულებლები.

გრამფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოუშვა ორი გიგანტი რუბრიკით „საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები“. ფირმას განზრახული აქვს სისტემატურად გამოუშვას ამ რუბრიკით ფირფიტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყველა შემოქმედებით პლენუმსა და სხვა ღონისძიებაში. ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს თუ რა მრავალმხრივი და საინტერესო მუშაობა აქვს ჩატარებული უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მუსიკოსებს.

მარშან, წლის ბოლოს კი ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედებას მიუძღვნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მეოთხე შემოქმედებითი პლენუმი, რომელიც სკკპ X XVI ყრილობის წინა პერიოდში გაიმართა, პლენუმის დანიშნულებაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს მისი დევიზი: „საქართველოს მუსიკალური ახალგაზრდობა სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას“.

რა მოგვცა განვლილმა პლენუმმა?

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ უკვე ცნობილ მუსიკოსებთან ერთად, პლენუმში მონაწილეობდა ჩვენი მუსიკალური საზოგადოებისათვის უცნობი მრავალი ახალგაზრდა ავტორი, რამაც ბევრი ახალი ნაწარმოების წარმოჩენა განაპირობა. შესაძლოა, პროგრამის შედგამის, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო შეგნებულად წავიდა გარკვეულ დამოძიებაზე, რათა თავიანთი ნაწარმოებების შესრულებისა და მოსმენის შესაძლებლობა მიეცა ახალბედა ავტორებისათვის. ამის შედეგად ეს დათვლიერება გასცდა რა კომპოზიტორთა კავშირის რიგითი პლენუმის საზღვრებს, ახალგაზრდა მუსიკოსთა ფესტივალში გადაიზარდა.

პლენუმზე შესრულდა სამი სიმფონია, რომლის ავტორები არიან ზურაბ ჟვანია, ელისაბარ ლომდარიძე და იოსებ ბარდანაშვილი.

ეს ზრდად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან მუსიკალური ხელოვნების ეს ურთულესი ფანრი უადრესად სერიოზულ შემოქმედებით ამოცანებს სახავს

კომპოზიტორთა წინაშე. საქმე ისაა, რომ სიმფონიის შექმნა კომპოზიტორთაგან მოითხოვს გარკვეულ შემოქმედებით გამოცდილებას, განზოგადებულ აზროვნებას, დრამატურგიული და სიმფონიური განვითარების უნარსა და ოსტატობას.

ამ ჟანრში თავისი შესაძლებლობები მოსინჯა ი. ბარდანაშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიყარო ყურადღება, როგორც ნიჭიერმა, პერსპექტიულმა კომპოზიტორმა. დღეისათვის მას შექმნილი აქვს საინტერესო ნაწარმოებები: საფორტეპიანო კვინტეტი. საფორტეპიანო ტრიო, დიალოგები ჩელოსა და კამერული ორკესტრისათვის, კონცერტი ვიტარისათვის. ამ ნაწარმოებებში თანდათან ჩამოყალიბდა მისი ხელწერა, გამოიწერთნა საკომპოზიტორო ტექნიკა. დღეს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ი. ბარდანაშვილის შემოქმედებითმა პოტენციამ იმთავითვე განსაზღვრა მისი სწრაფვა ამ ურთულესი ჟანრისაკენ.

ი. ბარდანაშვილის სიმფონიის წარმატების ძირითადი მიზეზი შეიძლება გამოვხატოთ ერთი ფრაზით — ეს არის უნარი გარკვეული ემოციური განწყობილება შეურწყას სიმფონიურ აზროვნებას, რაც მომავალში ავტორს უფრო მაღალ შედეგთან მიიყვანს.

ელიზბარ ლომდარიძის ყოველ ახალ ნაწარმოებში იგრძნობა შემოქმედებითი წინსვლა. ამას გვიმონებენ მისი ინსტრუმენტული კონცერტები, კამერუ-

ლი ნაწარმოებები, რომლებმაც ნიადაგი შეამზადეს სიმფონიის შექმნისათვის. სიმფონია ე. ლომდარიძის სერიოზული ნაწარმოებია. ავტორმა შეძლო ექსპონიციური მასალის ჩამოყალიბება და განვითარება, გამოამჟღავნა ორკესტრის ცოდნა.

ზურაბ მყავია პირველად წარსდგა ფართო მუსიკალური საზოგადოების წინაშე. სიმფონია წარმოადგენს მის სადიპლომო შრომას. ჩემის აზრით, სიმფონიის შექმნა მისთვის რამდენადმე ნაადრევი აღმოჩნდა, ბუნებრივია, რომ დიპლომანტს არ ეყო ცოდნა და გამოცდილება ესოდენ რთული და სერიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

პლენუმზე შესრულდა ორი ინსტრუმენტული კონცერტი: ეს გახლავთ რეზო ჩიტაშვილის კონცერტი კლარნეტისა და ორკესტრისათვის, რომელშიც ავტორმა საინტერესოდ და თავისებურად გამოიყენა ძველი თბილისის ფოლკლორული ტრადიციები და სტუდენტ-კომპოზიტორის ვახტანგ კახიძის საფორტეპიანო კონცერტი. ამ ნაწარმოების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ ვ. კახიძის შემოქმედებაზე, რადგან ვ. კახიძე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება.

სიმფონიურ კონცერტებზე შესრულდა მ. მერაბიშვილის „ვოკალიზი“ ხმისა და ორკესტრისათვის და ზ. ნინოშვილის „სიმფონიეტა“, რაც ამ ავტორებს სტიმულს მისცემს შემდგომი მუშაობისათვის.

პლენუმზე შესრულდა ნაწყვეტები ახალგაზრდა აფხაზი კომპოზიტორის ვალერი ჭკადაუს ბალეტი-



„ჩვენ ვაზნებათ კომუნისის“

ი. სიხარულიძე

ქალაქმშენებლები

მ. სიხარულიძე

რუსთავე



დან „რიწა“. ეს საგულისხმოა მით უფრო, რომ „რიწა“ პირველი აფხაზური ბალეტი, რომელიც ელოდება სცენურ ხორცშესხმას.

წინამორბედ პლენუმზე წარმოდგენილი კამერული ნაწარმოებები აღემატებოდა სიმფონიურ ნაწარმოებთან რიჯებს, რაც სავეტიბო ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ კამერული ფანრის მობილურობას. ამჯერად კი, შედეგით მხოლოდ ერთი კამერული კონცერტის პროგრამის შედგენა. ეს შეიძლება ავსსნათ ახალგაზრდობის გატაცებით სიმფონიური მუსიკის ჟანრებით. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ კამერული მუსიკის სფეროში ინტენსიურად მუშაობენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, მათ შორის კომპოზიტორები თენგიზ შავლობაშვილი და რუბენ კაჟილოტი. ამჯერადაც, კამერული კონცერტის პროგრამა სწორედ მათ ნაწარმოებებზე აიგო — რ. კაჟილოტის მესამე სიმფონიური კვარტეტი და თ. შავლობაშვილის ვოკალურ-ინსტრუმენტული პოემა „წმინდის კედელი“.

კამერულ კონცერტზე წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ომარ მანდორაშვილის სონატა ფლეიტისა და ფორტ-პიანოსათვის. რომლის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ესტონელი მუსიკოსის სამუელ საულუსის საპროგრამული ოსტატობამ.

პროფესიულად გამართული ნაწარმოები წარმოადგინა კომპოზიტორმა ფანა პლიევამ. მისმა ვოკალურმა ციკლმა ოსური ხალხური ეპოსიდან კარგი

შთაბეჭდილება დატოვა ისევე, როგორც ლევან თაყაიქიშვილის გუნდებმა, მერაბ ტულუშის საფორტეპიანო სონატამ, დათო ტურიაშვილის ვოკალურმა ციკლმა, ლარისა ჟიგოვას ორმა ვოკალურმა პიესამ.

პლენუმზე არ იყო წარმოდგენილი არც ერთი ოპერა და ბალეტი, რაც აიხსნება ამ ფანრების განსაკუთრებული სირთულით. გარდა ამისა, ახალი ოპერები და ბალეტები ძნელად იკვლევენ გზას სცენისაკენ. კარგი იქნება თუ საოპერო თეატრის ხელმძღვანელობა გამოძებნის ახალგაზრდა ავტორებთან თანამშრომლობის ფორმებს, რითაც მათ დიდ დახმარებას აღმოუჩენს.


სიმღერა წარმოდგენს მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, ცხოველყოფელ ფანრს. მასში გამოხატულებას უნდა ჰპოვებდეს ათასობით მშრომელი ადამიანის მისწრაფებები. სიმღერა მხოლოდ მაშინ აღწევს შემოქმედებით სიმაღლეებს, როცა იგი ემსახურება ადამიანის სულიერი სამყაროს გაამდიდრებისა და დახვეწის ამოცანებს. ქართულმა სიმღერამ ტყუპმარტად მაღალმხატვრული განსახიერება ჰპოვა რევაზ ლაღიძის, ბიძინა კვერნაძის, გიორგი ცაბაძის, ვაჟა აზარაშვილის, შოთა მილორავას, გია ყანჩელის, ჯანსუღ კახიძის, დავით თორაძის შემოქმედებაში. ქართული სიმღერის საუკეთესო ნიმუშები გასცდა ჩვენი რეს-

ა. თევზაძე

აღმშენებლობა

ზ. წერეთელი

გაზაფხული



პუბლიკის ფარგლებს და დამკვიდრდა მრავალი საბჭოთა მომღერლის რეპერტუარში.

მაგრამ დღეს ჩვენი სიმღერა არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. თითქმის არ მოგვეპოვება თანამედროვეობის ამსახველი სიმღერები. სამწუხაროა ისიც, რომ ახალგაზრდა თაობის კომპოზიტორები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ მტად მნიშვნელოვან ჟანრს. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორები გათიშულნი არიან ახალგაზრდა პოეტებისგან. სიმღერა კი კომპოზიტორისა და პოეტის ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია, მის ღირსებებს განაპირობებს არა მარტო მუსიკა, არამედ ლექსიც. აქედან გამომდინარე, უნდა გამოიქვეყნოს ახალგაზრდა კომპოზიტორებისა და პოეტების შემოქმედებითი თანამშრომლობის ფორმები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიმღერა მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის მაღალ მოქალაქეობრივ დანიშნულებას, როცა იგი ჩადგება ჩვენი დღევანდლობის ავანგარდში და გამოეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

კომპოზიტორები ხშირად გამოთქვამენ ხოლმე პრეტენზიებს მუსიკისმცოდნეთა მისამართით. მოითხოვენ მათგან მეტ ოპერატიულობას, მეტ ყურადღებას, საფუძვლიან დანიტრესებას მათი შემოქმედებით. მეორეს მხრივ, არასწორი იქნებოდა მუსიკისმცოდნეთა მოღვაწეობის შემოფარგვლა მხოლოდ

ჩვენი ნაწარმოებების პროპაგანდით. მით უფრო, რომ ქართული მუსიკისმცოდნეობა ვალდებულია იყოს ნული ხალხური და პროფესიული მუსიკის ისტორიის, ესთეტიკის წინაშე. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე არ არსებობს სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლიდა, გააანალიზებდა მუსიკალური ხელოვნების პრობლემებს. რესპუბლიკურ პრესაში იშვიათად იბეჭდებოდა პრობლემური თუ კრიტიკული წერილები, სადაც ობიექტურადაა შეფასებული თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკის მდგომარეობა.

თანამედროვე ქართული მუსიკის შესწავლის მნიშვნელოვან ცდას წარმოადგენდა ახალგაზრდა მუსიკისმცოდნეთა კონფერენცია, რომელმაც გააფართოვა და გაამრავალფეროვნა პლენუმის მუშაობა, მისი ამოცანები. კონფერენციაზე ახალგაზრდა მუსიკისმცოდნეებმა გააანალიზეს ქართული პროფესიული და ხალხური მუსიკის მათთვის საინტერესო საკითხები. ვიმედოვნებ, რომ ისინი მომავალშიც განაგრძობენ მუშაობას და თავის წვლილს შეიტანენ ქართული მუსიკალური კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ნებისმიერი დარგის ხელოვანს, სახელდობრ, კომპოზიტორს, რომელსაც უნდა გააჩნდეს თავისი ეთიკური და ესთეტიკური პოზი-

„ჩვენ ვაშენებთ კომუნისმს“



ცია, უნდა აქტიურად ენმაჟრებოდეს ყველა იმ საზო-
რადობრივად მნიშვნელოვან მოვლენას თუ გარდაქმ-
ნას, რომლისაჲც ადგილი აქვს არა მარტო ჩვენს რეს-
პუბლიკაში, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანაში.

სამწუხაროა და პარადოქსულიც, რომ ახალგაზრდა
ქართველი კომპოზიტორები არ იჩენენ სათანადო ინ-
ტერესს თანამედროვეობის ამსახველი თემატიკის მი-
მართ, ურომლისოდაც ჩვენი შემოქმედება არ განიმსჭ-
ვალება ეპოქისათვის შესატყვისი სულისკეთებით,
იდეებითა და სახეებით, რომელთა წარმოსახვისა და
გააზრების ხერხებსა და საშუალებას გვკარნახობს
დრო, გვკარნახობს ცხოვრება. ისიც უნდა გვახსოვ-
დეს, რომ თანამედროვე თემატიკის ფორმალური,
ზედაპირული, არაშემოქმედებითი გადანაწილა ინ-
ვივის მის დისკრედიტაციას. ეს საკითხი უკავშირდება
შემოქმედებითი პრობლემების წრეს — მუსიკალური
ენის, სტილის, ტექნიკის ამოცანებს, რომელთა გა-
დანაწილება მოითხოვს წარსულისა და თანამედროვე
მუსიკალური ესთეტიკის საფუძვლიან ცოდნას, მრავ-
ალსაუკუნოვან ეროვნულ მუსიკალურ ტრადიციებ-
ზე დაყრდნობას, საკუთარი მსოფლშეგრძნებისა და
ხელწერის გამომუშაებას. რა თქმა უნდა, თვითდა-
მკვიდრების პროცესი შეიცავს დაძაბული ძიებებისა
და ექსპერიმენტების მომენტსაც. კარგად უნდა
გვახსოვდეს, რომ XX საუკუნის ტექნიკურ-სტილის-
ტიური სიახლეების ბრმა მიდევნებას უხეირო ეპიგო-

ნობის მეტი არაფერი მოაქვს. ამის საფრთხე დად-
რადებულია ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ეს ფიქრები აღგვიძრა განვლილმა პლენუმმა,
რომელმაც მთელი სიცხადით წამოჭრა ახალგაზრდა
კომპოზიტორთა წინაშე მდგარი ამოცანები. დღის
წესრიგიდან არ უნდა მოვხსნათ ისეთი მცენებები,
როგორცაა მხატვრული სიმართლე, სინრფულე, სი-
სადავე, აზრისა და ემოციის სიღრმე, განცდათა უშუა-
ლობა და სიმძაფრე. უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ
ჩვენი ხელოვნების სულზე, უფრო მეტად უნდა ვიზ-
რუნოთ მის სინმინდესა და სილამაზეზე...

დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, ხელოვნებისა
და ლიტერატურის ყოველი მოღვაწე ემზადება რა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სა-
ქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების შესახ-
ებრად აჯამებს სკკპ XXV ყრილობიდან დღემდე
ჩატარებულ მუშაობას, ცდილობს ობიექტურად, პი-
რუთენლად შეაფასოს თავისი ნამოღვაწარი.

ჩვენი — ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორებს,
გემართებს საკუთარი თავისადმი მეტი მომთხოვე-
ლობა და სიმკაცრე. უნდა გვახსოვდეს, რომ დრო
გვაკისრებს განსაკუთრებულ როლსა და პასუხის-
მგებლობას და რომ ჩვენზე დამოკიდებული ქართ-
ული მუსიკის მომავალი, მისი ხვალისდელი დღე.

რ. თორღია

ზაფხულის დღია



ო. ალბორტი

ოსეთი



ვაშლისფერო სურათები და გამარჯვებები

მედია მეზერიშვილისაქართველოს კომპარტიის სეკრეტარის
რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგებო!

იმდენად დიდი შთაბეჭდილებები მივიღე გუშინ და დღეს ყრილობის მსვლელობისას, რომ, რა ვთქვა, რით დავიწყო, მიძინელებდა. რომ იტყვიან, ჩემი გული „ზღვას“ ერევა და მეშინიან, ვიტყვი კი იმას, რის თქმაც მინდოდა და რისთვისაც ამდენი ხანი ვემზადებოდი.

კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე არც გარეჯელები მოსულან ხელცარიელი, მაგრამ რადგანაც ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ამავე შენობაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი გამოფენა და დიაგრამები, რომელსაც გულდასმით გაეცანით, ვფიქრობ, დელეგატებს რაიონის მიღწევებით თავს აღარ შეგანწყენთ. ამის აუცილებლობა იმანაც მოხსნა, რომ ჩვენი საყვარელი მწერლები, პრესა, რადიო და ტელევიზია ზომიერად მეტადაც კი აშუქებს რაიონის მომხდარ გარდაქმნებს და ყველაფერი ისედაც ცნობილია.

თუ ნებას მომცემთ, კეთილი მიზნებსათვის გამოვიყენებ ამ მაღალ ტრიბუნას და რაიონის მშრომელთა სახელით დიდ მადლობას ვეტყვი ყველას, ვისაც ჩვენი ტკივილებით სტკივა გული და ჩვენი სიხარული უხარია.

ამხანაგებო! პარტიის ყრილობა დიდი მოვლენა კომუნისტების ცხოვრებაში, მაგრამ იგი ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება და ყველას ვერ მოუწევს ყრილობაზე სიტყვით გამოსვლა. მე კი იმ ბედნიერ ადამიანთა გამოჩენისას წარმოვიადგინე, რომელსაც ბედნიერება მხედა წილად ორჯერ ზედიზედ გამოვსულიყავი ყრილობაზე სიტყვით.

ამხანაგო დელეგატებო! მაგონდება 1976 წლის იანვარი, როცა წინა XXV ყრილობაზე გამოსასვლელად

ვემზადებოდი, მოვეთათბირე რაიკომის ბიუროს წევრებს და გადავწყვიტეთ დავეყენებინა ყველაზე საჭიროებო და ძნელად გადასაჭრელი საკითხები. ეს იყო საქართველოს ყამირის — გარეჯის უდაბნოს მიწების ათვისების, გასარწყავების, სოფლის განაშენების

გ. ლონტი

შრომის ზეიმი



ნიანების, დასახლების, ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის და რესტავრაციის საკითხები. ზოგი ურწმუნო თომა ეჭვს გამოსთევამდა მათ განხორციელებაზე, მაგრამ ჩვენ მათ არ დაუჯერეთ და ყრილობაზე ვთქვით სათქმელი. ესაა კი უკვე ფაქტია მოხდა დაუჯერებელი. ამის შემდეგ ზღაპრად გავგონილის სინამდვილედ ქცევა გარეჯელებს აღარ გაუკვირდებათ. ფრთები შეეხსა ჩვენი ხალხის საუკუნოვან ოცნებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით 1976 წელს გარეჯის კომპლექსის ბაზაზე შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტი, საფუძველი ჩაეყარა გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულს „გარეჯობას“. ამ დღესასწაულის შემდეგ მთელმა რესპუბლიკამ გარეჯის უდაბნოსაკენ მოიხედა, რასაც შედეგად დიდი ეროვნული საქმე მოჰყვა. მთელი სიძლიერით დაიწყო შეტევა საქართველოს ყამირის ათვისებისათვის. არნახული სისწრაფით მიმდინარეობს უდაბნოს გასარწყავება. ყრილობიდან ყრილობამდე — უდაბნოში აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, სოფელში სამუდამო ბინა დაიდო 70 ოჯახმა, გაიხსნა ფოსტის განყოფილება, ამპულატორია, სკოლა, საბავშვო ბაღი, სადაც უკვე სოფელ უდაბნოში დაბადებული ბავშვები იზრდებიან, და, რაც მთავარია, შეიქმნა ადგილობრივი საბჭო, რომლის დამფუძნებელ სესიას და სასოფლო საბჭოსადმი მიძღვნილ ზეიმს დაესწრნენ საქართველოს კპ ცენტ-

რალური კომიტეტის ბიუროს წევრები მისი პირველი მდივნის ხელმძღვანელობით. ზეიმს თითქმის მთელი საქართველოს წარმომადგენლები დაესწრნენ და ერთი სოფლის აღორძინება, რომელიც მათე სუთნლედის პირშია, მთელი საქართველოს სიხარულად იქცა.

მარტო ის რად ღირს, რომ ათასწლეულთა სიღრმეში ისტორიის და ბედის უკუღმართობით დადუმებულმა და გაქავევებულმა თვალუწვედენელმა ველებმა ენა ამოიდგეს. ამაზედაც მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო წინა ყრილობამდე განვიღო პერიოდში. მთავარი კი ის იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე კონტროლი დაამყარა მიღებული დადგენილების შესრულების შემომზებაზე. მაკრად გვთხოვდა პასუხს, მაგრამ გაჭირვებისას დიდად გვეხმარებოდა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანისათვის თავდაზოგავად იბრძოდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, გარეჯის უდაბნოს, რამდენი უმანკო ცრემლიც არ გვეღვარა, გაცოცხლება არ ენერა. გმირობის ტოლფასია ყოველივე ეს და ალბათ დილეგატები დამეთანხმებიან, რომ მარტო ამგვარი მონაპოვრებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად კი არა, წარჩინების ყველაზე მაღალი ნიშნით უნდა შეფასდეს.


„ჩვენ ვაშენებთ კომუნისს“

გ. თოიძე

ჩემი სამშობლო

ო. ჯიშკარიანი

დღია ქარხანაში



გვეამაყება, რომ ამ სახელოვანი მატანეს შემოქმედის დღევანდელი საგარეოს რაიონის ძაბრძელები არაა, როდღებამაც, როცა ყრილობაზე მოვსოლიო-ბით, გულწრფელად დამაბარეს თქვენთან, ძირფხვან ედუარდ ამბროსის თვე, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მასულიმელო— დიდი ასაღობა გითხრათ ჩვენი რაიონის ძაბრძელები თვე თრუნისა და დამაბრძინისათვის, იმი-სათვისაც, რომ თქვენი თოსხობით ჩვენი ხალხის დაუღალავმა შრომამ და გარჯვამ, თავდადებამ და ერთფულეობამ გაიყვანა ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო-დღე შიჯსაზე, გარჯეფელი კი პირობას გაძღვეთ ვიქ-ნებით პარტიის საქმის ერთგული, არ შეუყმინდებით სინდღეებს, გინდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯ-დეს, ოღონდ აყვავდეს ჩვენი მამული ჩვენი მზიური საქართველო, რომ ძმათა თანავარსკვლავედში მუდამ კამკაშედეს მისი დიდება, მისი სახელი. ჩვენ გვინდა ჩვენი რესპუბლიკა იყოს სამეულში და არა სამოც-დაათეულში.

ამხანაგებო! მინდა რამოდენიმე საკითხი დავაყენო და ვთხოვო საქართველოს კმ ცენტრალურ კომიტეტს და რესპუბლიკის მთავრობას ამ საკითხების გადაჭ-რად რამდგვემაროს.

ჩემი თაობის ადამიანები ახალი სოფლის დაბადე-ბას უფრო იშვიათად მოსწრბიან, ვიდრე მის გაუქ-მებას. ჩვენი თვალმინი გაუქმდა სოფლები — ზემო ყანდარუა, ბურღიანი, თორაქი, ხოლო ექვს სოფელ-ში, როგორც უპერსპექტივო სოფლებში, აიკრძალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

სამწუხაროა, რომ ცივის მისს კალთებზე გაპარ-ტებად ღამაზად გაშენებული სოფლები და რესპუბ-ლიკური გზის პირად დასახლდნენ ოდითგანვე სუფ-თა პაერზე გაკაფებული ადამიანები. მტვერმა და მანქანის გამონაბოლქვმა დააქინა მათი შთამომავ-ლობა, ხოლო მათი ნასახლარები კი შპა-აბაზის მიერ აობრებულ სოფლებს დაემსგავსა.

დღეს კი გული სიხარულს ვედარ იტევს, როცა ვი-ცით, რომ საქართველოს კმ ცენტრალურ კომიტეტს სურს ქართულ სოფელს დავებრუნოთ თავისი ძალ-ღონე და სიღამაზე. ჩვენ დავით, რომ სოფელი სა-ხელმწიფოს ხერხემალს წარმოადგენს და ქვეყნის მარჩენალია. ამიტომ გადაუნყვითეთ ყველაფერი გავა-კეთოთ გაუქმებული სოფლების აღდგენისათვის. მარ-თალია, მარტო ჩვენ გაგვიჭირდება ამ საქმის დაძლე-ვა, მაგრამ გამოჩნდებიან კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც დაგვემარბიან, რადგან მათ კარგად იციან, რომ ქართული სოფლის განვითარება და აღორძინება არ არის ერთი რომელიმე უწყების ან რაიონის ხელმძღვანელობის საქმე. იგი საერთო, პატ-რიოტული, დიდი სახელმწიფოებრივი მიმწინელობის საქმეა. მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ— მინის კაცმა და ქალაქელმა მუშამ, ინჟინერმა და არ-ტიტქტორმა, მხატვარმა და მწერალმა, რადგან ქარ-თული სოფელი მთელი საქართველოა.

რამდენადღე ჩემთვის ცნობილი გახდა საქართვე-ლოს კმ თბილისის საქალაქო კომიტეტს და მასოფ-ლო მწინებლობის სამინისტროს (რომლის მინისტრი ამხ. ს. ხარატიშვილი ჩვენი რაიონის დეპუტატია), გადაწყვეტილი აქვთ დაგვემაროს სოფელ ზემო ყან-დარის აღდგენაში, სიხარულით მივესალმებით ამ სამკილიშვილო წამოწყებას. გნამდეთ, რომ ჩვენც თქვენთან ერთად ვიქნებით. მე ვფიქრობ, რომ ამ ყრი-ლობის შემდგე კიდევ ბევრ მამულიშვილს დაებადება სურვილი მოგვემაროს სოფლების აღდგენაში, აღ-ბათ იმდენი მსურველი გამოჩნდება, რომ მაგდენი გა-უქმებული სოფელი აღარც გვექნება.

ერთი მტკივნეული საკითხის შესახებაც. თუ გინ-და, რომ სოფელი და რაიონი ძლიერი იყოს, ვერგ ხე-ლალებით ჩაუნერავად ნუ მიიღებდენ დიდ ქალაქში რაიონიდან გამოქცეულ ადამიანებს, თორემ გაუქ-მებული სოფლების აღდგენას ვინდა ჩივის, სხვა სოფ-ლებშიც დაიწყება მიგრაცია.

უფრო მეტი წარმატებები გვექნებოდა, რომ ზოგი-ერთი სამინისტრო და საპროექტო ორგანიაცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით წვეტ-დნენ საკითხებს და ისე აშენებდნენ ობიექტებს. ეს ძირითადად ეხება მეცხოველეობის კომპლექსებს. მვა-თე ხუთწლედში ჯერ დამთავრებული არ იყო გიორ-გინმინდის და გარეჯის კომპლექსები და რეკონსტ-რუქცია უკვე დაიწყო. ვართ წგრევა-შენებაში, რა-საც ეწირება უამრავი სახსრები და ჩვენი ნერვები. დროა საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ბოლო მივოლოს.

მათე ხუთწლედში რაიონში ჩაშლილი იყო ელექ-ტროენერგის მომარაგების საქმე. მთელი კვირაო-ბით გამორთული იყო მეცხოველეობის კომპლექსები. ბევრჯერ სანთლის შუქზე ჩავგატარებინეს საახლ-ნლო ზემო, მწერლებთან შეხვედრა თუ აქტივის-ტრება. აღბათ რომის პაპს ვატიკანში ხუთი წლის მანიძილე იმდენი სანთელი არ დაუნეია, რამდენიც ჩვენ. „საქენერგოს“ ახლანდელი ხელმძღვანელობა (უფროსი ამხ. ჭედია) ყველაფერს აკეთებს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მეთერთმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო ვამრავ-ლებთ მიღწევებს.

გვერდობ, ძვირფასო ამხანაგებო! რომ საგარე-ჯოს რაიონის კომუნისტები, მშრომელები, არ დაი-შურებენ ძალასა და ენერგიას, რათა პირნათლად გა-ნაღდონ პარტიისა და სამშობლოსათვის მიცემული პირობა, ამრავლონ წარმატებები და გამარჯვებები ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი დიადი ეპოქის კიდევ უფრო საღიდებლად!

საშრომლო ანკედა

XXVI



ს ს ს ს

მედიცინა

ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების წინა პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური თეატრების დირექტორებს მიმართა რამდენიმე კითხვით:

გთხოვთ დაასახელოთ უკანასკნელი ზუთი წლის მანძილზე მომხდარი ისეთი განსაკუთრებული ფაქტი თუ მოვლენა, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრებაში და წარმატება მოუტანა შემოქმედებით კოლექტივს.

აღნიშნეთ ის მთავარი შემოქმედებითი პრობლემები, რომლებიც ამავე პერიოდში წამოიჭრა და როგორ გესახებათ მისი გადაწყვეტის გზები?

როგორ ეშვადებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების შესახვედრად?

ჭურბ ანჯაფარძი

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი

მოგესტენებათ, რომ 1977 წელს ქართველმა ხალხმა მიიღო უძვირფასესი საჩუქარი — მწყობრში ჩაღდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განახლებული შენობა, რომლის გარეგნულ იერზე არაფერს ვიტყვი, რადგან ისედაც თვალსაჩინოა მისი სილამაზე და მოხდენილობა. აღნიშნავ მხოლოდ იმ ტექნიკურ საბალებს, რომელთა შემწეობით ჩვენი თეატრის ძველმა ნაგებობამ საფუძვლიანი მოდერნიზაცია განიცადა და უკვე მოხერხებულ კომფორტაბელური გახდა. რეკონსტრუქციის შედეგად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს — შემოქმედებითი დასა და ტექნიკურ პერსონალს — მუშაობის შესანიშნავი პირობები შეექმნა. რა თქმა უნდა, ეროვნული კულტურის ეს დიდ შენაძენი წარმოადგენს მიმდინარე ზეოქმედების ერთ-ერთ ყველაზე დიდ შესანიშნავ მოვლენას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი თეატრის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს რეპერტუარი, რომელიც გასაგები მიზნების გამო შეტანს გადაღობული იყო. მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა — უკანასკნელი ზუთი წლის მანძილზე თეატრმა განახორციელა 23 სექტაკლის (14 საოპერო და 9 საბალეტო) დადგმა. თეატრის აფიშა შეიცვალა ვერდის („ტრაჯედა“, „აიდა“, „ოტელო“, „რიგოლეტო“), პუჩინის („ტოსკა“), როსინის („სევილიელი დალაქი“), გუნოს („ფაუსტი“), ჩაიკოვსკის („იოლანდა“), ზ. ფალიაშვილის („ახესალომ და იერი“, „დაისი“) ოპერებით, ჩაიკოვსკის („შჩეღუნეიკი“), ადანის („ეზელო“), მიუნსის („ლაურენსია“), გუნოს („ვალპურგის დამე“) ბალეტებით. მოგესტენებათ, რომ ეს ნაწარმოებები უკველთვის ქმნიდნენ ჩვენი თეატრის საყრდენს, რეპერტუარის საფუძველს, რომელზეც იზრდებოდნენ შემსრულებელთა და მსმენელთა თაობები. აღნი-

შნული სექტაკლები, რომლებშიც კარგად წაწილებიან სხვადასხვა თაობის მწიგნობები, გასტროლოგიების მოწვევის საშუალებასაც ვეძლევენ.

ამ წლების მანძილზე ჩვენმა თეატრმა გზა მისცა ქართულ იუბრებს — რ. ლომის „ლელა“, ო. თაქაიშვილის „მედიკის მოტაცება“, მ. დავითაშვილის „ნაცარქექია“ და ბაღდატის — ხ. ცინცაის „დალა და მონადირე“, გ. განიჭაძის „მედეა“, რთაც თავის წვედილი შეიტანა თანამედროვე ქართული მუსიკის განვითარების პროცესებში. ამავ პერიოდში დაიდა ბალეტი „აპსონანტა“ (ზემოთყვინის ამავე სახელწოდების სადრამატული სონატის მიხედვით), რომელიც დიდი ლენინის დახმავების 110-ე წლისთავის სავალებად დას. შეენატა ახალი სექტაკლები — რაველის „ბოლერო“ და არსნაიერის „კავალირი შესვენება“.

ზემოაღნიშნულმა საოპერო და საბალეტო სექტაკლებმა ნეტყალები წარმატებით შეძლეს თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების კალაოტში ჩაგდება, მისი საერატურარო მადუშვლების განვარტება. ამით თეატრმა შედარებით მოკლე დროში მოიპოვა თავისი საარსებო წყარო, რაც ამ ტიპაზე მწიწნელოვან ფაქტს წარმოადგენს და რაც საშუალებას ვეძლევა მომავალში უფრო სერიოზულად, უფრო ინტენსიურად ვიზაროლოთ პროფესიული დონის ამაღლებისათვის, ახალი შემოქმედებით გზების ძიების და შემოქმედებითი ამოცანების გაფართოებისათვის. ამის ადულებულობას ვეკანაზობს დრო, ვეკანაზობს ცხოვრება, თანამედროვე მსწეული და მაუერტელო, რომელსაც მთელ რაჟ საოპერო თუ საბალეტო დადგებში ბუკერი რამ არ მოწონოს როგორც დადგმის, ისე შესრულების თვალსაზრისით.

უკანასკნელ ხანებში სისტემატურად ვატარებთ გასული სექტაკლები და კონცერტების რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, რასაც ძალიან კარგი შედეგი მოაკვს მსმენელთა ფარო მახების ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით.

წინშეწელოვან მოვლენას წარმოადგენდა გასული წლის აგვისტოში ქალაქ სოხუმში წარმატებით ჩატარებული გასტროლოები, რომლებშიც ფხანჭეთის მშრომლებს საშუალება მისცა გასცნობოდა ჩვენი თეატრის სექტაკლებს, წამყვან შემოქმედებით ძალებს. ამასთან ერთად

გვამართეთ მრავალი კონცერტი ფხანჭეთის ქალაქებსა და დასასრულში ჩემის აზრით, უკეთესეც ეს წარმოადგინს მსმენელთაგან უაბიტებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს თეატრში დაწინაურდა ნიუიერი ახალგაზრდობა, რომელიც მასობა ამოუდგა უფროსი თაობის მსახიობებს. დღეს ჩვენი თეატრის ახალგაზრდა ძალები მონაწილეობენ მრავალ საოპერო და საბალეტო სექტაკლებში. მათი სახით თეატრში მოვიდა საიმელო ცვლა, რომელიც თანდათან იზრდება, იხვეწება, სერიოზულად ეკიდება შემოქმედებით ამოცანებს, თუქც, ზოგირათმა თავის თავზე უნდა იმუშაოს მეტი მომთხოვნელობით, მეტი პასუხისმგებლობით, ეზაროლოს თვითმყოველი წლების გრძნობას, ზედამირებულობას, დილოტანტიზმს, სწრაფწარმატებას წარმატებისთვის სწრაფვას, რის მაგალიტისაც, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ვაწეუვებით არა მარტო ახალგაზრდა მსახიობთა, არამედ ახალგაზრდა დირიჟორთა მხრიდან, რაც ზაინს აყენებს ჩვენს თეატრს, სადაც ისედაც თავს იყრის მრავალი გადასაწყვეტი პრობლემა. ამავად უმოყვარება მუსიკალური თეატრის სპეციფიკის მცოდნე რეჟისორების ნაკლებობა, მძიმე დაღს რომ ასეგამს ჩვენს საოპერო ხელუცებებს, რთული მდვიარეობაა შექმნილი ბალეტში, რომელიც უპირატესად განიცდის პროფესიული კადრების ნაკლებობას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა კორდებულებში, რომლის ტექნიკური დონე დაბალია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი ვერ გავლენს კარგად მომზადებულ მსახიობებს.

ასეა თუ ისე, ქართული ბალეტის განვითარების პროცესი შეუერებელია. თეატრის ხელმძღვანელობა ბუვის ფიქრობს ამ პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მიზნით განწარბული ვეკვს ცნობილი რეჟისორებისა და ბალეტმსტრების მოწვევა, რომლებიც დაგვეხმობიან პროფესიული დონის ამაღლებაში, მაღალმატარული სექტაკლების შექმნაში.

საბოლოო კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების აღსანიშნავად დაიდა კომპოზიტორ ო. თაქაიშვილის ახალი იუბრა „პირველი სიყვარული“, რომელიც, ძირითადად, ჩვენი თეატრის ახალგაზრდობა მინაწილეობს.

ბიზი ბრონჯაძე

ქუთაისის საოპერო თეატრის დირექტორი, საკაოტელოის სსრ დამსახურებული არტისტი

ამ ხუთი წლის მანძილზე ქუთაისის საოპერო თეატრმა რთული შემოქმედებითი გზა განვლო. ვანახორციელებთ მრავალი საოპერო სექტაკლების დადგმა, მაგრამ, გულახლოდ რომ უთქვათ, არც ერთს არ მიუღწევია შემოქმედებითი მოვლენის დონეზე. თუქც ამ დადგმებს ქაინად თავისთან დღებობს მხარტები, მათი შემოქმედითი საგარტობილად გაფართოვდა თეატრის რეპერტუარი. ჩვენი თეატრის ფიწაზე განდა ეკრდის „რეკვილიტო“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ბონინის „კოსია“, ლეონკავალოს „კამპაზინი“, თანამედროვე უკრაინული კომპოზიტორის მეტუსის „ახალგაზრდა ვეარია“, ა. ბუქუას „დალაქატიელო სეტურები“, ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. ჩლიაძის „დარისანის ვახაჭი“, მასკანის „სოფლის პატრონსება“ და სხვა. ამ დადგმებს ხელი შეუწევენ ქუთაისის საოპერო თეატრის წინწევას, კომპოტივის შემოქმედებითი დონის ამაღლებას და, რაც მთავარია, სათავ დადგმ მხატვრული ძიებების სწრეებს, რის შედეგადაც თანდათან გამოიწეოებოდა დამოუკიდებელი მუშაობის ტილო, გამოცდილება, პრაქტიკა.

ერთ-ერთ უყვალვ მწიწნელოვან ფაქტად კი ვთვლი ქუთაისის საოპერო თეატრის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ბუბლებს, რომლისთვისაც ძალიან სერიოზულად მოეწაზადა და რომელიც საკმაოდ ფართოდ აღინშნა. სათუბლოდ დღებში ქუთაისის საოპერო თეატრი წარსდაც ერთვარო შემოქმედებითი ანგარიშით და მთელი სიცვა-

დით გამოვიდნა ჩვენს მიერ აღებული ვეჯი, რომლის შემწეობით ვეცინვლო ქუთაისის საოპერო თეატრის მივეთ მკურთხეობა ეროვნული სახე, ეროვნული პრევილი. ამ მიზნით განწარბირელებთ რეპერტუარში მყოფი ქართული იუბრების — ზ. ფლორაშვილის „ახესლომ და ეთერი“, „დაისი“, ვ. დლომის „ქუთო და კოქე“, ო. თაქაიშვილის „მინდია“ — ახალი დადგმები. აღვადგინეთ ა. კერესელიძის „ამაზიჩეა“, ამიტომე სათუბლოდ კვირეული შედგებოდა მთლიანად ეროვნული რეპერტუარისგან, ზემოთ აღნიშნული სექტაკლების გარდა სათუბლოდ დღებში წარმოადგენეთ ბუკის „დალაქატიელები სეტურები“, ხ. ცინცაისა და შ. დავითაშვილის ბალეტები.

ამვე პერიოდში წარმატებით ჩატარებთ გასტროლოები ბათუმსა და თბილისში, სადაც პირველად გამოვედიოთ 1978 წელს, მორიდ კი 1980 წელს — ქუთაისის საოპერო თეატრის ისე წლისთავის აღსანიშნავად. სათუბლოდ გასტროლოები დაავიარგინა დაქსენობა სექტაკლები — „ახესლომ და ეთერი“, რომელშიც ჩვენს თეატრში ვეკვს ეტრად მონაწილეობდნენ გამოჩენილი მომღერლები — საბოლოო კავშირის სახალხო არტისტები ზურაბ ანჭეფარიძე და მედეა აშირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ნათელა ტულუში. რომლებთანაც პარტიობობა საამაოო და ძალზე სასარგებლო ქუთაისის საოპერო თეატრის ახალგაზრდა მომღერლებისათვის. ეს გახლავდა სიმბოლური სექტაკლი, რადგან 1969 წლის 27 დეკემბერს — ქუთაი-

ის საოპერო თეატრის დახვედრის დღეს — სწორედ ეს მომენტები მდგომარეობს ქუთაისელთა პირველ სექტაკაში. ყოველივე ეს — გასტროლები თბილისში, აგრეთვე ჩვენს სცენაზე ისეთი სახელოვანი გასტროლების გამოსვლა, როგორებიც არიან ზურაბ სოცოლავა, მავალა ქსარაშვილი, ვლ. პიაკო, ცისანა ბატონიძე, ნინო ანდლელაძე და სხვები წარმოადგენს ფრიალ მნიშვნელოვან ფაქტებს.

ამ ხუთი წლის მანძილზე მომხდარ მოვლენებს შორის უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი მუსიკალური კერის — ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის დაარსება. ეს კოლექტივი, რომელიც მოწოდებულია დასავლეთ საქართველოში პროპაგანდა გაუწიოს კლასიკური და თანამედროვე სიმფონიური მუსიკის შესანიშნავ ნიმუშებს, ჩამოყალიბდა ქუთაისის საოპერო თეატრის ორკესტრის ბაზაზე. თანდათან ფაროვადამ ამ კოლექტივის რეპერტუარი, რაც, უფოლო, შეუწყობს ხელს როგორც ქუთაისის მუსიკალურ, წამოიჭრა მრავალფეროვანი დასსა. აქ სწორედ ვაკეის ერთ მეტად მძიმე ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობასაც: კონსერვატორიისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები — ვოკალისტები, ინსტრუმენტალისტები, ბალეტის მსახიობები — ერიდებოდნენ თბილისის დატოვებას, ქუთაისში ჩამოსვლას. მათ ურჩევნილ უსაქმოდ კოფენ, ოღონდ კი არა ურჩევდნენ დიდკლასიკის სწავლებას. არადა ჩვენს თეატრში მათ

ცხადია, ამ ხუთი წლის მანძილზე წაუპოვოთ მრავალი შემოქმედებითა თუ ტერაქტის წინააღმდეგობა, წამოიჭრა მრავალფეროვანი დასსა. აქ სწორედ ვაკეის ერთ მეტად მძიმე ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობასაც: კონსერვატორიისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები — ვოკალისტები, ინსტრუმენტალისტები, ბალეტის მსახიობები — ერიდებოდნენ თბილისის დატოვებას, ქუთაისში ჩამოსვლას. მათ ურჩევნილ უსაქმოდ კოფენ, ოღონდ კი არა ურჩევდნენ დიდკლასიკის სწავლებას. არადა ჩვენს თეატრში მათ

ყველა პირობას შეუქმნითი წარდისა და განვიხილავთ სხვადასხვა მხრივ. მათი ცხოვრება შეიძლება ზღოვდეს ზღაბს და მნიშვნელოვანია ისიც ცხადია, რომ ამ საქმიანობის დასრულებას ვერ შეძლებს ქუთაისის საოპერო თეატრის ხელმძღვანელობა. როგორც ჩანს, მეტი სიმკაცრე, მეტი პრინციპულობა და შორსმხედველობა საჭირო კადრების განაწილების დროს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შექმნილი სახალტო დასში, რომელიც სადაცა დაიშლება თუ კარდების დროულად არ შევაჯობს ახალგაზრდა, პერსპექტიული ძალები. საწუხარია და დამაფრთხილებელი, რომ წლების მანძილზე ვერ მოხერხდა ბალეტმეისტრების გამოძენა, ასევე განვიხილოთ საოპერო თეატრის სპეციფიკის მცოდნე რეჟისორების ნაკლებობა.

ჩვენი თეატრის წინაშე ასევე მწვავედ დგას პროფესიული დონის ანგალებების ამოწმების, რომელიც პარტიკულად მოითხოვს გამოცდილი მუსიკოსი-პედაგოგების (დირიჟორები, კონცერტმეისტრები, მომღერებლები) დახმარებას, ამ მხრივ ჩვენი მომღერლები, სპეციალურად ანგალებების მოპოვებას. ანგაფარებისა და ნ. ანდლელაძის კონსულტაციები, მათ მავალით უნდა მიმაძღვნოთ ყურადღება, ყველამ, ვინც დაინტერესებულია ქუთაისის საოპერო თეატრის წინსვლით, თეატრისა, რომელიც მოწოდებულია გადაიქცეს მთელი დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ცენტრად, ამ დიდი პასუხისმგებლობის დასთან დაკავშირებული ამოცანების გათვალისწინება, ჩემის აზრით, ეყალიბება ყველა ქვეშაობადი მუსიკოს-მოღვაწის.

საბოლოო კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების აღსანიშნავად ვამზადებ დიდ კონცერტებს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი თეატრის ორკესტრი, გუნდი, სოლისტები. ამ კონცერტზე ქუთაისში პირველად აუღერდება ა. ჩიკაძის კანტატა „ქართლის გული“, ნაწევრები ი. თაქაიშვილის ოპერებიდან „მოვარის მოტყუება“, რევაზ ლალიის კანტატები „ოდა პარტიას“ და „ოდა ღვინის“.

პარალელურად კი ვგეგმავთ საბოლოო საქართველოს მე-60-ე წლისთავის აღსანიშნავად, ამ თარიღს მივძღვნივთ ახალ სექტაკლს — კომპოზიტორ რ. ლალიის ოპერა „ლუდას“, რომელიც მშ. დინარე წლის ბოლოს დაიდრება.

ანწორ ტრაპეპია

ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორია

თავის 50 წლიანი არსებობის მანძილზე ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა პირველად დააპირა შემოქმედებითი კავშირი ლოდის (პოლინოვო) მუსიკალური თეატრთან. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამ ურთიერთობამ ასეთი შედეგი მიიღო: თბილისში პოლინოვოში სადავგო ჩაგუშმა (რეჟისორი, დირიჟორი, მხატვარი, ბალეტმეისტერი) დადგა სექტაკლი „საოთხარო საოთხი“. ქართულმა სადავგო ჩაგუშმა (სამხატვრო სკოლა) შეიმუშავა და მთავარი რეჟისორი ვ. მელიქი, მთავარი დირიჟორი ა. შამაგუშვილი, მთავარი მხატვარი ვ. იმერლუკიანი, ბალეტმეისტერი ი. ზარეცი, მთავარი კონცერტმეისტერი დ. ნაპაშვილი კი ლოდის განაზრცილთა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ დადგმა, რაც ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია. ამავე ხელშეწყობილიან შესრულდა კიდევ ერთი პუნქტი: ლოდისა და თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრებში პოლინოვოს სადავგო ჩაგუშმა ერთობილად განაზრცილთა დადგმა ვ. ოფენბახის ცნობილი ოპერატისა „პერიკოლა“. ამ ლინისტიების მონაწილე მთავარი როლებს შემსრულებელთა გაცლა: ათი ქართველი მსახიობი ლოდის „პერიკოლაში“ მიიღეს მონაწილეობა, პოლინოვი მსახიობები კი იმავე პერიოდში გამოვლენ ჩვენს სცენაზე. გარდა ამისა, ჩვენს თეატრს პირველად ძილვლა შესასრულებლობა 1981-82 წლებში გაცლითი გას-

ტროლების საშუალებით ქართული ოპერების ხელოვნება გააცნოს პოლინოვი მსურველებს.

თეატრის კოლექტივის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საკავშირო პრემიის მინიჭება ჩვენი თეატრის სპექტაკლისათვის „ჩანსურა“.

ქართული მუსიკალური კომედიის თეატრს ძალიან რთული შემოქმედებითი პრობლემები აქვს გადასაჭრელი: ლიტერატურული და მუსიკალური დრამატურგიის გაპრობლემატირება, სადავგო და სამემორალუბო გამომსახველობის აუჯანა თანამედროვე დონეზე, ჩამორჩენილი, იფუნსიანი, ზედაპირული თეატრალური სახეობების ნერვება, სწრაფვა მაღალ, ქვეშაობადი თანამედროვე, ქვეშაობადი სინერჯული ხელოვნებისაკენ, ამ რთული ამოცანების განხორციელებას მოითხოვს დრო, ჩვენი სინამდვილე, რომელიც ოპერებისა და მუსიკალური კომედიის წინაშე წამოჭრა მრავალი ამოცანა. საბოლოო კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობებს თეატრმა უძღვნა კომპოზიტორ ა. მუკავარიანის „ბალეტმოტი“ შექმნილი ვ. შამაგუშვილის ამავე სახელწოდების წარჩაბების მიხედვით. ყრილობის დღეებში-სათვის თეატრი საგანგებო აფიშას აშუადგებს...



1979 წლის 17 მაისს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიაში მიიღო დადგენილება თბილისში ახალი ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნის შესახებ. თეატრი დაარსდა ლენინის რაიონის ტერიტორიაზე, გლდანის დასახლებაში. ამჟამად ეს დასახლება ცალკე — გლდანის რაიონად გამოიყო.

1979 წლის 17 მაისიდან ახალი თეატრი გახდა იურიდიული ერთეული, უფლებამოსილი სახელმწიფო შემოქმედებითი ორგანიზმი და დაიწყო მისი ჩამოყალიბებისა და შექმნის მეთად რთული, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე საინტერესო პროცესი!

ვიდრე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებს მივანვდიდე ახალი თეატრის გახსნასთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო ზოგიერთ ინფორმაციას, მინდა რამდენიმე ამონაწერი მოვიყვანო ამავე ჟურნალის 1974 წლის პერვე სომრის ფურცლებიდან: „...ამ ხნის განმავლობაში სულ ორ-სამჯერ თუ ვიყავი თეატრში. მიზეზი კი ის არის, რომ ქალაქგარეთ (აჭვალაში) ვცხოვრობ. თეატრში რომ წავიდე, მარტო გზაში სამი საათი უნდა დავკარგო...“

„...სამსახურებრივი საქმიანობით იმდენად ვარ დაკავებული, რომ სჭირად ვერც კი ვახერხებ სპექტაკლებზე დასწრებას...“

„...ძალიან მიყვარს თეატრი, მაგრამ კინოდღამებს უფრო სჭირად ვნახულებ, ვიდრე სპექტაკლებს და ამას თავისი გასამართლებელი მიზეზიც აქვს. უშიშვლესადაც, ეს გამონვეულია იმით, რომ ვცხოვრობ ქალაქისაგან მოშორებით. დიდი დრო მჭირდება თეატრში მისვლისათვის და უკან დაბრუნებისათვის. ამასთანავე, მოგეხსენებათ ჩვენი ტრანსპორტის მდგომარეობა...“

ეს სიტყვები ამოღებულია ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ითქმ-მოსამსახურეთა ერთი ნაწილის (უნდა ითქვას, რომ უკლებლივ ყველა ამ აზრს გამოთქვამდა) საჯარო გამოსვლებიდან, როდესაც ისინი მსჯელობდნენ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მიერ მოწყობილი დისკუსიის „თეატრი და მყურებელი“ პრობლემებზე.

ამ პერიოდში, და ცოტა უფრო ადრეც, ვიყავი თბილისის ლენინის რაიონის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სამხატვრო ხელმძღვანელი“ საზოგადოებრივ საწყისებზე. რაიონის პარტიულ და სახელმწიფო ორგანო-

ახალი ქართული თეატრი

ლერი პაქსაშვილი

თეატრის დირექტორი და
სამხატვრო ხელმძღვანელი

ებს ვეხმარებოდი თეატრალიზებული დონისძიებების მოწყობა-ჩატარებაში, ხოლო თვითმოქმედ კოლექტივებს მხატვრული დონის დახვეწა-ამაღლებაში. ამავე დროს, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით წარმოებებში, სასწავლებლებში, პროფტექნიკური განათლების სისტემასა და ზოგჯერ საერთო საცხოვრებლებშიც კი ვაწყობდი ლექცია-საუბრებს ქართული თეატრის წარსულსა და დღევანდლობაზე. ასეთმა გამუდმებულმა კონტაქტებმა, შეხვედრა-საუბრების გულწრფელმა ატმოსფერომ დამარწმუნა, რომ ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე შრომობს და ცხოვრობს სწორედ ის ხალხი, რომლისთვისაც თეატრი ყოფის ერთ-ერთი აუცილებელი მხარეა.

დავინწყე ამ რაიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შესწავლა და ჩემი რწმენა კიდევ

უფრო გააძლიერა ციფრებმა: ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია ვაგზლის გადასასვლელი ხიდიდან — ზემო ავჭალის ელექტროსადგურამდე ცხოვრობს სამასი ათასამდე მოსახლე (თბილისის მოსახლეობის ერთი მესამედი).

ამჟამად ამ რაიონში ათიოდე ბიბლიოთეკაა, სამიოდე კინოთეატრი, ერთი კულტურის სასახლე და წარმოებებთან არსებული რამდენიმე კლუბია. აი მთელი „არსენალი“, რომელიც ამ რაიონის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას ეწევა.

როგორც ხედავთ, დისკუსიის ამონაწერები, პირადი კონტაქტები და ციფრობრივი ნონაცემები თეატრის ჩამოყალიბების სასარგებლოდ ლაპარაკებენ.

ამგვარმა სოციალურ-დემოგრაფიულმა ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დადგა დრო ჩემი ახალგაზრდული ოცნების აღსრულებისა.

ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის დამამთავრებელ კურსზე ვიყავი, როდესაც თბილისში პირველად ჩამოვიდა მოსკოვის ახლადშექმნილი თეატრი „სოვრემენიკი“. თეატრის მოყვარულებს კარგად ახსოვთ

ომის შემდგომი პერიოდის ამ „პირველი მერცხლის“ შესანიშნავი წარმატება ჩვენს ქალაქში. ბუნებრივია, ამ გასტროლებს მასშინდელი ახალგაზრდა თეატრალებისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია და ჩვენც ცვალებით ჩვენი „სოვრემენიკის“ შექმნა, მაგრამ ყოველმხრივ ისეთი მოუმზადებელი ვიყავით, რომ ეს დედა ჩანასახვივე ჩაიშალა (ალბათ, ასეთია ყოველგვარი მიმბაძველობის ბოლო). ჩაშლით კი ჩაიშალა, მაგრამ არასოდეს ჩამკვდარა. მთელი ჩემი შემდგომი მუშაობის პერიოდში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში თეატრებს ვხვდებოდი, ვცდილობდი მომესინჯა ის გზა, ის პრინციპები, რომელიც ეართული თეატრის ერთ-ერთ მაგისტრალურ სახად მიმანდა.

ეს იყო და რჩება პოეტური სულით ანთებული და რომანტიკული გზებით გაჟღენთილი თეატრი. ყოველთვის მჯეროდა და ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართული თეატრის ენა არ შეიძლება იყოს ადამიანის სულის კუნჭულებში მოთრიდებლად ხელების ფათურის ენა, მე მჯერს, რომ თეატრი ადამიანის სატყვიარზე მდუ-

თეატრის დასი



ღარის დასხმის ენით არ უნდა ელაპარაკებოდეს მასყურებელს. მისი უნა უნდა იყოს დაუხდობელი, მაგრამ არა უფრისმამიებელი, ძახილებელი, მაგრამ არა დამცინავი, შთაგონებული, მაგრამ არა პლაკატური, ანალეგული, მაგრამ არა პათეტიკური...

და აი, დააკვირდით ისე „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე გამოართულ დისკუსიის მონახილეთა გამოხატულებებს: „ქართველებს განსაკუთრებით გვიყვარს ამაღლებული ტონი. ჩვენი ემოციები შესისხლურებულია რომანტიკულ პათოსთან (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), ამიტომ სცენიდან ისეთ სანახაობას მოველით ხოლმე, რომელიც სულიერად გვაძაბლებს“.

„...მაგონდება ცნობილი გამოთქმა: „თუ ატრიდან გასულ მასყურებელს უნდა სჯეროდეს, რომ მასაც შეუძლია გმირი გახდეს.“ ეს მეც მჯერა...

„...ვამბობთ ხოლმე, მშრომელი ადამიანი თავის სახეს უნდა ხედავდეს სცენაზეო. ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაგვიფიქროს. გოგი ხარბაზე შესანიშნავად ასრულებს ჩემოვინც როლს „უცხო კაცში“, მაგრამ ვიყოთ ველურფენი და ვალიართო, რომ ის, ვისაც ყოველდღიურად ვხედავთ ჩვენს ქარხანაში, სცენაზე რამდენადმე კარგავს ინტერესს. ჩვენ რაღაც განსხვავებული სახის დანახვას ვართ მოწყურებული. დე ეს გმირი ან უფრო ამაღლებული იყოს, ან უფრო დამდაბლებული, მაგრამ არა ასლი ჩვენივე ნაცნობი ცხოვრებისეული ადამიანისა. თეატრში ჩვენ შთაგონებას ვეძებთ და არა სარკეს...“

ასეთი იყო დისკუსიის მონაწილეთა დიდი უმრავლესობის აზრი, ასეთივე და ზოგჯერ უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებული მოსაზრებები გამოითქმოდა ყველა იმ ლექცია-საუბრებზე, სადაც კი გამოვდიოდით. ამ ადამიანების უშუალო აღქმამ, მათი მოთხოვნების კრიტიკიულებამ თეატრის არსზე, მის დანიშნულებაზე, ჩემში ფსიქოლოგიური ბარიერიც მოსპო და ყველაფერმა ამან მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს რაიონი სოციალურად, დემოგრაფიულად და ფსიქოლოგიურად მზადაა ჰქონდეს „საკუთარი“ თეატრი.

მაგრამ მარტო საკუთარი სურვილები და ანალოგიები როდი იყო საქმარისი იმისათვის, რომ ამ რაიონში თეატრის გახსნა იურიდიულ საფუძველზე დამდგარიყო. მას სჭირდებოდა ფართი საზოგადოებრივი აზრი, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერა. უდიდესი მაღლიერების გრძნობით უნდა ითქვას, რომ ეს იდეა ყველა

ინსტანციაში სათანადოდ იქნა გაგებული და შეფასებული. ამ იდეას ყველა ეტაბი ისეთი ყურადღებით, მე ვიტყვად, ისეთი დიდი სიყვარულით ეკედებოდნენ, რომ მისი დაგეგმვა და განხორციელება მხოლოდ გარკვეულ დროს მოითხოვდა.

ამჟამად თეატრი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ ეტაბს იწყებს გლდანის დასახლებაში, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის კლუბის შენობაში. ეს კლუბი ტექნიკური აღჭურვილობითა და ინტერიერის გადამკვივრით, თავისთავად ცხადია, დრამატული თეატრის მოთხოვნებს ვერ დაკმაყოფილებდა, ამიტომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გამოიწვია სათანადო თანხები და შენობას, სცენას და მის აღჭურვილობას გაუკეთდა მასქიმალური რეკონსტრუქცია. დარბაზი იტევს 520 მასყურებელს და მზად არის ვახდეს თბილისის სამრეწველო ცენტრის კულტურის ცენტრი!

დაიხ, თბილისის თეატრების სააფშიო სტენდებს მალე კიდევ ერთი აფიშაც მიემატება წარწერით: თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი!

ასეთია სრული იურიდიული სახელწოდება ამ დამწყები შემოქმედებითი ორგანიზმისა, რომელიც თავის პირველ ნაბიჯებს უახლოეს მომავალში გადადგამს, მაგრამ სასურველია, რომ ამ დასახელებამ ახლო მომავალში კიდევ უფრო დასრულებული სახე მიიღოს და ჩვენი თეატრის ანა ასე იკითხებოდეს: სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი!


იხსენება ახალი თეატრი. ველიდებით პირველ გულშემატიკერებს, პირველ მსახურებს და, რაც მთავარია, პირუთენელ მასყურებლებს, რომელიც, თუ ჩვენმა პროგნოზებმა არ გაკვიმტყუნა, უბრალოდ კი არ შეაკვებენ ჩვენი თეატრის დარბაზს, არამედ გახდებიან ჩვენი დადგმების თანამონაწილენიც. იმედი გვაქვს, რომ ისინი სწორედ ის მასყურებლები იქნებიან, რომლებიც თეატრის შემოქმედების ნაყოფს საბოლოო შეფასებას მისცემენ და ამის საფუძველზე ააგებენ თავის რეაგირებას, როგორც სექტაკლების მსვლელობის დროს, ისე პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ ასეთი სინთეზის საფუძველზე შეიძლება გახდეს ჩვენი თეატრი ხალხისათვის საყვარელი ტაძარი.

რაც შეეხება დასს, იმათ, ვისაც დაეკისრა მიძიე და ამავე დროს მეტად საპატიო მოვალეობა, საფუძველი ჩაუყარონ თბილ-

ისში ახალ ქართულ თეატრს, თითქმის ყველა ამ სურათზეა აღბეჭდილი (თითქმის იმიტომ, რომ გარკვეული მიზეზის გამო ამ სურათში ვერ მოხვდნენ თეატრის მთავარი მხატვარი აივანგო ჭელიძე და მუსიკალური ნაწილის გამგე ვაჟა აზარაშვილი). მართალია, უმეტესი მათგანის გვარი და სახელი დღეს არაფერს ეუბნება მაყურებელთა ფართო აუდიტორიას, მაგრამ ისინი ყველა — ცნობილები, ნაკლებ ცნობილები და სრულიად უცნობები კარგად გრძნობენ იმ ამოცანის სირთულეს, რომელიც მათ დღევანდელმა დღემ დააკისრა. მათ კარგად ესმით, რომ ისინი უნდა გახდნენ მებადლები, რომლებსაც მოუწევთ ისეთი თესლის ჩაგდება, რომელზედც მხოლოდ ჯანსაღმა მცენარემ უნდა გაიხაროს.

უნდა ითქვას, რომ თვითუღმა ცალცალკე და ყველამ ერთად პირველი გამოცდა უკვე გაიარა, გამოცდა საკმაოდ მკაცრი და უჩვეულო. ელემენტარული პირობების უქონლობის მიუხედავად, ჩვენ უკვე მოვახერხეთ დაგვედგა ო. ჩხეიძის ტრაგედია „თედორე“, რომელიც ვითამაშეთ ვებერთელა აუდიტორიის წინაშე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში გამართულ ყოველწლიურ ზეიმზე „გარეჯობაზე“. ალბათ თავის ქებაში არ ჩამოგვერთმევა თუ ვიტყვით, რომ შედეგმა ყოველგვარ მიოლოდინს გადააჭარბა. უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ (ვინც ერთხელ მაინც ყოფილა იქ, კარგად იცის იქაური მზის ძალა) ასი ათასამდე ადამიანი ფეხმოცუვლებად მიჰყვა საექტაკლის მსვლელობას და ბოლოს ცრემლიანი თვალებით და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა საექტაკლის მონაწილენი. მართალია, ამ საექტაკლის თამაში მხოლოდ ერთხელ მოგვიწია, მაგრამ მასზე განუღიწიებლად ვაძიებთ და ვაძიებთ, რომელიც დააჩქარა სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სკოლაგავლილი ადამიანების იმ გზაზე დაყენება, რომლითაც უნდა იაროს მომავალში ჩვენმა თეატრმა. ამ საექტაკლმა განგვიმტკიცა იმედი და მოგვცა რწმენა იმისა, რომ, როგორც ილია ამბოხს: „დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიმხარეთოს, იმას ჩაჰკიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწევდება“.

ბუნებრივია, ველავათ — ველავათ, რადგან კარგად გვახსოვს დიდი ესპანელი პოეტისა და დრამატურგის ფედერიკო გარსია ლორკას სიტყვები: „არ არსებობს ძველი და ახალი თეატრი, არსებობს კარგი და ცუდი თეატრი“.



შ. ზამთარაძე

ბათუმი

დ. ნოღია

კომუნისტების მშენებლობანი



ბაკური და თვითმოქმედება

ალექსანდრე ჯიჯეიშვილი

საღმრთო შემოქმედება მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის საფუძველი რომ გამხდარიყო, ამისთვის 1939 წელს სათავე დაედო ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადების ჩატარების ტრადიციას. მანამდე ბავშვები დიდებთან ერთად მონაწილეობდნენ ხალხური შემოქმედების დათვალიერებებში და ყურადღებას იპყრობდნენ გამომსახველი ცეკვითა თუ სიმღერით.

ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი დამოუკიდებელი ოლიმპიადა ჩატარდა იმავე წლის ივლისში, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ამ ფართო დათვალიერებამ, რომელიც გამოირჩეოდა მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარით, ნამდვილი ტალანტები გამოავლინა. ოლიმპიადის მონაწილეთა შემოქმედებით მონაცემებს ამონებდა ავტორიტეტული სპეციალისტებისაგან შემდგარი ჟიური, რომელმაც გამარჯვებულები საპატიო სიგელებით დააჯილდოვა. დიდი წარმატებით ჩატარდა

გამარჯვებულთა ძალებით გამართული დასკვნითი კონცერტიც.

პირველმა ოლიმპიადამ დასახა შემდგომი მუშაობის გეზი და მასშტაბიც. ამ მოძრაობის გაფართოებისა და განვითარების მიზნით დაწესდა სარაიონო, საოლქო და საქალაქო დათვალიერებები, რომლებიც შეამზადებდნენ ნიადაგს მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. მართლაც წინასაოლიმპიადო მუშაობაში ჩაება ჩვენი რესპუბლიკის მრავალი მოსწავლე. მაგრამ, სამწუხაროდ, მზადება მეორე ოლიმპიადისათვის, რომელიც 1941 წლის 25-30 ივლისს უნდა ჩატარებულყო, დიდი სამამულო ომის მძვინვარე დღეებმა შეწყვიტა.

ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარების ახალი ტალღა დაიწყო სამამულო ომის დამთავრებისთანავე. შემდგომი ოლიმპიადი დიდი წარმატებით ჩატარდა 1948 წლის ივლისში კვლავ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე.

სავსებით ბუნებრივი იყო და კანონზო-

მიერიც, რომ ამ ოლიმპიადის პროგრამა, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობოდა მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციებს, გამსჭვალური იყო პატრიოტული თემატიკით, მოზარდები ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით გამოსატყავდნენ გამარჯვების სიხარულს. უმელოდნენ ომში დაღუპულ გმირებს, სამშობლოს, პარტიას. ამ ოლიმპიადამაც მრავალი ნიჭიერი მოზარდი გამოაჩინა.

შემდეგ კი ოლიმპიადების ჩატარების პრაქტიკა რატომღაც საგრძნობლად შესუსტდა, რის გამოც ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში შეწყდა შემოქმედებითი ცხოვრების მაჯისცემა, ცალკეულ რაიონებსა თუ ქალაქებში ეპიზოდურად, ხშირად, მოვალეობის მოხდის მიზნით, იმართებოდა სახელდახელოდ მომზადებული დათვალიერებები, რომლებიც ატარებდნენ კამპანურ ხასიათს, ყოველივე ამან თავისი დალი დასაცა მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის სისტემა.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოზარდთა პარამონიული ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის გასაუმჯობესებლად საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს განათლების სამინისტრომ მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადების სისტემატური ჩატარების შესახებ. დადგინდა რესპუბლიკური ოლიმპიადების ჩატარება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ამ რთული და საპასუხისმგებლო საქმის წარმართვა დაევალა ახლად შექმნილ ბავშვთა ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის მეთოდურ ცენტრს და ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს. შეიქმნა სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის წევრებს დაევალათ ამა თუ იმ ზონის ხელმძღვანელობა. დაისახა დებულება და მუშაობის კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვით ხელოვნების ცალკეულ დარგებში გაერთიანებული ბავშვების აღზრდას სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენ გამოცდილი სპეციალისტები.

და აი, 1960 წლის ივნისში მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების IV

რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელიც მიმდინარეობდა ხუთ დღეს და რომელსაც წინ უძღოდა დიდი აღმავლობით ჩატარებული სარაიონო, საოლქო და საქალაქო დათვალიერებები. კვლავ ანკრიალდა ბავშვთა მშვენიერი ხმები, მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ არა მარტო ნორჩი მომღერლები, არამედ მხატვრული სიტყვის პატარა ოსტატები, ნიჭიერი მოცეკვავეები. მაღალ დონეზე ჩატარდა მომდევნო მეხუთე ოლიმპიადაც. შემდეგ კი კვლავ შენედა ენთუზიაზმი, თანდათან დაქვეითდა ამ ღონისძიებებში მონაწილე მოზარდების შემოქმედებითი დონე და ხარისხი, რასაც მოწმობდა ზონების მიხედვით ჩატარებული ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების VIII ოლიმპიადა.

მომდევნო, IX ოლიმპიადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, და რომელიც ჩატარდა 1979 წელს, კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ ამ დათვალიერებაზე ხელოვნების ყველა სახეობა არ იყო წარმოდგენილი ერთნაირი ძალითა და მომზადებით, მკაცრად არ იყო შერჩეული მონაწილეთა კონციაგენტიც.

ნაკლოვანებების მიუხედავად, ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა ოლიმპიადებმა მაინც მოგვცა კარგი შედეგი. შექმნა პირობები ნიჭიერი მოსწავლე-ახალგაზრდობის ზრდისა და გამოვლინებისთვის, ხალხური შემოქმედების მაღალი ტრადიციების ათვისებისა და განვითარებისათვის, რეპერტუარის გაფართოებისა და გამდიდრებისათვის...

ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედება ძირითადად ყვრდნობა ხელოვნების სამ სახეობას — მხატვრულ კითხვას, ცეკვასა და სიმღერას.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მოზარდების ესთეტიკურ აღზრდაში უდიდეს როლს თამაშობს სიტყვა, პოეზია. ლიტერატურა. ამ საფუძველზე ყალიბდება და იხვეწება მეტყველებისა. და აზროვნების კულტურა, ფართოვდება ცოდნისა და თვალთახედვის არე... მაგრამ უკანასკნელ ხანებში მხატვრულ კითხვას რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა. სკოლებში სი-

სტმატურად არ იმართება ლიტერატურულ-ლი და ლეხი, კითხვა-პასუხის საღამოები, ვიქტორინები, სპექტაკლების განხილვები და ა. შ. არ არის გამოქმენილი ის ქმე-დითი საშუალებები და ფორმები, რომლებიც მხატვრული თვითმოქმედების ამ სა-ხეობაში უფრო მეტ მოზარდებს მიიზიდა-ვენ. ხელს შეუწყობენ მათი ცოდნისა და გემოვნების განვითარებას, გამიღერებას, დახვენას.

სამაგიეროდ, დიდა გატაცება ხალხური ცეკვით, რომელიც ხვეს მოზარდა საე-ვლის პლასტიკურ გამოხმხველობას, ან-ვითარებს მუსიკალობას, რიტმის გრძნო-ბას, შემოქმედებით თვისებებს. მაგრამ ხალხური ცეკვა მხოლოდ მაშინ გვაძლევს ამ შედეგს, როცა სწავლების დროს გათ-ვალისწინებულია მოზარდის ასაკი, ინდი-ვიდუალური ფიზიკური მონაცემები. სამ-წუხაროდ, მიუღ რიც თვითმოქმედ ქორე-ოგრაფიულ წრეებსა და ანსამბლებში ამ ამოცანებს ნაკლებად უნევენ ანგარიშს და მოზარდებს უმეტესად სთავაზობენ ისეთ ტექნიკურად რთულ ილეთებს, რომლებიც ზიანს აყენებენ მათ ჯანმრთელობას, ფი-ზიკურ ზრდასა და განვითარებას.

მოზარდებისათვის განკუთვნილი რეპერ-ტუარი ძირითადად სტანდარტულია და მოიცავს ხუთ-ექვს ცეკვას. მაგრამ არც ამ ცეკვების სტილისტურ-ეთნოგრაფიული სინმინდვა სათანადოდ დაცული. ვხვდებით სხვადასხვა კუთხის ცეკვებისათვის დამახა-სიათებელი ილეთების აღრევის, კოლორი-ტის სიჭრელეს, ნაკლები ყურადღება ექცე-ვა თემატური ცეკვების სწავლებასაც. მო-ზარდად შემოქმედებაში იშვიათად ვხვდე-ბით პატრიოტული და ისტორიუ-ლი ხასიათის ქორეოგრაფიულ ნიმუ-შებს. სათანადოდ არ არის ჩამოყალიბებუ-ლი ბავშვთა ყოველდღიური ტრენაჟის მე-თოდი და სისტემა, რომელიც უნდა ყარდ-ნობოდეის ილეთთა თანდათანობითი განვი-თარების და გართულების. პროფესიული ჩეევის თანმიმდევრული გამოიმუშავების ამოცანებს. აქედან გამომდინარე, გადასა-სწავლა პედაგოგ-ქორეოგრაფების მუშაო-ბის სტილი, შესამონშებელია მათი ცოდნა, რათა გასაქანი არ მიეცეს დილტან-ტრის, უგემოვნებობას, ტექნიციზმით თვითმიხნურ გატაცებას. არადა ქართუ-ული ხალხური ცეკვა მონოდებულია გა-აღვივოს ადამიანი სიღამაზის გრძნობა,

გამიღეროს მისი სულიერი სამყარო, გააკეთილშობილოს ზნეობრივი თვისებე-ბი. აზიაროს შემსრულებელიცა და მყაუ-რებელიც ჭეშმარიტ პოეზიას...

მრავალსაუუნოვანი ქართული ხალხუ-რი სიმღერა, რომ მოზარდას ესთეტიკური აღზრდის ძირითადი საყარდენი უნდა იყოს, დღეს ამაზე ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს წერენ. მაგრამ მდგომარეობის (ცალკეული გამონაკლისის გარდა) მკვეთრ გაუფო-ბეხებას მაინც ვერ მივალწით.

საშუალო სკოლებში, სადაც ჩამოყალი-ბებულია მოზარდათა გუნდები, უმეტესად გაერთიანებულნი არიან გოგონები. თუკი ამის ორგანიზება შეეძელით, მაშ, რატომ ვერ ვაარსებთ მოზარდი ბიჭუნების გუნ-დებს? ოლიმპიადებზე გაცვლებით უფრო ხშირად ვხვდებით ქალ-ვაჟთა შერეულ გუნდებს, რაც ნაკლებად არის დამახასია-თებელი ჩვენი მუსიკალური ფოლკლორი-სათვის. პირველ რიგში, თუკი გვირდა ქართული ხალხური საშემსრულებლო ხე-ლოვნების ტრადიციათა სწორი გამოყენება და განვითარება, უნდა ვიზრუნოთ ვაჟე-ბისაგან შემდგარი ეთნოგრაფიული ან-სამბლების განვითარებაზე. ამის შესანიშ-ნავ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სახალხო არბისტი, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ბიჭუნათა ანსამბ-ლი „მართვი“, რომლის შემოქმედება სა-ხავს კონკრეტულ გზას ამ ტიპის გუნდების ჩამოყალიბებისათვის.

ნაკლები ყურადღება ექცევა ქართული ხალხური ინსტრუმენტების დაუფლებასაც. საქართველოში მრავლად მოიძებნება ისეთი სიმღერები, რომლებიც ინსტრუმენ-ტული თანხლებით სრულდება, ასეთ სიმ-ღერებს კი მეტისმეტად იშვიათად ვხვდე-ბით მოზარდი ახალგაზრდობის რეპერტუ-არში, საოლიმპიადო პროგრამებში. იგი-ვეს ვიტყვი იმ ხალხურ სიმღერებზე, რომლებიც ცეკვებთან ერთად სრულდება.

ქართული ხალხური სიმღერების საუნ-ჯე ძალზე მდიდარია და მრავალფეროვა-ნი. მისი მოვლა-პატრონობა ევალებათ საშუალო სკოლების სიმღერის მასწავ-ლებლებს, რომლებმაც ეს მემკვიდრეობა უნდა გადასცენ, შეაყვარონ მომავალ თოი-ბებს. ამ მხრივ სამაგალითო შესანიშნავი ლოტბარების ვ. ერქომაიშვილისა და გ. შავიშვილის მოღვაწეობა, რომელთა

წყალობით მახარაძის რაიონში სათავე დაედო გურული ხალხური სიმღერა-საგალობლების გამავრცელებელ პროზაგანდისტულ მოძრაობას.

ხალხურ შემოქმედებასთან ერთად ბავშვთა მხატვრულ თვითმოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალ საბავშვო სიმღერებს, ცეკვებს, ბავშვებისათვის განკუთვნილ ოპერებსაც. ამ მხრივ შექმნილია უფრო უკეთესი მდგომარეობა, რაც მოზარდთა სწორი იდეური აღზრდის საფუძველს ქმნის.

როგორც აღვნიშნე, ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ. სარაიონო, საოლქო და საქალაქო დავალიერებები კი იმართება ყოველწლიურად. ხომ არ აჯობებდა, რომ შუალედებში იმართებოდეს შემოქმედებითი შეხვედრები, კონცერტები, გამოსვლები ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რაც, უთუოდ, გაზრდის მოზარდთა შემოქმედებით პრაქტიკას, გააფართოებს მათი მოღვაწეობის არესა და ასპარეზს.

რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე რაიონებიდან უნდა იგზავნებოდნენ მხოლოდ საუკეთესო შემსრულებლები, ისინი, ვინც ამ პატივს იმსახურებენ თავიანთი ნიჭის, მომზადების მიხედვით. გამარჯვებულთა პრემირებაც არ უნდა აღემატებოდეს სამ პირველ, სამ მეორე და სამ მესამე ადგილს. ეს ეხება, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ შემსრულებლებს. საპატიო სიგელები კი უნდა გადაეცეს რესპუბლიკური ოლიმპიადის ყველა მონაწილეს. ასეთი მკაცრი რეგლამენტის დროს ოლიმპიადის ჟიურიც, ალბათ, უფრო მკაცრი და მომთხოვნე იქნება, მოისპობა შეღავათები და კომპრომისები, რაც დაუშვებელია სწორედ მოზარდთა შემოქმედების შეფასებისას, რადგან ოლიმპიადა არა მარტო უნდა აჯამებდეს და აფასებდეს ბავშვთა თვითმოქმედების მიღწევებს, არამედ უნდა ზრდიდეს მათში შემოქმე-

დებითი შეჯიბრის ჯანსაღ გარემოებას, გამარჯვების მიღწევის წყურვილს. ამდენად, ჟიურის ობიექტურობასა და პრინციპულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდთა ზნეობრივი თვისებების აღზრდის თვალსაზრისით.

მოსწავლეთა თვითმოქმედება არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ სიმღერით და ცეკვით. ასეთივე ფართო ყურადღება უნდა დაეთმოს სპორტს, აგრეთვე, მშობლიური მხარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის ამოცანებსაც. რა თქმა უნდა, არსებობს მოზარდთა დაინტერესების კიდევ სხვა სფეროები და საშუალებები, რომელთა გამოძენაა საჭირო.

დიდი სარგებლობა მოაქვს სხვადასხვა რაიონებში გამართულ ლექციებს — მუსიკის, მხატვრობის, არქიტექტურის, ლიტერატურის, თეატრისა თუ კინოს დარგში. რა თქმა უნდა, ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მოზარდთა ცოდნის გაფართოებას, მათ დაინტერესებას ხელოვნებისა თუ ლიტერატურის ამა თუ იმ დარგით. ყოველივე ეს კი მოზარდთა თაობას დაეხმარება დროულად და სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი ცხოვრებაში, იმთავითვე მოსინჯოს თავისი მომავალი პროფესიის საწყისები.



პროლეტარული კეჟისორის გზა

გელა საითიძე

პარტულნი რევოლუციური თეატრის რეჟისორი დავით კობახიძე, 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ვფიქრობთ, მკითხველებსათვის საინტერესო უნდა იყოს, თუ ვინ იყო დავით კობახიძე, რა პირადი წვლილი მიუძღვის მას მეფის თეატრის რეჟისორის დამხობისა და საბჭოთა წესწყობილების დამყარებისათვის ბრძოლაში.

დ. კობახიძე დაიბადა სამტრედიელი რკინიგზელი მემანქანის ოჯახში 1885 წლის თებერვალში. დაწყებითი განათლება იქვე, საკინიგზო სასწავლებელში მიიღო, ხბლო შემდეგ ქუთაისის გიმნაზიის კერძო კურსები დაამთავრა. მოსწავლეობის წლებიდანვე გულმოდგინედ სწავლობდა ევროპულ ენებს, განსაკუთრებით იტალიურსა და ფრანგულს, მისდევდა ფიზიკულტურასა და სპორტს.

სასკენო ხელოვნებას იგი სამტრედილაში გაეცნო. მამამისი გატაცებული იყო თეატრით და როცა დაბავში რაიმე წარმოდგენა იმართებოდა, იგი უსათუოდ ესწრებოდა და პატარა დათიკიც თან მიჰყავდა. ქუთაისში სწავლის პერიოდში დ. კობახიძე ესწრებო-

და ლადო მესხიშვილის დასის წარმოდგენებს.

900-იან წლებში დ. კობახიძეს ხშირად უხდებოდა თბილისში ყოფნა. ლამეს ათევედა სამტრედილიდან წამოსულ მუშა-რევოლუციონერებთან, დადიოდა მათ პოლიტწრეებში, ესწრებოდა არალეგალურ კრებებს... სისტემატურად ნახულობდა „ავჯალის აუდიტორიასთან“ არსებულ მუშათა დრამატული წრის წარმოდგენებს, პირადი ნაცნობობა ჰქონდა რევოლუციის პოეტ ირ. ვედლოშვილთან და შემდგომში ცნობილ მსახიობ ნიკო გოცირიძესთან. მათი მხარდაჭერით თვითონაც მონაწილეობდა დრამურის მიერ წარმოდგენილ სანახაობებში.

1903 წელს დ. კობახიძე ცნობილი მუშა-რევოლუციონერის გიორგი თელიასა და სხვათა რეკომენდაციით ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელისწილების ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მიიღო პარტიის რაიგებში (მლისფვა, ფონდი 16, აღწ. 18. საქ. 9, ფურც. 89). იმავე წელს იგი მეფის „ოხრანკამ“ დააპტიმრა თბილისის მუშათა დემონსტრაციის მზადებაში მონაწილეობისათვის.

მეტეხისა და თბილისის საგუბერნიო ციხეებში სამი თვის ჯდომის შემდეგ იგი ადმინისტრაციული წესით გაასახლეს თბილისის გუბერნიადან. ქუთაისში ჩასული ახალგაზრდა ბოლშევიკი უკვე მოხდებოდა აკვილოზოვი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, კერძოდ, ა. წულუკიძეს და მისი მითითებით იწყებს თეატრალური დასის შეკრებასა და პიესების შერჩევას.

ბოსტონში, მამუტავში, ლონდონში, რაც სხვა ქალაქებში, სადაც ფუნქციონირებს „P+R“-ის პრინციპი, ავტოსადგომები ვაფანტულია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე: მათი არცხე მიკრდება პერიფერიიდან ქალაქისკენ მოძრაობის მიხედვით. თანაც, ეს ნაგებობები ქალაქის ცენტრალური რაიონებიდან სხვადასხვა მანძილთაა დაცილებული. ასე რომ, თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოგიერთი ამ ობიექტიდან ცენტრამდე მთელ რიგ ქალაქებში (ლონდონი, მამუტავი, კლივლენდი) ხელ ხუთი წუთია საჭირო, მაქსიმალურად შორი მანძილიდან — 50 წუთამდე (ჩიკაგო, ბოსტონი, ლონდონი, მამუტავი). პერიფერიებში — ქალაქის განაირას არსებული „P+R“ ტიპის ავტოსადგომები ერთნაირი ეფექტურობით არ ფუნქციონირებენ. მათგან უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება იმ სადგომებს, რომლებიც არა მარტო დეაკვირებულნი არიან ავტოსატრანსპორტის მაკოსტრუქციასთან, არამედ უმთავრესი სავაზო არტერიების განსწორებ არიან განლაგებულნი და, ამასთანავე, მდებარეობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების საბოლოო განკერძოების, აგრეთვე, საქალაქო სარელსო ტრანსპორტის სპოლიოლო განკერძოების ახლოს.

ქალაქ ენევეაში მსუბუქი ავტომობილების პარკირებისთვის გათვალისწინებულია ხუთი პერიფერიული ავტოსადგომის, გარე-სადგომების ორგანიზება, რომლებიც უმსჭვლებენ ქალაქში შემოსული ავტომობილების რიცხვის 50%-ს მიღებს.

პერიფერიაზე აგებული ავტოსადგომების ექსპლუატაციის პრაქტიკა ვიწვევებს, რომ ზემოთ აღნიშნული სისტემით მოხარებულ ყველა მანქანის მფლობელი როდი იხსნავს მინაღ ქალაქის ცენტრის მოწოდებებს. მამუტავის შემთხვევაში გარკვეულ, რომ ამ სისტემით მოხარებულ მგავართა მხოლოდ 50% ისწრაფვის ქალაქის ცენტრისკენ ამიტომ, პერიფერიული გარკვევების, ავტოსადგომების ორგანიზებასთან ერთად, საჭიროა ქალაქში შეროსული ავტომობილების ნაკადის რაციონალური განაგებება რაიონებში.

ღრთია განმავლობაში საჭირო გახდება სადისპეტერო პუნქტების შექმნა, ეს პუნქტები ავტონაგებების „დასაფარავად“ შექმნიან გარკვეულ საინტროლო და ხარკუთვაციო სისტემებს. „Park and Ride“-ს სისტემის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ქალაქების ზღვა ავტომანქანებისგან განსაკუთრებულად. განსაკუთრებულია ამ სისტემის მნიშვნელობა ისტორიულ ძეგლებშია და არქიტექტურული ანსამბლებით მდიდარი ქალაქებისთვის.

ასე, მგავლითად, ეს სისტემა ენევეაში ითვალისწინებს ქალაქის ისტორიული ცენტრის ორგანოვ დიდი გარკვევების განლაგებას, რაც ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ავტოსატრანსპორტის მოძალეებისგან ათავსებს და ცენტრის ისტორიულ ზონას ძირითადად ფეხით მოსიარულთა განკარგულებაში მოაკცებს.

არსებითად, ეს ფორმა სხვა არაფერია, თუ არა კერძო შემ-

თხვევა „P+R“ სისტემით ავტოსადგომების ორგანიზებისა, ამ სისტემის ავტოსატრანსპორტული ქსელის პრაქტიკულად მშობლივ ზოგიერთი ქვეყნის რამდენიმე ქალაქშია შექმნილი. ესენია: კიუ-რიხი — შვეიცარიაში, ფორტ-უერტი — აშშ-ში, ლესტერი, კარლით — ინგლისში და ა. შ.

ამ სისტემის გარე-სადგომებზე გარეუბნებისა და პროვინციების, აგრეთვე, მგავლივ რაიონებზე ქალაქში ჩამოსულ მცხოვრებლებს — ავტომობილებზე იქიდან უნდა უბიძგოს, რომ მათ არ გაუჩნდეთ ქალაქის ცენტრში მანქანებით შემოსვლის სურვილი. ამის ერთი წინაპირობა ისიცაა, რომ კერძო მანქანების მძღოლებს გაუჭირდება ქალაქის რთულ, ზნირი გზებზე, უცნობი ლაბირინთების გაკვლევა, ისინი უკლებრება დაიბაძებენ, მით უფრო, აქცის საათებში, როცა საშინლად გაკუთრდება მანქანებსა და ფეხით მიმავალი ხალხის ტალღაში გზის გაკვლევა; სხვათა შორის, სადგომებზე მანქანების დაყვება და ქალაქის ცენტრში (რომელიც, როგორც წესი, ტერიტორიულად დიდი არაა) ფეხით სიარულს ჩამოსულ ავტომობილებს დროსაც ზოგავდება. ზემოაღნიშნული სისტემის ეფექტურობას მარტო მისი გარე-ცემების, გეოგრაფია — კი არ ადსტურებს, არამედ ისიც, რომ მას სულ უფრო და უფრო მეტი მძღოლი უცხადებს ნდობას (ზოგიერთ ქალაქში ჩამოსულ ავტომობილთა 80-90%). თანაც, ასეთი ავტოსადგომების დაცირობა, ჩვეულებრივ, 60-100%-ს აღწევს.

„P+R“ ტიპის პარკირება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების ქმედით მაკორდინირებულ ფორმად აღიარეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სართათაშორის საბჭოს კონკრეტებზე — ბარსელონში (1967 წ.), ლონდონში (1969 წ.), რომში (1971 წ.).

ავტოსადგომის ექსპლუატაციის მიმართ ავტომობილთა მოთხოვნები შეიძლება შეიღება ძირითად პუნქტებამდე დავიყვანოთ.

— რენტაბელურ გარე-სადგომების შიდასაგარეო ნაგებობებში გარანტირებული უნდა იყოს მოძრაობის უსაფრთხოება.

— გარე-სადგომები, ავტომობილების მოძრაობის გზაზე, არ უნდა იყოს ერთნაირმანის მყოფებული მკვეთრი მოსახვევები.

— შიდასაგარეო მოძრაობის გზა უნდა ხასიათდებოდეს კარგი ხილადობით, მოძრაობა უნდა იყოს ცალმხრივი, რაც ზოგავს მანქანების დაყენებისა და განსვლისთვის საჭირო დროს და მინიმუმამდე ამცირებს შესაძლებელ დაჭიბებებს.

თანამედროვე ნებისმიერ სახის, მრავალსართულიანი, მრავალსართულიანი გარე-სადგომები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითადი გარემოებებს:

1. ნაგებობები უნდა იყოს გადახურული.
2. მანქანების დასაყენებელი ადგილები უნდა იყოს სავაზო-საღ.
3. გარანტირებული უნდა იყოს სადგომებზე მანქანების ხელმეუბნობა.
4. მანქანების დაყენება არ უნდა იყოს ძვირი და საშისო თანხის დაანგარიშება იოლი უნდა იყოს.
5. გარე-სადგომები უნდა იქიდან ასევე სწრაფად გამოისვლა და საჯარო-სატრანსპორტო ქსელში ჩართვა არ უნდა ჭირდეს.
6. გარე-სადგომები კარგად უნდა ნათვლიდეს, — განსაკუთრებით კამბი.
7. კარგი ვენტილაციით უნდა იყოს აღჭურვილი.
8. საჭიროა სადგომებზე სისუფობის დაცვა.
9. ტერიტორია კეთილმოწყობილი და სასიამოვნო სანახავი უნდა იყოს.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა ჯ. თითქმისიძე

ცარიელი სივრცე

პიტერ ბრუკი

ამერიკაში მკვლარი თეატრის აღიარება და მის წინა-
აღმდეგ მიმართული საკმაოდ მძაფრი რეაქცია ტალღე-
ბივით ენაცვლებიან ერთმანეთს. რამდენიმე წლის წინ
ამერიკაში შეიქმნა მსახიობთა სტუდია, რომელიც მიზ-
ნად ისახავდა საკუთარი ძალების რწმენა შეენარჩუნე-
ბინა და პრაქტიკული დახმარება გაეწია იმ უიღბლო
მსახიობთათვის, რომელთაც მუ-შივი სამუშაო არ გააჩ-
ნდათ. სტუდიამ სტანისლავსკის მოძღვრების ზოგიერთი
ნაწილის სერიოზული და სისტემატური შესწავლის სა-
ფუძველზე შეიქმნა რამდენიმე სასახიობო ხელოვნების
შესანიშნავი სკოლა; ეს სკოლა მთლიანად პასუხობდა რო-
გორც თანამედროვე დრამატურგიის, ისე თანამედროვე
მაყურებლის მოთხოვნასაც. მსახიობებს კვლავინდებურად
სამ კვირაში უხდებოდათ სპექტაკლის მომზადება, მაგრამ
სკოლის ტრადიციების წყალობით, ხელცარიელი პირველ
რეპერტორიაზე კი არ მოდიოდნენ. სწავლის დროს გამო-
მუშავებული ჩვენები მათ თამაშს დამაჯერებელსა და
სრულყოფილს ხდიდა. მსახიობს თავიდანვე უნერგავდნენ,
უარი ეთქვა შტამპზე—სინამდვილის იმიტაციაზე—და სა-
კუთარი არსებაში მოექცნენ რაიმე უფრო რეალური. მსახი-

ობს მის მიერ განსახიერებელი პერსონაჟის ცხოვრებით
უნდა ეცხოვრა სცენაზე და ამგვარად, თამაშის პროცესი
აღამიანური ბუნების შეცნობის პროცესად ექცია. სიტყვა
„სინამდვილეს“ მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ
შემთხვევაში იგულისხმებოდა რეალური ცხოვრების ის
ნაწილი, მსახიობის გარემომცველ ხალხსა და პრობლე-
მებს რომ აშუქებდა, თანაც იმ სინამდვილის ნაწილსაც
ემთხვეოდა, რომლის აღბეჭდვა ამა თუ იმ თანამედროვე
დრამატურგმა — მილერმა, ტენესი უილიამსმა თუ ინგმა
— სცადა. სწორედ ასევე განაპირობებდა სტანისლავსკის
თეატრის სიცოცხლისუნარიანობას საუკეთესო რუსი
კლასიკური ავტორების მოთხოვნილებათა გათვალისწინე-
ბა, რომელთა პიესებიც ნატურალისტური სკოლის ტრა-
დიციების შესაბამისად იდგმებოდა. რუსეთში ეს სკოლა,
მაყურებელი და დრამატურგია, წლების მანძილზე ერთ
მთლიანობას წარმოადგენდა. მოგვიანებით, სტანისლავ-
სკის მიერპოპოლარი დაუპირისპირდა და თამაშის ახალი
სტილი შესთავაზა მაყურებელს, სტილი, რომელიც რე-
ალობის სხვა ელემენტებს აღბეჭდავდა. მაგრამ მიერ-
პოლარი გაქრა. ახლა ამერიკაში ახალ მიერპოპოლარდს ელო-
დებიან, რადგან აღარ სჭერათ, ნატურალისტური მე-
თოდების მეშვეობით შესაძლებელი რომაა მათი ცხოვ-
რების წარმმართველი ძალების ჩვენება. დღეს ამერიკა-

გაგრძელდა. იხ. „საბუთო ხელოვნება“, № 1, 1981 წ.

ში ეყენებოდა კამათობენ, ახლებურად აფასებენ შექსპირს, მოკაყეთ არტის ციტატები, ბერს ლაპარაკობენ ტრადიციული წარმოდგენის შესახებ და ყველაფერი ის საკმარის რეალისტური მისაზრებოთა ნაქარხანები, რამდენად, თანამედროვე ამერიკული ცხოვრების ბევრი ასპექტის ასახვა, მხოლოდ და მხოლოდ ამ ხასიათის მეთოდობითა შესაძლებელი. სულ ცოტა ხნის წინათ, ინგლისელმა შერთი უქვერდონენ ამერიკული თეატრის სისხლსაც ცხოვრებას. ახლა ქანქარა ლონდონისაკენ გადაიხარა, თითქოს ინგლისელმა ყველა კარს მოარგეს გასაღები, ამ რამდენიმე წლამ წინ მსახიობის სტუდიამო ენახე ქალაქში, რომელიც ცდილობდა ხელ წარმოედგინა თავი და ისე წარმოეთქვა ლედი მაკბეტის მონოლოგი: როცა ამის შესახებ ლონდონში მოყვევი, ჩემი ნაამბობი სცილდაც არ ეყოთ. ბევრი ინგლისელი მსახიობისათვის ახლაც წარმოუდგენელია, რა საჭიროა ამგვარი ვარჯიში. ნიუ-იორკში კი იმ ქალაქის არ სჭირდებათ ახსნა, თუ რა არის ჭეუფური მოქმედება ამ იმპროვიზაცია — ეს უკვე იცოდნა, ახლა ფორმის არსისა და მოთხოვნების ამოცნობას ცდილობდა; ამიტომაც იღვავ ხელდაწვეული, ხესავით, თუმცა ფუძელ კი ხარჯდება შინაგან წესსაც და ენერჯიასაც.

ყველაფერს იგივე პრობლემამდე მიყვავართ. სიტყვა „თეატრი“ მრავალი მოუხელონებელი მნიშვნელობის მატარებელია. უმარავეს ქვეყნებში თეატრის არც მყარია აღივლი უყავია საზოგადოებაში, არც ნათელი მიზანი გააჩნია — მხოლოდ საკუთარი ფუნქციების დანაწილების ხარჯზე არსებობს: ერთი თეატრისათვის მთავარია ფული, მეორისთვის — დიდება, მესამისთვის — მაყურებლის ქმოცია, მეოთხესთვის — პოლიტიკა, მეხუთესთვის — გართობა. საგონებელში ჩავარდნილი მსახიობი ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება, ამოღო ცდილობს თავის დიდწევას იმ გაუმართებელ მარწმუნებელს, რომელიც უკვე აღარ ემორჩილებოდა მას. მსახიობები, ზოგჯერ, შეიძლება ექვიანი ან პრიმიტიული ხალხის შთაბეჭდილებას სტეფანდენ, მაგრამ არ შემხედვარია მსახიობი, მუშაობა რომ არ უნდოდეს. სწორედ მუშაობის წყურვილია მისი ძალა. ეს ის წყურვილია, რომელსაც ყოველთვის და ყველამ ეხმარება პროფესიონალი მსახიობებს საერთო ენის გამოხატვაში. მაგრამ მსახიობი სხვის დაუხმარებლად უძღვრია შეცვალის თავისი მუშაობის პირობები. თეატრი, რომელსაც განსაზღვრული მიმართულება და ენა არ გააჩნია, მსახიობი, ჩვეულებრივ, ბრმა იარაღი და არა ინსტრუმენტი; მაგრამ, მსახიობი გინდაც მოვარი ფიქტურა იყოს თეატრში, პრობლემა ამით მაინც ვერ გადაიჭრება. პირიქით, მსახიობის თამაში მკვდარი სიტყვები კიდევ უფრო ამძაფრებს კრიზისს.

სტიქორული პროფესიის სირთულეები მხოლოდ თეატრალ კომერციულ მისწრაფებებსა და სექტარული მისამართობადაც გამოყოფილი დროის სიმცირეზე როდია დამოკიდებული. მომღერლები, ხშირად კი მოცეკვავეებიც, სიცოცხლის ბოლომდე არ სწყვეტენ კავშირს მასწავლებლებთან; ხოლო დამატებელ მსახიობს, სწავლის დამთავრების შემდეგ, აღარაქონ ეხმარება ტლანტის განვითარებაში. ეს განსაკუთრებით მწვავედ კომერციულ თეატრში იგრძნობა, მაგრამ უკეთესად არც მუდმივ დასვენებაში.

მე. ვარკვეული მდგომარეობის მიღწევის შემდეგ ხიობი შინ აღარ მუშაობს, ახლავარდა მსახიობის ჩამოუყალიბებელი, გამოუცდილი, მაგრამ ნიჭიერი და უარული შესაძლებლობებით აღსავსე, მალე ხვდება, რისი ძალაც შესწევს; ვარკვეული იბლის წყალობით, იოლად დასძლევს ხოლმე პირველ სირთულეებს და საკმაოდ შესაშურ მდგომარეობასაც აღწევს — იმ საქმეს აკეთებს, რომელიც უყვარს, თან არც ფული ავლია, არც მაყურებლის აღტაცება. თუმცა, თუკი უფრო შორს აპირებს წასვლას, აღბათ, მიწვეულის საზღვრებს უნდა გადაცდეს და რაღაც მართლა ძნელი ამოცანის გადაჭრა სცადოს, იღონდ ევაა, რომ საძისოდ არავის ყოფნის დრო. გეგობრივი ვერაფერ დახმარებას გაუწევინ, შრომლები მაინც დამარცხ ვერ ერკვევიან მის ხელოვნებაში, ხოლო ავინტ, რაც არ უნდა ჭკეინი და კეთილმოსურნე იყოს, არ ათქმევენებს უარს მომგებიან მიწვევებზე რაღაც უკეთესის გათრკვეული დაპირებების გამო. კარიერის შექნა სრულყოფილიც არ გულსხმობს სამსახიობო ოსტატობის ზრდასაც. ძალზე ხშირად, მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად, მსახიობი ერთფეროვანი ხდება. ეს ფრიად სამწუხარო ამბავია და ყოველი განმავალისი მხოლოდ დროებით ჩქმალავს ქეშმარიტებას.

რა ავსებს, ჩვეულებრივ, რიგითი მსახიობის ცხოვრებას? რასაკვირველია, უამარავი სხვადასხვა რამ: ლოგინში კორტალი, სმა, დალაქთან თუ ავენტთან სიარული, კინო, გადღობა, ვაგნიფანება, კოხება, ხანდახან სწავლაც კი; ბოლო ხანებში, თქვენ წარმოიდგინეთ, მსახიობი ცოტ-ცოტას პოლიტიკაც ერთობა. მაგრამ, მთავარი ის კი არ არის სერიოზული საქმითა დაკავებული თუ სისულელოთ, არამედ ის, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, საიურად შორსაა მისი ძირითადი საზრუნავისაგან — არ იტყვნოდნოთ ერთ დავილოვ როგორც მსახიობი, რაც იგივეა, არ გაიყაროს განვითარების ერთ წერტილზე როგორც ადამიანი, ანუ განუწყვეტელი იღწვოდეს საკუთარი ოსტატობის სრულყოფისაკენ. ხშირად მიმუშავია მსახიობებთან, რომლებიც ჩვეულებრივ დაპირების შემდეგ — „თქვენს ხელთ ვართ“ — მთელი მათი მცდელობის მიუხედავად, ტრაგიკულად უძღვრნი არიან თუნდაც ერთ წამით, რეპუტაციაზე მაინც გამოიღონეს საკუთარი სახის ტყუილობა, რომელსაც თითოეული ჩქნინა და რომელ-შიაც შინაგან სიცარიელეს მალავინ, როგორც ნაქუქში. როცა ამ გზებებულ გარსში შეღწევა ხერხდება, ისეთი განცდა გეუფლებათ, თითქოს ტელევიზორის ეკრანი ჩამსხვრიეთ.

ინგლისში ზოგჯერ გვეჩვენება, რომ გაჩნდა სულ სხვა ყვილის ახლავარდა მსახიობთა შესანიშნავი თაობა; თითქოს თამარის მუშების დრო, ურთიერთუმეხვედრ ნაკადს ვადევნებთ თვალს: ერთი ნაკად, ლაქინეული, გამოფიტული, ძლივს მოათრებს ფეხებს; მის შესახებდრად კი მეორე მოაბიჯებს ლადა, სიცოცხლით სავსე და მხნე. ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ეს ნაკადი უკეთესია, უკეთესი თიხისგანაა მოზეილი. ნაწილობრივ, მართლაც ასეა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ახალი ცვლილება იგივე ისეთივე დადლილი და გამოფიტული შეგვარჩება ხელში, როგორც წინამორბედი იყო. ეს აუცილებელი შედეგია მთელი რიგი პირობებისა, რომელთაც დღემდე არავითარი ცვლილება არ განუცლიათ. ტრავედია ისაა, რომ ოც-



დათ წელს გადაცილებული მსახიობის მდგომარეობა, ჩვეულებრივ, არ გამოხატავს ხოლმე მის ჯეშმარაკ ნიჭიერებას. არსებობს უამრავი მსახიობი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ მიხსენია თავისი ბუნებრივი მონაცემების მთლიანად გამოვლენის შესაძლებლობა. რასაკვირველია, როცა საქმე ადამიანის პრიოვნულბომათან სისხლბორცველად დაკავშირებულ პროფესიას ეხება, განსაკუთრებულ მოვლენებს ახასირობს გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭებათ. დიდ მსახიობებს, როგორც საერთოდ ყველა ქეშმარაკ ხელოვანს, მომადლებული აქვთ რაღაც იდუმალი ნიჭი—გაცნობიერებულად. მაგრამ უფრო მეტად ქვეცნობიერია — რასაც თვითონ „ინსტიქტს“, „წინათვარძობას“, „მინავან ხმას“ უწოდებს და რომლის წყალობითაც სრულყოფის დონეში აპყავს როგორც თავისი ხილვები, ისე ოსტატობაც. განსაკუთრებული მოვლენები განსაკუთრებულ კანონებს ემორჩილებიან. ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მსახიობი ქალი რეპეტიციების დროს, ერთი შეხედვით, მოუშობის არც ერთ გარკვეულ მეთოდს არ იყენებდა. სინამდვილეში კი თავისი ორიგინალური სისტემა ჰქონდა შემოქმედებული, რომლის შესახებაც გადის ირთი ლაბარაკობა: „ძვირფასო, დღის ციხის მოვლენა, მერე ცეცხლზე შემოიდგამთ. არგად რომ გამოცხვეს. მერე საფურის მოკლეტეხთ. ბოლოს კი ერბოს მოვასხამთ ზემოდანიო“. მის ქალბატონი, რაღა თქმა უნდა, ზუსტი მეცნიერული ცოდნით იყო აღჭურვილი. თუმცა მსახიობის სტუდიაში მიღებული ტერმინოლოგიით არ სარგებლობდა. ოღონდ ეგაა, შედეგის მიღწევის ამდაგვარი გზა მხოლოდ მისთვისაა ხელმისაწვდომი, თავის უნაის გარშემო მყოფთ ვერ გაუზიარებს. ამიტომაც, სანამ ის „ღვეზუდს აცხობს“, მერე მსახიობს „იძის აუეთებს, რასაც გირძნობა კარნახობს“, მესამე კი დრამატული სკოლის კანონთა შესაბამისად. „ზემოთკანას ეყებს სტანისლავსკის სისტემის მიხედვით“ — მათი ერთობლივი მუშაობა შეუძლებელია. ძველთაგანვე ცნობილია, რომ სხვადასხვა დასებში მუშაობისას მსახიობებს უჭირთ თავიანთი შესაძლებლობების მთლიანად გამოვლენა. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ საბოლოო ჯამში, მუდმივი დასიც სასიკვდილოდაა განწირული, თუკი არა აქვს მიზანი, გარკვეული მეთოდი და, შესაბამისად, სკოლა, სკოლა, რასაკვირველია, სრულყოფილად არ ნიშნავს ტანჯაჯრის დარბაზს, სადაც მსახიობი სხეულის უზრო წერხისას იქნება ადაყოლილი. ხელოვნებას მხოლოდ კონსტიტუციონი ვერ შექმნი; ვერც ჰიანსტიკ ვახსენებ მართოდენ გამების დაკრით: მხოლოდ მოქნილი თითები რიდი დაატარებენ ტილოზე მხატვრის ფუნჯს. თუმცადა ქეშმარაკი ჰიანსტიკი ყოველდღიურად საათობით უკრავენ სავარჯიშებს, ხოლო იანსტიკი მხატვრები მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობენ იდეალური წრის ხატვას. სციქურთ ხელოვნება, მრავალ მიზეზთა გამო, ერთ-ერთი უმაკრესი დარგია ხელოვნებისა და ამიტომაც უმდივი სწავლის გარეშე მსახიობი აუცილებლად შუაგზაზე გაჩერდება.

მაგრამ მინც მისი დადებითი ბრალი მკვდარ თეატრალურ ხელოვნებასთან შეხედვისას? საჭაროდაც და კერძო საუბრებშიაც უყვე საკმარისზე მეტი ითქვა კრიტიკოსების შესარცხვენად და ჩვენს დასარწმუნებლად, სწორედ ისინი რომ წარმოადგენენ ზორობების სათავეს.

ჩვენ წლიდან წლამდე ვსაყვედურობთ კრიტიკოსებს და გულისწყრომას გამოვქვამთ მათი მისამართით, თითქმის ერთი და იგივე ექვსი კაცი რეპეტული თვითმფრინავით დაჭროდეს პარიზიდან ნიუ-იორკში, გამოფენიდან კონცერტზე, კონცერტიდან სპექტაკლზე და ყოველთვის იგივე, ერთნაირად უხეშ შეცდომებს უშვებდნენ. ანდა, თითქოს ყველა კრიტიკოსი თომას ბეკეტის განახიერება იყოს, მეფის მხიარული, გალაყუნებული მეგობრის, რომელიც არქიპისკოპოსად კურთხევისთანავე, თავის წინამორბედების მსგავსად, მამულები მეფეს ჯავრდა კრიკოში. კრიტიკოსები მოვიან და მოვიან, მაგრამ გაკრიტიკებულთა თვალში, ყველანი ერთნაირად გამოიყურებიან. ჩვენი სისტემა, გავთვები, მკითხველთა მოთხოვნები, ტელეფონთი გადაცემული რეცენზიები, ადგილის პრობლემა, ჩვენს თეატრებში უნიჭობის მოზღვაება და სულის გამოფიტველი მოდეგები ხანგრძლივი, ერთფეროვანი შრომისა — მხოლოდ და მხოლოდ იმისთვისაა მოწოდებული, ხელი რომ შეუშალოს კრიტიკოსს თავისი სასიცოცხლო ფუნქციის შესრულებაში. როცა კაცი თეატრში მიდის, უფლება აქვს თქვას, მხოლოდ სიამოვნების მიღება მსურს და სხვა არაფერიო. ასევე, სპექტაკლზე მოსულ ნებისმიერ კრიტიკოსს უფლება აქვს განაცხადოს, რომ სწორედ ამგვარი მაცურებლის დასახმარებლადაა მოსულ, მაგრამ, ალბათ, ამგვარი განცხადებაც არ იქნება სწორი. კრიტიკოსი სხისთვის ძნელდ მოსაპოვებელი ცნობებით მოვაჭრე როდია. მას გაცილებით მნიშვნელოვანი მისია აკისრია, თანაც ერთ-ერთი უმთავრესი, რადგანაც კრიტიკოსებისაგან „განთავისუფლებული“ ხელოვნება კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა.

კრიტიკოსი თეატრის დამცველად გამოდის ყოველთვის, როცა კი უცილობს წინააღმდეგ ილაშქრებს და თუ მთელი თავის ცხოვრებას ბუღლუნში ატარებს, საამისო საფუძველიც აქვს. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ თეატრის შექმნა უაღრესად ძნელი საქმეა: თეატრი არის, ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს, თუკი უნდა გვესმის მისი დანიშნულება, ალბათ ურთულესი მედიუმი ყველა მედიუმში შორის: თეატრი დაუნდობელია, არც შეცდომის დასმვაა გააატიებს და არც დროის ფუჭად ფლანგებს. რომანი მინც შეინარჩუნებს შეიფხვლს, ვინცად იმან კითხვისას რამდენიმე გვერდი, ანდა მთელი თავი გამოტოვოს; ხოლო მაცურებელი საბოლოოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი უცებ მომეზოდება ის, რაც ერთი წუთის წინ ართობდა. ორი საათი მოკლე დროცაა და მარადისობაც. მაცურებლის კუთვნილი დროიდან ამ ორი საათის უზარაოდენ გამოყენება დიდი ხელოვნებაა. თუმცა, რაც არ უნდა მკაცრი და მომთხოვნი იყოს ეს ხელოვნება, მისი მსახურნი, ჩვეულებრივ, შემთხვევითი ხალხია. მკვდარ, უპატიო სივრცეში სულ რამდენიმე ადგილი არსებობს, სადაც მართლა შეიძლება ეზიარო თეატრალურ ხელოვნებას. ამიტომაც ამდენდებობ ხოლმე ასე ხშირად თეატრებში, სადაც კოდნის მაგიერ სიყვარულს გვთავაზობენ, არ, სწორედ ამის წინააღმდეგ იძალდებს ხმას ყოველ სლამის სვეგამწარბელი კრიტიკოსი.

უცილობს არა მარტო საერთო მანკი და საერთო ტრაველია, არამედ არსებობის პირობაცაა მსოფლიო თეატრისა, რა დონეზეც არ უნდა იდგეს იგი: ყოველ კარგ მსუ-

ბუქ კომედიასა თუ მიოზიკულზე, პოლიტიკურ მიმოხილვასა თუ პოეტურ დრამაზე, ანდა კლასიკურ პიესაზე მოდის ათასობით სხვა წარმოდგენა, ელემენტარული პროფესიული ოსტატობაც რომ არ გააჩნია. ეს ეხება როგორც ამგვარი სპექტაკლის დამდგმელებს, ისე სპექტაკლში მონაწილე მსახიობებსაც, რომელთაც არც მეტყველებსისა გაეგებათ რაზე, არც სცენაზე მომართობისა, არც ჭდომისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მოსმენისა. მსახიობს, ილბოლობის გარდა, ვაცილებით ცოტა მოეთხოვება, სამუშაო რომ იწოვოს მსოფლიოს ნებისმიერ თეატრში, ვაცილებით ცოტა — ოსტატობის იმ მინიმალურ დონესთან შედარებით, რასაც აუცილებლად უნდა ფლობდეს, თეატრი, პიანისტი, წარმოიდგინეთ, რამდენ ათას მუსიკის მასწავლებელს ათასობით პატარა ქალაქში შეუძლია წაიციოს ის და დუქრას ლისტისა თუ სკრიაბინის ურთულესი პასაჟების ყველა ნოტი. მუსიკოსთა, ერთი შეხედვით, ამ უბრალო უნართან შედარებით, ჩვენი საქმიანობა, უმრავლეს შემთხვევებში, სამოყვარულო დონეზე დგას. თეატრალური კრიტიკოსი უმცირებს უფრო სწორად აწყობდა, ვიდრე ცოდნას. ერთხელ, მცირე აზრის ერთ-ერთ საოპერო თეატრში მიმიწვიეს ოპერის დასადგმელად: მოსაწყვევ ბარათში, სხვათა შორის, გულახდილად ეწერა: „ჩვენს ორკესტრს რამდენიმე ინსტრუმენტზე აკლია, ზოგჯერ მუსიკოსებიც სცოდავენ, მაგრამ ჩვენი მაყურებელი ჭრჭრეობით ამას ყურადღებას არ აქცევსო“. საბედნიეროდ, კრიტიკოსები სწორედ ამგვარ ამბებს აქცევენ ყურადღებას და აქედან გამომდინარე, მათი ყოველი შენიშვნა, ყველაზე ბრაზიანიც კი, ძვირფასია — რამეთუ ცოდნისაყენ მოგვიწოდებს. ეს, თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა კრიტიკოსისა, მაგრამ მას სხვა მოვალეობაც აკისრია — გზის გაყენა.

როცა კრიტიკოსი ამ მოვალეობას თავს არიდებს და როცა საკუთარ მნიშვნელობას უგულუბეულოფს, ისიც მკვდარი თამაშის მონაწილე ხდება. კრიტიკოსი, ჩვეულებრივ, გულწრფელი და პატიოსანი კაცია და კარგად უწყის, რაში მდგომარეობს მისი საქმიანობის ზოგადსაკაცობრიო არსი: ერთი „ბროდეველი ყასბთავანი“ თურ-

მე თავს იკლავდა, რადგან დარწმუნებული იყო, სწორედ მას რომ ეკისრებოდა კაცობრიობის ბედნიერებასა და მოავლის მთელ პასუხისმგებლობა. მაგრამ, მაშინაც კი, როცა კრიტიკოსებს შეგნებული აქვთ მათი სიტყვის დამანგრეველი ძალა, სათანადოდ ვერ ავსებენ ხოლმე, თურა დღი სიკეთის მოტანა შეუძლიათ ამ ძალის წყალობით. როდესაც status quo¹ გახრწნილია, და კრიტიკოსთავან ცოტანი თუ ურყოფენ ამას, ისრა დაგვრჩენია, რალაც გარკვეული და ხელმისაწვდომი მიზანი დღისახოთ და მხოლოდ და მხოლოდ მისი გათავალსწინებით ვილაპარაკოთ მიმდინარე მოვლენებზე. ეს მიზანი მსახიობისთვისაც და კრიტიკოსისთვისაც საერთო უნდა იყოს — ნაკლებად მკვდარი თეატრი — თუმცა ჭრჭრეობით ამგვარ თეატრზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გაგვიჩინია. ესაა ჩვენი საერთო ამოცანა, ჩვენი უახლოესი მიზანი და ამიტომაც ვალდებულნი ვართ ყურადღებით ვავივრდებოდეთ ყველა საგზაო ნიშანს, გზაზე დატოვებულ ყველა ნაფხურს. გარეგნულად შეიძლება ძალზე დაძაბული ურთიერთობაც გვექონდეს კრიტიკოსებთან, მაგრამ შინაგანად უწყვეტი ძაღვებითა ვართ მათთან დაკავშირებულინი: როგორც თევზები ოკეანეში, ისე უნდა დავერიოთ ერთმანეთს, საერთოდ რომ არ მოისპოს სიცოცხლე ოკეანის სიღრმეებში. თუმცა, არც ეს ურთიერთგანაწილება საკმარისი: საერთო გაბრძოლება გვეჭრდება, წყლის ზედაპირზე რომ ამოვტივტივდეთ. ეს კი, ვაცილებით მწეულია. კრიტიკოსი ნაწილი იმ საერთო საქმისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, ამიტომაც, მნიშვნელობა არა აქვს, სწრაფად წერს ის რეცენზიას თუ ნელა, გრძლად თუ მოკლედ. მთავარია, წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორი უნდა იყოს თეატრი იმ საზოგადოებაში, სადაც თვითონ ცხოვრობს, მთავარია მზად იყოს საკუთარი შეხედულებების გადასასინჯად, ყოველი ახალი შთაბეჭდილების შესაბამისად. განა ბევრი კი გვეყავს კრიტიკოსი, ასე რომ უყურებდეს თავის საქმიანობას?

¹ აქ — დღევანდლობა, აწმყო.



პიტერ ბრუკი (მარჯვნივ) მოსკოვში



ამიტომაც, მხოლოდ მოხარული ვიქნები, თუკი კრიტიკოსი უფრო შინაური კაცი გახდება თეატრისათვის. კარგის მეტრსა შეიძლება მოჰყვას იმას, თუკი კრიტიკოსი ჩვენს ცხოვრებაში უფრო ღრმად შემოიჭრება, მსახიობებს შეხედება, ესაუბრება, შეეკამათება, რეპერტიკებს დაესწრება და, საერთოდ, თეატრის ცხოვრებით იცხოვრებს. მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები კრიტიკოსის მისწრაფებას, უშუალო შემოქმედება მიახინოს თეატრის შემოქმედებით პროცესს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ერთი სასოთხრო პრობლემა წამოიყვანს თავს — რა პირთი შეხედოს კრიტიკოსმა იმ კაცს, რომელიც გუშინ თავის სტატიაში მიწასთან გაასწორა? რასაკვირველია, წუთიერი უხერხულობა გარდაუვალაია, თუმცა სსსაცი-ლოა იმის ფიქრიც, თითქოს სწორედ ეს უშლიდეს კრიტიკოსს ხელს უშუალოდ დაუკავშირდეს საქმეს, რომლის ნაწილიც თვითონაა. ორმხრივი, როგორც ჩვენი, ისევე კრიტიკოსის შეცდუნება ადვილი დასაძლევია, ხოლო თეატრთან უფრო ახლო კავშირი სრულებითაც არ აძი-ულეს კრიტიკოსს უკუბრუნო თავის ობიექტურობას პი-რადი ნაცნობობის გამო. თეატრის მოღვაწეთა მიერ ერთ-მანეთის მისამართით გამოთქმული შენიშვნები, ჩვეუ-ლებრივ, ძალზე მკაცრია, მაგრამ თან საინკარდ ზუსტიც. კრიტიკოსი, რომელსაც თეატრი აღარ უყვარს — უშუა-ლოდ მკვდარი კრიტიკოსია; ასევე მკვდარია კრიტიკოსი, რომელსაც უყვარს თეატრი, მაგრამ ვერ ხედება, რას ავალდებულებს ეს სიყვარული; კუშმარტობა კრიტიკოსმა კარგად იცის, როგორი უნდა იყოს თეატრი და იმდენი გამბედაობაც ჰყოფნის, ეჭვი შეიტანოს საკუთარ მოსაზ-რებებში, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენის მომსწრე ხდება.

სამწუხარო ისაა, პროფესიონალი კრიტიკოსი იშვიათად რომ ხდება ამგვარი მოვლენის მომსწრე, იშვიათად ნახუ-ლობს სპექტაკლს, რომელსაც მისი შეხედულებების შერ-ყუვა შეუძლია; კრიტიკოსისათვის ძნელია ენთუზიაზმის შენარჩუნება, როცა მთელ მსოფლიოში თითო-ორიოა კარგი პიესა თუ დრამა. კინოში ყოველწლიურად ახა-ლი, სხვადასხვაგვარი მსახიობის ნაყალი მოედინება, თეატრ-მა კი ისევ და ისევ კლასიკოსთა დიად თხზულებათა და თანამედროვე დრამატურგთა ნაყოლებად დასულ ნაწარ-მოებებს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი. ასე ჩნდება პრობლემის კიდევ ერთი ახალი მნიშვნელოვანი წახანგი — საკითხი მკვდარი დრამატურგიისა.

პიესის დაწერა წარმოუდგენლად ძნელი საქმეა. თვი-თონ დრამატურგიული ნაწარმოების შედგენა ავტორისა-გან ერთდროულად რამდენიმე სრულიად განსხვავებულ ადამიანად გარდქმნას მოითხოვს. დრამატურგი მსაქული არ არის, ის შემოქმედია და იმდენი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, რამდენი მოქმედი პირიკაა მის ნაწარმოებში. ერთი პერსონაჟიდან თავფეხიანად მეორე პერსონაჟად გარდაქმნა — რაც ძირითად პრინციპია შექმნილის თუ ჩემოვის მთელი დრამატურგიისა — არადასიანურ დაძა-ბულობას მოითხოვს ნებისმიერ ეპოქაში. საამისოდ გან-საკუთრებული ნიჭია საჭირო, რომლის განვითარება და-სავებით შესაძლებელია, ხელს არ უშუქობდეს ჩვენის ეპო-ქა. დამწებ დრამატურგთა ნაწარმოებები ხშირად უფრო იმიტომ გვეჩვენება უმნიშვნელოდ, ავტორებს ჯერ ძალა რომ არ შესწევთ კაცობრიობის საზრუნავის ღრმად ჩაწე-

ლობისა. მეორე მხრივ, ჩვენს ნდობას, მაინცდამაინც, არც ხანმოშუესული ლიტერატორები იმსახურებენ, პიესების შე-ქმნა რომ გამოიზინებენ და ყველა მათ საიდუმლოს მა-მნივე გაგავანდობენ ხოლმე. რომანის კლასიკური ფორმე-ბის უფლებმეცოდება, რასაც საფრანგეთში დაედო სათა-ვე, წინა ეპოქის მწერლების ყოველმცოდნეობის წინაა-მდეგ მიმართული რეაქცია იყო: მარგარიტ დიურას რომ ჰკითხოთ, რას განიცდიდა თქვენი გმირი, ალბათ იტყვის: „წარმოდგენა არა მაქვსო“. ანდა, რომ გრიფს თუ ჰკითხ-ავთ, რატომ მოიტყა მისი გმირი ამგვარად და არა სხვანა-ივად, დარწმუნებული ვარ, გიპასუხებთ: „დაბეჭდებით-ხოლო იმის თქმა შემიძლია, ჩემმა გმირმა კარო მარჯ-ვენა ხელით რომ შეაღო“. თუმცა, აზროვნების ამ მანე-რისა ჯერ არ შეუღწევია ფრანგულ თეატრში, სადაც პირ-ველ რეაქციონიზმ დრამატურგი ძველმეცოდნე ერთგვი-ან სპექტაკლს გაითამაშებს ხოლმე: პიესას კითხულობს და თან ყველა მოქმედ პირს ანსახიერებს. აი, თვალნათე-ული მავალითი მუშაობის იმ ტრადიციული ფორმებისა, დღეს სულს რომ დაფავენ მსოფლიოს ყველა კუთხეში. დრამატურგი იძულებული გახდა თავისი განსაკუთრებუ-ლი საქმიანობისათვის ქველმოქმედების იერი მიეცა, ხო-ლო ლიტერატურისათან კავშირი საკუთარი მნიშვნელობის წარმოსახენად გამოეყენებინა, რადგან გულის სიღრმეში მშვენიერად იცის, რომ მარტოოდენ მისი ნაწარმოებები საამისოდ საჭიროსი არ არის. განმარტობის სურვილი, შეიძლება, დრამატურგის შინაგანი წყობის თავისებურე-ბებიდან გამომდინარეობდეს. საყვებით დასაშვებია, რომ მხოლოდ ჩაყეტო კარს მიღმა, საკუთარ თავთან განმარ-ტოებულს შეუძლია ერთიან ფორმაში მოაქციოს ის ჩვე-ნებები თუ წინააღმდეგობანი, რომელთა შესახებაც არა-სოდეს ღიარაყვება სახალხოდ. ჩვენ არ ვიცით როგორ მუშაობდნენ ესკოდ ან შექსპირი; მაგრამ ის კი ვიცით, რომ თით კედელში გამოეცხობო, ქალაქში მოჭაჭუფი ავტორის კავშირი თეატრის სამყაროსთან სულ უფრო და უფრო ეფეგრებული, სულ უფრო და უფრო არაყარი ხდება. საუკეთესო ინგლისელი დრამატურგები ახლა თე-ატრის კედლებში იბადებიან: უესკერი, არდენი, ოსბორ-ნი თუ პინტერი არა მხოლოდ დრამატურგები, არამედ რეჟისორებიც, მსახიობებიცა და ზოგჯერ, იმპრესარიოე-ბი კი არიან.

მოუხედავად ამისა, ძნელად მოინახება ავტორი, თეო-რეტიკოსი იქნება თუ მსახიობი, რომლის ნამუშევარზეც კაცი იტყობა—შოგანუნებლია, ანდა შოგანუნებელია. ავტორი თავისი ბედის ბატონ-პატრონი რომ იყოს და არა მსხვერპლი, კიდევ გვექნებოდა უფლება, მისთვის თეატ-რის დაღბრი დავგებრალებინა. ახლა კი უნდა ველოდო, რომ ეს დაღბრი უძლურება და სხვა არაფერი — უბრა-ლოდ ავტორებს ძალა არ შესწევთ აღდგენილი დღის მოიხონებათა დინამედ ამაღლდნენ. რა თქმა უნდა, გამო-ნაკისიერ ცხვებთან: ზოგჯერ, აქა-იქ, მართლაც კუშმარი-ტი ტლანტი ვაიმარწყინებს ხოლმე, მაგრამ მე ისევ კინო-ხელეოვნების ახალი, ორიგინალური ნაწარმოებების მთე-ლი ნაკილ მასხუნდება და, ძალუუნებურად, თეატრისათე-ვის განკუთვნილ პრობლემას ვადარებ მას. როცა დღე-ვანდელ პიესებში ლიტურგიკას ბაძავენ, ჯერ სწორედ მი-ბაძევა გვეცემა თელში და მერე ის, რის ასახვასაც ცდი-ლობენ; როცა პიესაში ამა თუ იმ ხასიათს აშუქებენ, იშ-

ვიათად სცილებდები ჩვეულებრივი სტერეოტიპის ფარგლებს; როცა კამათობენ, იშვიათად აღიან აზრის თავბრუს დახვეწე სიმბოლოდ: მაშინაც კი, როცა ლაპარაკი ცხოვრების სიმბოლოდობაზეა, პიესები ვერაფრით გვაზარებენ ვაშლაშენებელი ფრაზების ლიტერატურული ღირსების გარდა; სოციალური ბოროტების გაკრიტიკებისათვის პიესა იშვიათად თუ ჩასწვდება ხოლმე სოციალური პრობლემის სიბრტე; ხოლო თუ პიესა მაყურებლის გაციუნებას ისახავს მიზნად, ეს მიზანიც ძველი, გაცვეთილი ხერხების წყალობით მიიღწევა.

აქედან გამომდინარე, ხშირად არჩევანის გაკეთება გვიხდება: ხელახლა დავდგათ ძველი პიესა, თუ დროს გადაუხადოთ ხარკი და ახალ, წყალწყალა პიესას შეეცოდით. არსებობს მესამე ვარიანტი — საკუთარი ძალებით პიესის შექმნა, როგორც, მაგალითად, შექსპირის სამეფო თეატრის მწერალთა და მსახიობთა ჯგუფი მოიქცა, როცა თეატრმა ვიეტნამის თემაზე სპექტაკლის დადგმა განიზრახა და რაკი ამგვარი პიესა არ არსებობდა, ეს ვაკუუმი იმპროვიზაციისა და ვაიმოვანობის ხაზგზნე ამოიხსო. ნიჭიერი ხალხის ერთობლივ მონდომებას უფრო სანტიმენტურს ნაყოფის გამოღება შეუძლია, ვიდრე ერთი, საშუალო ნიჭის კაცის ჯვახს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არავფერის ამტკიცებს. წაწარმოებს დასარტყელის სახე რომ მიეცეს, ამისათვის ავტორია აუცილებელი.

თორიულად, არავის აქვს მინიჭებული იმდენი თავისუფლება, რამდენიც დრამატურებს. მას შეუძლია მთელი სამყარო დაატოოს სცენაზე. მაგრამ, სინამდვილეში, ის წარმოუდგენლად გაუბედავია. ცხოვრებას აყვარდება და, ყველა ჩვენთაგანის მსგავსად, მთელის მხოლოდ პაწაწის ნაწილს ხედავს, ხოლო ამ პაწაწის ნაწილის ერთ-ერთი ასპექტი ბიძეს აძლევს მის წარმოსახვას. საუბედუროდ, დრამატურგი იშვიათად ცდილობს ეს დატოლოს სხვა, უფრო დიდ დეტალებს დაუკავშიროს, თითქმის ეგვიპტ არ ეპარება საკუთარი ინტუიციის პირუთვნელობაში და თითქმის მხოლოდ ისაა ჰეშმარტი სინამდვილე, რასაც თვითონ თვლის რეალობად. როგორც ჩანს, სუბიექტივიზმი, რასაც დრამატურგი თავის იარაღად და სიძლიერედ თვლის, ხელს უშლის მას შეამჩნიოს დიალექტიკური კავშირი დრამატურსა და აქტიურ სუბიექტს შორის. ამიტომაცაა, ერთი დრამატურგი საკუთარ სულის სირბილებსა და ბნელ ენქუქლებს რომ იკვლევს, მეორე კი, რომლისთვისაც ეს სფერო შეუღწეველია, მხოლოდ ცხოვრების გარეგნული მხარეებისდმი იჩენს ინტერესს და, ამავე დროს, ირრევე არაწმენდარაობისა, სწორედ თვითონ რომ მოიცავს მთელ სამყაროს. შექსპირი რომ არ მოვლენდა ქვეყნიერების, აღბათ ვერც ვიფიქრებდით, შესაძლებელი თუ იყო ამ დრამატურგის ერთ არსებოდ გაერთიანება. მაგრამ ელისაბედის დროინდელი თეატრი მითი არ არის, ის ნამდვილად არსებობდა და ჩვენი მდებარეობის მიუხედავად, წუთითაც ვერ დავივიწყებთ. თითხს წლის წინ დრამატურგობა იცოდას, როგორ შეეთავსებინათ გარემომცველი სამყაროს მოვლენები იმ ადამიანთა რთული სულიერი ცხოვრების მოვლენებთან, რომედათაგანც თითოეული პიროვნება იყო; იმის უნარაც შესწავლათ, ამ ადამიანთა შიშშია და მისწრაფებანიც ლია კონფლიქტამდე მიყვანათ. დრამა სულთა ვაშიშვლება, დაპირისპირება და შეჯახება იყო, ის აზრს,

რწმენას, განსჯის სურვილს აღვიძებდა და, ბოლოს და ბოლოს, გაგებას ბადებდა. შექსპირი მწვერვალი იყო იმდენი, რასაც მტკიცე საყრდენი ჰქონდა, ის ღრუბლებში სასწრაულის წყალობით როდი დაფრინავდა; შექსპირი ამ პირობისა ავირავინებდა, რომელიც უფრო მცირე მასშტაბის, უფრო ნაკლებნიჭიერი დრამატურგებისაგან შედგებოდა, მაგრამ ნებისმიერი მთავანი, შექსპირის მსგავსად, შეყარობილი იყო ერთი, ეგზოტიკა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც ჰამლეტი საუკუნის სიმბინჯისა და სენს ეძახდა. მიუხედავად ამისა, გავლენილი დრამის ახალი ელისაბედური თეატრი, თავისი მდიდრული დეკორაციებით, დღეს უპირობად მოგვეჩვენებოდა. იგი, რატომ უნდა ჩავაქცერდეთ უფრო ყურადღებით შექსპირის თეატრს და ვცადოთ, მივხედოთ მის მდგომარეობას მისი სპეციფიური თავისებურებანი. ერთი უბრალო აზრი მაშინათვე მოგვივა თავში. შექსპირიც ზომის იგივე ერთეულებს იყენებდა, რასაც ჩვენ — მის განკარგულებაშიც მაყურებლის დროის რამოდენიმე საათი იყო. მაგრამ შექსპირი დროის ამ მონაკვეთს — გიუტად და თანდათანობით — ცოცხალი, საოცრად შინაარსიანი ცხოვრებით ავსებდა. შექსპირის პერსონაჟები ერთობოლად რამდენიმე განზომილებაში არსებობდა — ღრუბლებშიც დაფრინავდნ და ფსეკრეცე უწვებანი; დახვეწილი ტექნიკა, ლექსისა და პროზის მონაცვლეობა, ამაღლებული, ხალისიანი, შემამოთვებელი კონტრასტული ეპიზოდების მრავალფეროვნება — საშუალებას აძლევდა შექსპირს ნათლად ეთქვა სათქმელი, შექსპირმა იცოდა რას მოთხოვდა ადამიანებისაგან, სასოვადოებისაგან და ეს ცოდნა ემხარებოდა თემისა და ხერხების მერჩევში, საერთოდ ემხარებოდა შექსპირს. დღევანდელ დრამატურგს კი თავი ვერ დაუღწევი ანეკდოტის, ლოცვის, სტილის მარწყვებიდან, ხელფესვიერულად გრძობს თავს ვიქტორიანულ წარმოადგენათა ვადომანშეთების გამო, რამეთუ, ამ წარმოდგენათა მიხედვით, პატრიოტყვარობა და სითამამე — დასაძრახი თვისებებია. არადა, როგორ სჭირდება ამ დრამატურგს ერთიც და მეორეც? რა იქნებოდა, თანამედროვე დრამატურგს პატრიოტყვარობა აუწყებდეს და სითამამეც ჰყოფინდეს, ეს რომ შეჰბედოს, მაგრამ ვიდრე მარტოხელა სირაქუნდასავით ცხოვრობს, ამაზე იცნება ან შეიძლება; წამოჰყოფს თუ არა თავის სიცი მაშინათვე ძველთაძველ კრიზისს შეუჩნება პირობები, იმის გარკვევა მოუწევს. როგორი უნდა იყოს თეატრი. რასაკარგველია, ყველა ავტორი იმას ქმნის, რისი უნარაც შესწევს, თავს ზემოთ ლაღა არ არის. მარტო შენი სურვილის გამო ვერც გარდაიქმნები და ვერც უფეთისი განდები. ავტორის ისღა დარჩენია, ნანახის, ნაფიქრისა და განცდილის შესახებ წეროს. თუმცა მას საკუთარი სამუშაო „ხელსაწყობის“ სრულყოფაც შეუძლია. რაც უფრო ნათლად შევიგრძნობთ ავტორი რომელი რეალური აქლია გარემომცველ სინამდვილესთან მის დამაკავშირებელ ჯაქებს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მწვავედ განიცდის საკუთარ უამრებას უფრო ღრმად, უფრო მრავალფეროვნად ასახის ცხოვრება, უფრო სრულად და ამომწურავად გამოიყენოს თეატრის შესაძლებლობანი და როგორც კი მიხვდება, ტუსალად რომ გადაუქცევი იგი სიმარტოვის მითიონივლება, გაცილებით იოლი გახდება მისთვის

დაკვირვებისა და პირადი გამოცდილების გამოართობის ხეობის აღმოჩენა, რომელთა შეთავსებაც იქამდე თითქმის შეუძლებლად ჩვეულებად.

მინდა უფრო ზუსტად განვსაზღვრო, რაში მდგომარეობის ის ძირითადი სირობეა, რასაც აწყვდება ყველა, ვინც კი თეატრისათვის წერს. დღეს თეატრის მოთხოვნებში შეიკვალა და თანაც არა მხოლოდ მოდის გამო, არა იმით, რომ მოცემული წლის წინ მათურად თეატრის რაღაც გარკვეულ სახეს რომ ანიჭებდა უპირატესობას, ახლა კი — დარბაზის მაყიყვებს მიუტარებდნენ — დრამატურგი ახალ გამოქმედებებში ხერხებს ეძებს. უბრალოდ, წლების მანძილზე დრამატურგები იოლად აღწევდნენ წარმატებას იმ უნარის გამოყენების წყალობით, რომელსაც უშუალოდ კავშირი არ გააჩნდა დრამატურგისათვის. თუკი კაცს „წერა“ შეეძლო, ანუ ნიზნდნოდა ალაგებდა სიტყვებსა და ფრაზებს, თეატრისათვის ზედგამოჭრილად ითვლებოდა. თუ მწვევე სიუჟეტს მოიგონებდა, მოულოდნელად განავითარებდა მოქმედებას და ევრთ წოდებულ „ადამიანთა ბუნების ცოდნას“ გამოამყვანებდა, ბრწყინვალე კარიერა უზრუნველყოფილი ჰქონდა. დღეს ისეთი უშარბილი ღირსებები, როგორცაა პროფესიული ჩვეულება, ხეივანი ინტრიგა, ეფექტური ფარდა თუ ცაცხალი დიალოგი, მილიანად გაუფასურებელია. უფრო მეტიც, ტელევიზიამ მთელ მსოფლიოში ნებისმიერი კლასის წარმომადგენელს ასწავლა ევრანზე გაეღვებისთანავე შეაფასოს ნაწინი, ამიტომაც, ახლა ჩვეულებრივ მაყურებელს არ გაუჭირდება დამოუკიდებლად, „მკოდნე პროფესიონალი“ ახსნა-განმარტების დაუწინაურებლად შეაფასოს ამა თუ იმ სცენის ღირსება. დრამატურგის იმ მხარეთა შეუხელებლად დისკრდიტაცია, რომელთაც თეატრთან უშუალოდ კავშირი არ გააჩნდათ, მისი სხვა თვისებების სწორ შეფასებას უწყობს ხელს, თვისებებისა, მაიროლად მჭიდროდ რომ უკავშირდებიან თეატრს და სწორედ თეატრისათვის არიან არსებითნი. სცენა — სცენაა, და არა უზრალად მოსახერხებელი ადგილი ინსცენირებული მოვლემის, ლექციებისა თუ მოთხრობების დასაღმგელად; სცენაზე წარმოქმნილი სიტუვის სიკოცლისუნარიანობაც მხოლოდ ერთი თვისებთი განისაზღვრება: ახდენს თუ არა იგი ზემოქმედებას გარკვეულ სცენურ ვითარებაზე. სხვა სიტუვებით რომ ვთქვათ, დრამატურგის საქმიანობაში გარემოცველი ცხოვრებით აღბეჭდილი მისი პირადადობა ირკვლება, რადგანაც სცენა სრულებითაც არაა სპილის ძვლის კოშკი, მაგრამ დრამატურგის მიერ არჩეული საგანი, ფასეულობათა აღქმა იმდენადაა სიანტრეუსი, რამდენადაც თეატრის ერთი ელემენტიც. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება, როცა დრამატურგი მორალური თუ პოლიტიკური მოსახერხებების გამო ცდილობს პიესა საკუთარი იდეების საყვირად აქციოს. ან იდეების მნიშვნელობის მიუხედავად მაყურებელზე პიესის ზემოქმედება, საბოლოო გამში, მაინც მისი დრამატურგიული ღირსებებით განისაზღვრება. დღევანდელი ატორი გაწილებული დარჩება, თუკი ტრადიციულ ფორმებს თავისი იდეების საზიარად გამოყენებს. ეს იქამდე იყო შესაძლებელი, სანამ ამ ტრადიციულ ფორმებს ვერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ სიკოცლის ელფერი. მაგრამ დღეს, რაკი ამ ფორმებმა მნიშვნელობა

დაკარგეს, ის ავტორი კი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი სათქმელი აინტერესებს და არა საერთოდ იტულებულია ყველაფერი თავიდან დაიწყოს — შეისწავლოს დრამატურგიული გამოქმედების ბუნება. სხვაგზა არ არსებობს — თუკი, რა თქმა უნდა, ავტორი ისევ ეველი, დანჯღრეული მანქანით არ გაემუზავრება, რომელიც, ალბათ, ევრსოოდს მიყვანს დანიშნულ ადგილამდე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორიც იაივე სრულეებს აწყდება, რასაც რეჟისორი.

როცა რეჟისორის როელი განცხადება მდმისი აქოლა, ავტორის მსახური ვარ და მინდა პიესამ თვითონ ილაპარაკოს თავის ღირსებებზე, წინასწარვე უნდობლობა მიყრობს ხოლმე, რადგან ამ ძიხნის მიღწევა წარმოუდგენლად ძნელია. პიესა თავის ნებაზე რომ მიუეწყოს, შეიძლება საერთოდ ჩქამიც ვეცდეს. პიესა რომ ალაპარაკდეს, ჩვენ უნდა ამოვალეზინოთ ხმა. ეს დღე, ვააზრებულ შრომას მოითხოვს, საბოლოო გადაწყვეტა კი, სწრაფად, უბრალოებით განაცხადვრებს. ოდნოდ „უბრალოებისაც“ მისწრაფვებს, სკულიად საპარისპირო შედგენის გამოღებაც შეუძლია, რადგან მის ზურგს უკან არაფერი დვას, გარდა სურვილისა, იმ საფეხურთა მტანჯველი მიების გამოტოვებას რომ გულისხმობს, რომელთაც მიყვავართ სწორედ უზრალე გადაწყვეტიცავენ.

რეჟისორის როელი მეტად უცნაურია: მას სრულეობაც არ უნდა იყოს ღმერთი, მაგრამ, როლის გამო იტულებულია ღმერთის მაგვირბაც გასწყოს; მას შეეცდილობს დავების უფლებაც არა აქვს — მსახიობები, ინსტრუმენტორა, მისგან უზენადა მსაჯულ ქმნიან, რადგანაც განუწყვეტილ სჭირდებათ ამგვარი მსაჯულის არსებობა. გარკვეული თვალსაზრისით, რეჟისორი ყოველისთვის ივალმამკობს: გარკვეულ არ ცინებს და სხვებს წინ მიუძღვის; მაგრამ, არც არჩევანის უფლება აქვს, ერთობოლად წინამძილობაც უნდა გასწყოს და თან გარემოც შეისწავლოს. კვლობს პროექსი მამანი იწყება, როცა რეჟისორი შემწილ მდგომარეობაში ვეღვარ ცრევევა და უკეთესის იმედი აქვს, თემცა, უარესისათვის უნდა იყოს მზად.

კვლობს პრობლემას აუცილებლად გასაშორებისა-კენ მიყვავართ: მვედარი რეჟისორი გაცვეთილ ფორმულირებებს, გაცვეთილ ხერხებს. გაცვეთილ ზუმობებს, გაცვეთილ ილეთებს მიმართავს; ყოველ მის მიერ დაღებულ სცენა იწყება და მთავრდება მშობლივით; ეს მისი თანამშრომლებსაც ეხება — მხატვრებსა და კომპოზიტორებს — თუკი ისინი ყოველ ახალ დღეძმას ცარიელ სცენაზე არ იწყებენ და საკუთარ თავს არ უსვამენ აუცილებელ კითხვებს: რა საჭიროა საერთოდ კოსტუმები? რა საჭიროა მუსიკა? რისი თქმა სურთ ყოველივე ამის შემოვებით? მვედარი რეჟისორი ის რეჟისორია, რომელიც დაუეჭვებლად ექვემდებარება ნებისმიერი შემოქმედებითი პროექტის დროს წარმოქმნილ პირობთ რეფლექსებს.

უეკე თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც თეატრალად მთლიანობად აღიქმება, რომლის ყოველი შემადგენელი ნაწილი პარმიონულად უნდა ცრწყმოდეს ერთმანეთს; ამან განაპირობა სწორედ რეჟისორის აუცილებლობაც. მაგრამ დღემდე საქმე ძირითადად გარეგან ერ-





თიანობას ესებოდა, სხვადასხვა სტილურ ელემენტთა წინდა გარეგან გაერთიანებას, რათა თავიდაც აეცილებინათ საპრობლემო სტილითა აღრევა. თუ რთული ნაწარმოების შინაგანი მთლიანობის გამოხატვის ფორმებს ჩავეყვირებოთ, ალბათ საწინააღმდეგო დასკვნამდე მივალთ: გარეგან ელემენტთა დანაპირის აუცილებლობას ვაღიარებთ. უფრო შორს თუ წავიდეთ და მასუფრებელ ვიმსჯელებთ, უფრო სწორად, იმ საზოგადოებაზე, საიდანაც მოდის მასუფრებელი, აღმოჩნდება, რომ ყველა ამ ელემენტის ტემპირიტი გაერთიანება მხოლოდ იმ ხერხების მეშვეობით შეიძლება, რომლებიც სხვა დროს მახინჯი, შეუთავსებელი და ურთიერთდამაგრებელი მოგვეჩვენებოდა.

მყარი და პარამიული საზოგადოება შეიძლება მხოლოდ საკუთარი პარამიულობის ასახვასა და დადასტურებას მოითხოვდეს თავისი თეატრისაგან. ამგვარ თეატრში, ცხადია, დასისა და მასუფრებლის საერთო თანხმობა უნდა ითვლებოდეს. მაგრამ მერყეუც, ქაობურ მსოფლიოს ხშირად უხდება არჩევანის გაკეთება ერთის მხრივ, იმ თეატრის შორის, რომელიც ყალბ თანხმობას გვთავაზობს და, მეორეს მხრივ, იმ თეატრს შორის, რომელიც აღიზიანებს, თამაშს და მძაფრი პროტესტის გამოხატავდალ განაწყობს მასუფრებელს.

ამ თემებზე ლექციების კითხვამ ბევრი მასწავლა. ვიცო, რომდესაც ვლაპარაკობ, ვიღაც აუცილებლად მიკითხავს: მიმანინა თუ არა, რომ ყველა თეატრი, რომელიც არ პასუხობს ხელოვნების ყველაზე მაღალ მოთხოვნებს, უნდა დაიხუროს? მიმანინა თუ არა, რომ ხალხი არ უნდა ერთობოდეს კარგ სახანაობით? დე ბოლოს, რას ვფიქრობ არაპროფესიონალთა შესახებ?

ჩვეულებრივ, ვასუსხობ ხოლმე, რომ სრულებითაც არ მიმბლავს ცენზორის როლი და ავც არაგობს აკრძალვას თუ ვინმესათვის ხასიათის გარეგნუებას ვაპირებ. უდიდესი პატივისცემითა ვარ განსწავლული არა მარტო საერთაერთარო თეატრების, არამედ მთელი დედამიწის ზურგზე გაბნეული თეატრალური ჩვეულებების მიმართაც, რომლებიც, მუშაობის უქიდურესად არასახარბილო პირობების მიუხედავად, ცდილობენ შეინარჩუნონ შესრულების სათანადო დონე. აგრეთვე, დიდ პატივს ვცემ სხვა ადამიანების სიხარულსაც, თუნდაც ქარაფშუტულს; ხშირად თვითონაც მხოლოდ იმიტომ დავდივარ თეატრში, უბრალოდ თეატრში წასულა რომ მიინდა, და არა რაიმე ინტელექტუალური მოსახრებების გამო. ვართობა შესანიშნავი რამაა. მაგრამ ერთი შეკითხვა მეც მინდა დავსვა: გვანიჭებს კი თეატრი იმ სიხარულს, რასაც მისგან მოველოთ და რისთვისაც საერთოდ დავდივართ თეატრში?

მე სრულებითაც არ მივტორი უაზრო დანაკარგებს, მაგრამ არცოდნა იმისა, რა დავკარგეთ, გულდასაწყვეტია. ზოგიერთი ხანშიშესული ბანოვანი გირვანქანი კუბურებს წიგნში გვერდის ჩასანიშნად იყენებს; ეს უაზრობაა, თუ, რა თქმა უნდა, დბნეულობად არ ჩავთვლით.

მკვდარი თეატრის პრობლემა სიკეთემდე მოსაწყენი კაცის პრობლემასა ჰგავს. ამ კაცს თავიცა აქვს, ვულიც, კიდურებიც, ჩვეულებრივ, ოჯახიცა ჰყავს, მეგობრებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავყანისმცემლებიც კი, და მიიცნ, მასთან შეხვედრისას უნებურად ვოხზობთ ხოლ-

ნე; და ასე გამოვხატავთ ჩვენს გულსტიციეობს, რადგან ამ კაცს თავისი შესაძლებლობების მწვერვალი კარგად უპყრობა, არამედ ფსერზე გალურსულა როცა ამკვდარი თეატრს ვახსენებ. მხედველობაში არა მამქვს თეატრი, რომელმაც ასრებობა შეწყვიტა. პირიქით, დამორგუნევილად აქტიურ თეატრს ვვულისხმობ, სწორედ ამ აქტიურობის გამო გარდატრის უნარიც რომ შესწევს. ამ გარდატრის გახზე პირველი ნაბიჯის გადასდგმულად საჭიროა ერთ უბრალო და არასისამოვინო ფაქტს გაუფსწოროთ თვალა: სიტყვა „თეატრმა“ პირვანდელი აზრი დაკარგა; ის, რასაც დღეს ამ სიტყვით მსოფლიოს ნებისერთ კუთხეში აღვნიშნავთ, უპრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ პაროდიას თეატრისა. ომიანობისა თუ მშვიდობის დროს კულტურის უშველებელი ფუნქორი შეუფერხებლად მიგორავს წინ და ყოველ წუთის მზარდ სანაგვეზე უხდება ნებისმიერი ხელოვნანის დიდსა თუ მცირე მინაპაოვანი. თეატრები, მასხიობები, კრიტიკოსები და მასუფრებელი დანტრეულ მამქანში ჩაქუტკულან, მანქანა კი ღრქიალებს, სულს ღაფავს, მაგრამ მიინც არ ჩერდება. უცებ მოგვადგება ხოლმე კარს ახალი სეზონი და ისევ ამ გვეყფანის დრო იმ ერთადერთი კითხვის დასამგლად, მთლიანად რომ მოიცავს პრობლემას: რად გვიინდა საერთოდ თეატრი? რაში გვჭირდება? იქნებ ის წარსულის გადმონაშთია, ანდა მოდიდან გადასული ახარება, ძველი ძეგლისა თუ უცნაური ჩვეულების მსხვილდ შემონახული? რას ვუყარვთ ტაშს და რატომ ვუყარავთ? თამაშობს კი თეატრი მეტ-ნაყლებად სერიოზულ როლს ჩვენს სოცოვრებაში? რა არის თეატრის დანიშნულება? რას ემსახურება იგი? შეუძლია ვითობრას რამე ახალი? რაში მდგომარეობს მისთვის დამახასიათებელი თავისებულებანი?

შესკაში, გაუვლ ჯუნლებში, ბორბლის გამოვონებამდე დიდი ხნით ადრე, მონათა ბრბოები მხრებით უზიდებოდნენ ვეებერთელა ლოდებს და მათზე აპქონდათ; მათი შვილინი კი ამ დროს პაწაწინა ბორბლებიან სითამაშოებს დაგორებდნენ. ამ სითამაშოებსაც მონები აკეთებდნენ, მაგრამ ასწლელულები გადიოდა და მინიც ვერც ამყარებდნენ კავშირს თამაშსა და შრომას შორის. როცა კარგი მსახიობები კულ კომედიებსა თუ მეორხარისხოვან მიუზიკლებში მონაწილეობენ, როცა მასუფრებელი მოსამყენ კლასიკურ დადგმებს უყრავს ტაშს, მხოლოდ იმიტომ, კოსტუმები, დეკორაციების შეცვლის ახალი ხერხი თუ გმირი ქალის სანდომიანი სახე რომ მოსწონს, ამაში არაფერია ცუდი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვანა იციან მათ, რა იძლეება იმ სათამაშოში, თოჯზე გამობმულს რომ დაეაირებენ? იქ კი, ბორბალია.

ინგლისურიდან თარგმანი
ზაზა ზილახიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბასართობი ჟანრი ტელეეკრანზე

ელდარ იბერი

შარშან სახალწლო ნომერში „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციამ წამოიწყო დისკუსია თემაზე — „ტელევიზია, გართობის საათი და... დაფიქრების წუთები“ და მოუწოდა თავის მკითხველებს გაერჩიათ ვასარ-თობი პროგრამების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, მათი სოციალური თუ ესთეტიკური ღირებულება.

დისკუსიამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მასში ჩაებნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები, ტელევიზიის პრაქტიკოსები. კამათი ცხრა თვეს გაგრძელდა და დასრულდა საკავშირო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ს. ჟდანოვას ვრცელი სტატიით „განწყობილება ხელინდელი დღისათვის“. გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება, გამოიკვეთა აქტუალური პრობლემებიც, მაგრამ ბევრი რამ გაურკვეველი და დაუსაბუთებელი დარჩა.

დისკუსიის ბევრმა მონაწილემ გასართობი პროგრამის ნიშნებად მიიჩნია ის, რომ იგი საინტერესოა, სანახობრივია და იზიდავს მაყურებელს! (თითქოს ეს ნიშნები სხვა პროგრამებს არ უნდა ახასიათებდეს). აღინიშნა, რომ გასართობი პროგრამები იუმორისტული უნდა იყოს, ხოლო „თანამედროვე იუმორი სასაცილოსა და სერიალზულის სინთეზიაო“² (თითქოს რომელიმე ეპოქაში ეს ასე არ ყოფილიყოს, თითქოს, ბ. ბელნსკის არ ეთქვას — იუმორი ტრაგიკული და კომიკურის განსაკუთრებული ნაერთიაო), ყურადღება მიექცა პაროდის, როგორც სოციალურად მიმართული გასართობი პროგრამების შექმნის ერთ-ერთ ძირითად ხერხს.³ აღინიშნა, ავ-

რეთვე, იმპროვიზაციის სერიულობის, პროფესიული წამყვანების აუცილებლობა, გამოიკვეთა პოპულარული, განსაკუთრებით, საესტრადო მუსიკის როლი და ა. შ.

მაგრამ რა პრინციპებს ემყარება გასართობი პროგრამა? რა ნიშნებით განსხვავდება იგი სხვა პროგრამებისაგან? არსებობს თუ არა გასართობი ჟანრი? ყველა ეს და კიდევ მრავალი სხვა საკითხი აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ თეორიულ ანალიზს და თუ საბოლოო პასუხს არა, პასუხის ცდას მაინც. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სატელევიზიო პრაქტიკის შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

ტელევიზიას რომ სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად მაყურებელთა გართობის ფუნქციაც ეკისრება, ეს ეკვს არ იწვევს (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი სანახაობაა), არც ისაა სადავო, რომ სამუშაოდან შინმოსულ აღამიანს ესაპიროება დასვენება (როგორც ამბობენ, „კულტურული დასვენება“), ემოციური განმუხტვა, ფსიქიკური განტვირთვა, ხალისიანი განწყობილების შექმნა. ა. ვ. ლუნაჩარსკისთან საუბარში კინოს შესახებ ვ. ი. ლუნინმა სხვა ფუნქციებთან ერთად გამოჰყო მისი მხატვრულ-აღმზრდელითი და გასართობი ფუნქციებიც⁴ (ეს შეგებულება, რა თქმა უნდა, ტელევიზიასაც უხება).

ესე იგი, ტელევიზიას აქვს მაყურებლის გართობის ფუნქციაც. მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფუნქციას ასრულებს ვადიციების გარკვეული ჯგუფი, გარკვეული პროგრამები.

მაგრამ რა არის გასართობი პროგრამები? შეიძლება უჩვეულოდ მოგვარჩენოს, მაგრამ თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ძირითადად პირობითი ცნებაა და სატელევიზიო გადაცემების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით გასართობი პროგრამები დამოუკიდებელ საგანგებო-თემატურ გვეყვარა არ გამოიყვანა. ასე რომ, ამ ტიპის პროგრამების განსაზღვრის ერთადერთი ამოსავალ წერტილად ისევ ფუნქციური მიმართულება უნდა მივიჩნიოთ და, ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გასართობი პროგრამები ესაა პროგრამების ჯგუფი, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული მაყურებლის გართობის, დასვენების ამოცანა და ყველა სხვა კომპონენტი (პუბლიცისტური, შემეცნებითი თუ ესთეტიკური) ამ მიზანს ემსახურება. სხვანაირად რომ ვთქვათ, გასართობი პროგრამები მაყურებლისაგან მოითხოვს არა იმდენად ინტელექტუალურ გააზრებას, რამდენადაც ემოციურ აღქმას (როგორც ცნობილია, ორივე ეს მხარე განუყოფელია შემეცნების პროცესში). ასეთი მსჯელობისას ბუნებრივად წამოიჭრება რამდენიმე კითხვა, რომლებიც აუცილებლად მიიხიბვის პასუხს:

ჭკრ ერთი, ტელევიზიის ენა აუდიო-ვიზუალურია (მო-სასმენელ-ხედვითია) გამოსახვის ვიზუალური ხასიათი კი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ემოციებზე მოქმედებს და არა ცნობიერებაზე. ამდენად, ემოციურ აღქმას მართა გასართობი პროგრამა კი არა, ბევრი სხვა პროგრამაც ითვალისწინებს. თვითონ სატელევიზიო პუბლიცისტური ეფექტიანობაც მნიშვნელოვანწილად ემოციურ ზემოქმედებას ეყარება. რატომ უნდა ჩაითვალოს ემოციური აღქმა გასართობი პროგრამის განმასხვავებელ ნიშნად?

მაგრამ ემოციაც არის და ემოციაც. დადებით და უარყოფით ემოციებს თავი რომ დაეანებოთ, შეუძლებელია ერთმანეთს გავეტოლოთ პუბლიცისტური და გასართობი პროგრამით გამოწვეული ემოციები. პირველი მათგანი მაყურებელს მოუწოდებს მოქმედებისაკენ, სოციალური აქტიურობისაკენ, აყალიბებს საზოგადოებრივ არსს ამა თუ იმ კონკრეტულ პრობლემაზე, ხოლო მეორე — უბრალოდ ქმნის სასიამოვნო განწყობილებას, ასევეებს ადამიანს, ამზადებს მას მთავალი აქტუური საქმიანობისთვის.

მეორე — რამდენად კონკრეტულია გასართობი პროგრამის ცნება? არსებობს კი ყველასთვის საერთო გასართობი პროგრამა? ხომ შეიძლება ერთს სიმფონიური მუსიკა მიანიდეს გართობისა და დასვენების საშუალებად, მეორეს — კლასიკური დრამა, მესამეს — საესტრადო კონცერტი, მეოთხეს კი — ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია? აქ ხომ არსებითი მნიშვნელობა აქვს ტელემაყურებლის ასაკს, კულტურის დონეს, ფსიქიკურ თავისებურებებს, მიდრეკილებებს და ა. შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ არ უნდა დავიწყებოთ, რომ ნებისმიერი სატელევიზიო პროგრამა პოლიფუნქციურია და გართობა-დასვენების ფუნქცია მარტო გასართობი პროგრამებს არ ეკისრება. თანაც, თუ ვლიარებთ, რომ გასართობი პროგრამად სასიამოვნო განწყობილება უნდა შე-

უქმნას მაყურებელს და ემოციურად უნდა იყოს აღქმული, ცხადია, იგი მისთვის გასაგები და ადვილად ასათვისებელიც უნდა იყოს. ე. ი. მისი აღქმა არ უნდა მოითხოვდეს საეციალურ მომზადებას (როგორც ამას მოითხოვს თუნდაც იგივე სიმფონია ანდა ფილოსოფიური დრამა). ამდენად გასართობი პროგრამა გათვალისწინებულია ყველაზე მასობრივი, არადიფერენცირებული მაყურებლისთვის, თავისი ფორმითა და შინაარსით პოპულარული და ადვილადმისაწვდომია. საერთოდ კი სატელევიზიო პროგრამა თავის მთლიანობაში არ უპირისპირდება სერიოზულ ხელოვნებას, მაღალ კულტურას. იგი წარმოადგენს გადაცემების ფართო პალიტრას, სადაც ყველა რანგის მაყურებელმა უნდა იპოვოს „თავის“ პროგრამა.

მესამე — თუ გასართობი პროგრამის აღქმა არ მოითხოვს გონებრივ დაძაბვას, საეციალურ მომზადებას, ყველასთვის ერთგვარი და ხელმისაწვდომია, ხომ არ გვეულონება იგი ერთგვარი სულეობი „ფართო მომხმარებლის საგნად“? ამის საშიშროება პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ მთავარია, რის ხარჯზეა მიღწეული გასართობი პროგრამის პოპულარობა, მაყურებელზეთან მისი კონტაქტი, რა პროფესიულ დონეზეა იგი მომზადებული. განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი ერთ გარემოებას: გართობის ფუნქცია როდეს ნიშნავს, რომ გასართობი პროგრამა მოკლებულია სოციალურ ქვეტექსტს, არა-უნდა ბატებს მაყურებლის აზრს. გართობის ეანრი, როგორი მსუბუქიც არ უნდა იყოს, სულაც არ გამოირჩევას ზნეობრივ მუხტს, ზნეობრივ პოტენციალს, საუბარი ეგება მხოლოდ ფორმას, რითაც იგი არის გამოხატული.

ახლა ვნახოთ. კონკრეტულად რა ტიპის გადაცემები მოექცევა გასართობი პროგრამების სახელებში. დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობამ გასართობ პროგრამად სამართლიანად მიიჩნია სატირულ-იუმორისტული და პოპულარული მუსიკალური, ძირითადად საესტრადო კმაყოფილებით აღნიშნა — „ლოკატურნიანი წერტილი“ დისკუსია ნაყოფიერი უკვე იმბოტო, რომ წარმოაჩენს იუმორის ბუნებას ტელევიზიაში⁵. ეს დებულება, რა თქმა უნდა, დავას არ იწვევს. იუმორისტული გადაცემა მართლაც აკმაყოფილებს გასართობი პროგრამის ყველა მოთხოვნას: იგი განკუთვნილია ყველა რანგის მაყურებლისათვის, მისაწვდომია, ემოციურად ადვილად აღიქმება, ქმნის სასიამოვნო, ხალისიან განწყობილებას (როგორც ოტვიანი, დასვენების, ფსიქიკური განსუფთვების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა). მაგრამ იუმორისტული პროგრამა ტელევიზიანე საქმიად ტუვად ცნება. იუმორისტული არამარტო საკუთრივ სატელევიზიო გადაცემები, მაგალითად „სიცოცხლის გარშემო“ ან „13 სკამი“, არამედ ტელევიზიანე გარდნად მოტანილი „პროდუქციაც“ — ვოდევილი, თეატრალური და კინოკომედია, საცირკო წარმოდგენა, მულტფილმი და ა. შ. ასევე, პოპულარული მუსიკალური სატელევიზიო გადაცემების გვერდით, როგორცაა „არტლოტი“, „დილის ფოსტა“, „საზღვარგარე-

თის ესტრადის რიტემები და მელოდიები“ და მრავალი სხვა, ტელევიზიონი ეთმობა მუსიკალურ ფილმებს, ტელეფილმებს, მუსიკალურ სპექტაკლებს, ოპერეტას, მუზიკლს და ა.შ. (თვითელი მათგანი ხელოვნების ამა თუ იმ ქანარს მიეკუთვნება და დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ ტელეპროგრამაში გარკვეულ, ამ შემთხვევაში, გართობის ფუნქციას ასრულებს). ამდენად, აუცილებელი ხდება გასართობი პროგრამის ცნების ორგვარი გაგება. პირველი, ფართო გაგებით, გასართობი პროგრამად შეიძლება ჩაითვალოს სატირულ-უმორისტული და პოპულარული მუსიკალური სატელევიზიო გადაცემები, აგრეთვე, ყველა დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ტელევიზია თავის ეკრანს უთმობს და რომელიც აკმაყოფილებს გასართობი პროგრამის განხილულ პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, გასართობი პროგრამების ამ ჯგუფში გაერთიანდა სატელევიზიო მხატვრული გადაცემებისა და დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებების ერთი გარკვეული ნაწილი, შეიძლება ითქვას, „მსუბუქი“ ქანარები. და, ისევე, როგორც ხელოვნების ბევრ დარგში (მუსიკა, ქორეოგრაფია, თეატრი) გამოყოფილია „სერიოზული“ და შედარებით „მსუბუქი“ ქანარები (არსებობს სიმფონიური მუსიკაც და მასობრივი სიმღერაც, ტრაგედია და ვოდევილიც და ა. შ.), შეიძლება ტელეპროგრამებში, რომლებიც ხელოვნების წარმომადგენს, პირობითად დავყოთ მხატვრულ და მხატვრულ-გასართობი პროგრამებად (ნაი გაგებით, რომ, მეორე შემთხვევაში, წინა პლანზეა წამოყვანილი გართობის ფუნქცია).

ამდენად, შევვიძლია დავასკვნათ, რომ გასართობი პროგრამების ერთ ძირითად ჯგუფს შეადგენს მხატვრულ-გასართობი პროგრამები.

ახლა განვიხილოთ თვითონ სატელევიზიო მხატვრულ-გასართობი პროგრამები უფრო ვიწრო გაგებით, „წმინდა“ ქანარბრივი თვალსაზრისით.

„ლიტერატურულია ვაგუტარსი“ ფურცლებზე ხშირად გაისმოდა ტერმინი — „გასართობი ქანარი“. ეს ისეთივე პირობითი ცნებაა, როგორიც „გასართობი პროგრამა“. არაერთი გასართობი ქანარი, რა თქმა უნდა, არ არსებობს, არის მხოლოდ ქანარი, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება გასართობი პროგრამების მომზადებისას. სატელევიზიო პრაქტიკამ დაამტკიცა და არც თოქრეციკლის დავას იწვევს, რომ ეს ქანარი არის ესტრადა (მხედველობაში გვაქვს არა მარტო ვანსტრალი მუსიკა, არამედ მილიანად ესტრადა, რომელიც ისტორიულად ყოველთვის ასრულებდა გართობის ფუნქციას).

საერთოდ, ესტრადა თავისი ბუნებით დოკუმენტურია (სწორედ ამიტომ მოერგო იგი ყველაზე უკეთ ტელევიზიას). ესტრადის მსახიობი არ იკეთებს გრიმს, არ იცვამს სხვის კოსტუმს, მას არ სჭირდება დეკორაცია და ნამდვილი რეკვიზიტი. იგი ვაიბის როგორც სტუდიაში კონკრეტული, რეალური პირობი. ცნობილი იკორ ილინსკი, მაგალითად, თეატრის სცენაზე შეიძლება სულ სხვადას-

ხვა როლიში მოგვევილინოს, მაგრამ ესტრადაზე იგი მხოლოდ და მხოლოდ მსახიობი ილინსკია. მოკლე დროითი ექთვა: ესტრადა ესაა ხელოვნება, რომელიც არ მიიპარება ეს დრამატულ ილუზიებს, ესაა ხელოვნება თვითგამოხატვისა და არა გარდასახვისა. ამდენად, იგი ყველაზე უფრო ახლოს დგას სატელევიზიო ხელოვნებასთან. პირველად ტელევიზიისა და ესტრადის ეს ერთიანობა ე. საპაკმა შენიშნა:

„რაც უფრო მეტს ვუყურებ სატელევიზიო გადაცემებს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მსახიობის ხელოვნება აქ, შესაძლოა, საერთოდ იქნეს საკონცერტო ხასიათის, რომ სწორედ ტელევიზიაში მთავარ ადგილს იკავებს ხელოვნების პირივნება მისი — ხელოვნებაში — ფართულ გამოქმედებაში.“

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და დაობენ დროთა განმავლობაში ტელეგადაცემების ხელოვნებად გადაქცევაზე. ეს პროცესი (იგი უკვე დაიწყო) ცარიელ ადგილს კი არ მიმდინარეობს, არამედ სხვა (მოძიებულ) ხელოვნებათა გარემოცვაში. აქ თეატრიცაა, ლიტერატურაც და კინოც. აქ არის ესტრადაც. თანაც ვფიქრობ, სწორედ ესტრადა, დიდი ესტრადა დგას დიდ ტელევიზიასთან ყველაზე ახლოს.“⁶

ესტრადას გააჩნია გასართობი პროგრამის ყველა ძირითადი ნიშანი: იუმორი, იმპროვიზაცია, მაყურებელთან კონტაქტი უნარი, ადგილად მისაწვდომია და ა. შ. მაგრამ არის კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს — საესტრადო სანახაობას, როგორც ტელევიზიაზე, ისე ტელევიზიის გარეშე, ასახაობებს მიდრეკილება გარკვეული დრამატურგიული ერთიანობისაკენ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი საინტერესო მისაზრება, რომელიც დისკუსიის დროს გამოითქვა. ლ. პოლსკიას აზრით, თუნდაც პოპულარული, მაგრამ ჩვეულებრივი ფორმის კონცერტი (კონცერტის ცნება აქ ილუზინებზე ფართო გაგებით — როგორც სხვადასხვა ხელოვნებატურული, დრამატული, მუსიკალური ნაწარმოებების გარკვეული პროგრამით საჯაროდ შესრულების ფორმა) არაა გასართობი პროგრამა. მაგრამ თუ იგივე საკონცერტო ნორმები გაერთიანებულია გარკვეული სიტუაციაში, გარკვეული დრამატურგიული ფორმით, იგი გასართობი პროგრამის ნიშნებს იქნის.⁷

გასართობი პროგრამების ფართო გაგებას რომ თავი დავანებოთ, ვიწრო ქანარბრივი თვალსაზრისითაც და დებულება საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება (საესტრადო კონცერტი, რა ფორმითაც არ უნდა მიეწოდოს მაყურებელს, მაინც არ დაკარგავს გართობის ფუნქციას). ვაიბისენოთ თუნდაც საქართველოს ტელევიზიის პოპულარული ციკლი „ესტრადა და თანამედროვეობა“, რომელსაც შემეცნებით გადაცემის პროტენზიები აქვს, მაგრამ მაყურებლის რეზონანსს რეგულირებს გარკვეული გასართობი პროგრამა და ამის შესახებ დისკუსიის მსვლელობაშიც ითქვას). მაგრამ სატელევიზიო პრაქტიკაში მართლაც არსებობს ამ

მეთოდით მომზადებული ვადაცემების ჯგუფი („ბენეფი-სი“, „დილის ფოსტა“, „13 სკამი“ და სხვა), რომლებიც „წმინდა“ ეპაროხობრივი სახით წარმოადგენენ სატელევი-ზიო გასართობ პროგრამებს. ეს ეპაროხიის სასტრატეგი-კული და სასტრატეგიო თეატრი.

სასტრატეგიო რევიუ (მიმოხილვა) შეიძლება განვსაზღ-ვროთ როგორც ერთიანი სიუჟეტური სტლით დაკავშირ-ებული სხვადასხვა კომედიური, მუსიკალურ-ოკულური, ქორეოგრაფიული და ა. შ. ეპაროხობისაგან შედგენილი წარმოდგენა (ტელევიზიის პრაქტიკაში იგრძნობა საესტრ-ადო რევიუს თეატრალიზების ტენდენცია. ჩვენი აზ-რით, თავისებურ თეატრალიზებულ შოუს წარმოადგენს პოპულარული „ბენეფიცი“, რომელიც, სამწუხაროდ, სრულად დასაბუთებულად გაქრა ტელევიზიიდან).

სასტრატეგიო თეატრი ტელევიზიაში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელდა „მინიატურების სატელევიზიო თე-ატრის“ სახით (გავიხსენოთ თუნდაც საკმაოდ ხანგრძლი-ვი ბიოგრაფიის „13 სკამი“). იგი შედგება წამყვანის შე-მაკავშირებელი კონფერანსით, მოქმედების პირობითი ადგილით ან „გამკვილი“ სიუჟეტური სტლით გვერთანე-ბული რამდენიმე პატარა სცენის ან სატირულ-იუმორის-ტული ხასიათის მოკლე ინსცენირებული მოთხრობებისა-გან. სასტრატეგიო წარმოდგენების თემატიკა, როგორც წე-სი, მეტად აქტუალური და იმპორტულია, გათვალისწინ-ებულია „აღვივანდელ“ მასურებელზე (როგორც ადრე აღვნიშნეთ, გასართობი პროგრამა არავითარ შემთხვევა-ში არ გამოირჩევა სოციალურ ქვეტექსტს). კომიკურ ეფექტს ხშირად განამორბებს მასურებისათვის კარ-გად ნატივით მოკლებების, სიტუაციების, ანდა სწორედ მოკმეული დროისათვის დამახასიათებელი სოციალური ტიპების გათამაშება, პაროდირება. პრიციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს სპექტაკლების პერიოდულობას და მუდმივ მოქმედ პირებს. ეს საშუალებას იძლევა თანდა-თანობით გამოქვლივდეს გმირთა ხასიათების სხვადასხვა მხარე, შექმნას თავისებური „ნიღბები“, რომლებზეც მასურებელს ვარკველი წარმოდგენა შეუძლებელია.

ამ ეპაროხზე ასე დაწერილობით იმიტომ შეგჩერდით, რომ დაგვიჩვენოთ, ე. წ. „წმინდა“ სატელევიზიო მხატ-ვრულ-გასართობი პროგრამები ემყარება სასტრატეგიო რე-ვიუსა და სასტრატეგიო თეატრის ეპაროხებს და მათი მომავ-ლი განვითარება სწორედ ამ არის მოსალოდნელი. საერ-თოდ კი ეს პროგრამები ჩვეულებრივი მხატვრული პრო-გრამებია მათთვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით (მათ შორის გაართობის ფუნქციითაც, რაც თითქმის ყო-ველნაირ მხატვრულ პროგრამას ახასიათებს). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სასტრატეგიო რევიუსა და საეს-ტრადო თეატრის ეპაროხში განსაკუთრებით არის წამო-წვეული დასვენების, ემოციური განმუხტვის, ხალისიანი განწყობილების შექმნის, გაართობის ფუნქცია, შეიძლება პირობითად მათ მხატვრულ-გასართობი ეპაროხი ვუწო-დოთ, ხოლო პროგრამებს, რომლებიც ამ ეპაროხებს წარ-

მოადგენს, მხატვრულ-გასართობი პროგრამები („ევიწრო“ ეპაროხობრივი თეატრალიზაციები).

ამ შემთხვევაში ვასაგებია ის მოთხრობაც, რომ ყო-ველ გასართობ პროგრამას თავისი ავტორი — რეჟისორი უყავდეს. სასტრატეგიო რევიუ და სასტრატეგიო თეატრი ლიტერატურულ სცენარებს ემყარება, მაგრამ რაღაც საქმე გვაქვს წარმოდგენასა და სპექტაკლთან, რა თქმა უნდა, ვადამყვევტი სიტუაცია რეჟისორს ეკუთვნის. სატე-ლევიზიო გასართობი პროგრამების სიმკირეს და ბევრ შემთხვევაში დაბალ ხარისხს სწორედ სასტრატეგიო ეპარ-ორის რეჟისორების სიმკირეს და დაბალი კვალიფიკაცია განაპირობებს. ასევე მეტად მნიშვნელოვანია გასართობი პროგრამების პერსონალიტიკის საკითხი, მათთვის მუდ-მივი, პროფესიული წამყვანების მოძებნა, რაც ჩვენი ტელევიზიაში ჯერ კიდევ ღიად რჩება.

თუ სასტრატეგიო რევიუს და სასტრატეგიო თეატრის საქ-მიოდ ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნდათ ჯერ კიდევ ტე-ლევიზიაში მოსვლამდე (სამკარისია გავიხსენოთ, რომ სა-სტრატეგიო თეატრის შუა საუკუნეების სახალხო სახანაობა-ნი დღემდ სთავად და მისი ღრმად დემოკრატიული ხა-სიათიც ამ დროიდან იწყება), პოპულარული გასართობი პროგრამა „ციხფერი ეკრანი“ შეიძლება საკუთრივ ტე-ლევიზიის პირველ ჩათვალით. იგი მოგვევლინა რე-პორტაჟულ-მხატვრული ფორმით სატელევიზიო კავე-კლების სახით, სადაც ორგანულად გავრთინდა რეპორ-ტაჟის, „მრვეალი მაგიდის“, სასტრატეგიო რევიუს ელემენ-ტები. სიტუაციების სინამდვილე, ვადაკემის მონაწილე რეალური ადამიანები და არა პირობითი პერსონაჟები, ცოცხალი, იმპროვიზაციული საუბარი თუ კამათი — აი, ამ ტიპის საუკეთესო პროგრამების დამახასიათებელი თა-ვისებებები. მსახიობები გამოდინა არა მარტო ტელე-ობიექტივების, არამედ რეალური აუდიტორიის წინაშეც. სატელევიზიო კავეს სტუმრების რეაქცია ვადაეცემა ტე-ლემაყვებლებს და აბლოკებს „დასწრების“ ეფექტს, შემოქმედებისა და ამ შემოქმედების განცდის აქტივი-ერობრივად ხდება ტელემაყვებლების თავაწილს, იგი გრძნობს, რომ ყველაფერი ეს ხდება ახლა, ამ წუთში, ხოლო ნომრები შორის საუბარი, ინტერვიუ თუ გამოცე-ლა ხელს კი არ უშლის საესტრადო სანახაობას (როგორც ერთხანს ეგონათ), არამედ პირიქით ამტკიცებს რეალო-ვის გრძნობას. მხატვრული და დავემუხტების (პუბლი-ცისტური) ნაწილი აქ ერთმანეთისაგან განუყოფელია. ამ-იტომ, რა თქმა უნდა, სწორი არ არის ი. ბოგომოლოვი, რომელიც თვლის, რომ „ციხფერი ეკრანში“ ძირითადი ად-გილი პუბლიცისტისა უნდა ეკუთვოს. ხოლო მხატვრული პროგრამა მხოლოდ ორნამენტის როლს უნდა ასრულებ-დეს¹⁹. მეორე უკიდურესობა იქნებოდა პროგრამის გა-დაქვევა ჩვეულებრივ საესტრადო რევიუდ ანდა ორდი-ნარულ სოციალურ (აქვე უნდა შევიხსენოთ, რომ ბოლო დროს „ციხფერი ეკრანში“ ქრება ესტრადის მომთაბოლი და სხვა ეპაროხები ჩნდება). აქ გამოსავალი ერთია — ყო-ველი პუბლიცისტური თუ მხატვრული სხვა დრამატულ-

გიულად უნდა იყოს განსაზღვრული და დასაბუთებული, ორგანულად უნდა ერწყმოდეს და ანეთარებდეს ერთმანეთს. ასევე გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონაწილეთა შერჩევას. ნუ დავგაფიქვდება, რომ ტელეკრანისთვის მთავარი აღმანიია. მხოლოდ მაშინ დაამყარებს გადაცემა კონტაქტს ტელემაყურებლებთან, როცა მასში მონაწილეობას მიიღებენ ნამდვილად საინტერესო ადამიანები, ვისაც შეუძლია არამარტო პროცენტებზე საუბარი, ანდა არის შესრულება, არამედ თავისი პიროვნების, ინტერესების, ტემპერამენტის გამოჩენა ტელეკრანზე.

ალბათ, ისიც სწორია, რომ „ცისფერი ეკრანი“ მხოლოდ სადღესასწაულოდ მზადდება. სხვა დღეებში გამოჩენა გათავლებდა მას, დაუპირაფადა ზედმეტირების ელფერს, იმ განწყობილებას, რომელსაც ახდენენ სწორედ დიდი თარიღების, დიდი მოვლენების წინ ელოდებიან (მით უმეტეს, რომ არსებობს სხვა პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად იყენებენ სატელევიზიო კადრს ფორმას).

ახლა ისმის კითხვა: შემოიღარგლება კი გასართობი პროგრამების ცნება მხოლოდ მხატვრული ხასიათის გადაცემებით და სატელევიზიო კადრს ფორმით, სადაც მხატვრულ პროგრამას რეპორტაჟის, პუბლიცისტის ელემენტები ემატება?

„ლიტერატურნაია ვაზეტაში“ გამართული დისკუსია ამ მხრივაც საინტერესო მსჯელობის საშუალებას იძლევა. ხელოვნების განყოფილებაში (რომელსაც დისკუსია მიჰყავდა) წერილებს მიმოხილავაში აღნიშნა:

„როგორც ჩანს, ნაყოფი ვერ გამოიღო დისკუსიის ზოგიერთი მასალაში გამოთქმულმა სურვილმა, რომ გასართობი პროგრამებისაგან გამოეყოთ შემეცნებითი პროგრამები, რა სანახაობითიც არ უნდა ყფილიყო ისინი. მოკვხელთა უმრავლესობა განაგრობს „რა? სად? როდის?“ გასართობი პროგრამების სიში შეტანას... შესაძლოა ეს არცაა სწორი ვანჩრება „კლასიფიკაციის“ თვალსაზრისით, მაგრამ განა შეიძლება ვინმე დავადანაშალოთ? ალბათ შემეცნებითი პროგრამები ავსებს გასართობის ადგულს. ბუნება ხომ ვერ ითმენს სიკარიელესს.“¹¹

ახლა ვნახათ ანალოგიური აზრი დისკუსიის დასკვნით წერილში:

„და მაინც ბევრი ტელემაყურებელი არ მიაკუთვნებს „კინომოვზუარის კულტს“ გასართობი პროგრამებს. მაგრამ აი, გადაცემა „რა? სად? როდის?“, რომელსაც ნათლად არის გამოხატული შემეცნებითი საწყისი, მაგრამ „ლიტერატურნაია ვაზეტას“ დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა უყოყმანოდ მიაჩრს მას გასართობი პროგრამების რიკებს. იქნება იგი განსხვავდება „კლუბისაგან“ მყურებლებთან უშუალო უკუკავშირის აღკვრით ანუ თანაზირობით? პოპულარული გასართობი პროგრამები ხომ სწორედ ამ პრინციპით იგება, თანაზირობის პრინციპით.“¹²

დასკვნა ერთია: შემეცნებითი პროგრამების ერთი ნაწილი (ამ შემხვევაში ვიქტორინის, საკონკურსო ტიპის გადაცემა „რა? სად? როდის?“) რაღაც ნიშნების მიხედვით ისე განსხვავდება დანარჩენებისაგან, რომ ტელემაყურებელთა დიდ უმრავლესობას იგი შემეცნებითი კი არა, გასართობი პროგრამად მიანჩია (რაც, ნუ გვიწყენს „ლიტერატურნაია ვაზეტას“ ხელოვნების განყოფილება, საეკუბით სამართლიანია).

საქმე ისაა, რომ სატელევიზიო გადაცემების ყველა ძირითად ფუნქციურ ტიპს შეესაბამება კულტურის ფორმები, რომლებიც ჩამოყალიბდა ტელევიზიის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე და რომლებმაც ტელეპროგრამაში შეიძინა დამატებითი თავისებურებანი, მაგრამ არ შეიცვალა თავისი ბუნება. თანაშეები, კონკურსები და შეჯიბრებები, პირველ რიგში სპორტული ხასისა, რომლებიც ტრადიციულად გართობას და დასვენებას ემსახურებოდა, ტელევიზიაშიც ამ ფუნქციის ერთგული დარჩა. ასე რომ, ტელევიკრანზე სპორტული სანახაობების, კონკურსებისა და თანაშეების ჩვენების ძირითადი დანიშნულებაა სწორედ გართობა, დასვენება.

თავი დავანებოთ სპორტს, რომლის გასართობი ფუნქცია ტელევიკრანზე არაის ექვს არ იწვევს და გავიფიქროთ, რა ვეაძლევის იმის მიხედვით, რომ საკონკურსო ტიპის შემეცნებითი გადაცემები გასართობი პროგრამებს მიეკავვნებოთ. რა ნიშნებით განსხვავდება შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ჩვეულებრივი შემეცნებითი პროგრამებისაგან?

სპორტული და საკონკურსო პროგრამები (კონკურსები, ტურნირები, ვიქტორინები, თანაშეები) სატელევიზიო გადაცემების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით დამოუკიდებელ საგნობრივ-თემატურ ჯგუფად არის გამოყოფილი. ამ ჯგუფის შინაარსობრივ ერთიანობას განაპირობებს ის, რომ თითოეული მათგანის დრამატურგიული საღუქქელია შეჯიბრება და, ამდენად, თითოეული მათგანს ახასიათებს იმპროვიზაციის გარკვეული დონე. შეჯიბრება არის ის „სპორტული ელემენტი“, რომელიც სხვადასხვა საკონკურსო გადაცემებში ხუნდულიტიკასთან ერთიანდება, ხან კიდევ მეცნიერებასთან ან ხელოვნებასთან. რატომ არ შეიძლება ჩავთვალოთ, მაგალითად, „კინომოვზუარის კულტში“ ან „ცხოვლთა სამყაროში“ გასართობი პროგრამებად? ვითომ ისინი ნაკლებად სანახაობრივია, ვიდრე „რა? სად? როდის?“ ან „აბა, გოგონებო?“ თუ იმითომ, რომ გარკვეული მეცნიერული დონელებების ინფორმაციის მიკვდიან? ასეთ ინფორმაციას ხომ კონკურსებიც იძლევა. უბრალოდ იმითომ, რომ არც ერთი მათგანი არ შეიცავს „სპორტულ ელემენტს“.

მაგრამ რა ძალა აქვს ასეთ „სპორტულ ელემენტს“ გავიხსენოთ ისევ ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი დანიშნულება მკვლევარი ელსაქაი:

„ტელევიზიო ინახებს და გადმოსცემს ყველაზე მთავარს სპორტში — წამის დაძაბულობას. და აქ უკვე

ყოველთვის საინტერესოა, რასაც არ უნდა გადმოსცემდნენ — ფეხბურთის თუ სირბილს, წყალში ტბილს თუ მოტობოლას... აქ, როგორც იტყვიან, არავითარი სიცრუე. დროც შეუქმნულია და ყველაფერი გადმოვიდო — რისკი, მამაკობა, ნებისმიერ მომენტში ნებისმიერი მოულოდნელობის ლოდინი.

„დასწრების ეფექტი“, აი, რა არის, უწინარეს ყოველისა, ტელევიზიის ძალა.“¹³

სწორედ „სპორტულმა ელემენტმა“ გააძლიერა „დასწრების ეფექტი“ და ამაღლა ემოციური აღქმის დონე, იმ ემოციური აღქმისა, რაც გასართობი პროგრამის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მივიჩნევთ. მაგრამ „დასწრების ეფექტი“, ემოციური აღქმის სიძლიერეს მარტო იმპროვიზაციულობა, „ამწუთიერობა“, მოულოდნელის ლოდინი როდი განსაზღვრავს. საკონკურსო გადაცემა საშუალებას იძლევა ეკრანზე გამოჩნდეს შინაგანად გახსნილი, თავისუფალი, ბუნებრივი ადამიანი.

სწორედ ამის გამოა, რომ საკონკურსო ხასიათის შემცნებითი პროგრამის გადმოცემისას მყურებელი იმდენად შემეცნებითი ინფორმაციას კი არ აღიქვამს, რამდენადაც დანიტერესებულ ადევნებს თვალს მოულოდნელ სიტუაციაში მოხვედრილ ადამიანებს, მათი ხასიათის, ინტელექტის, ტემპერამენტის შეჯახებას, რადგან ამ შეჯახებასს მელოდრებს დადიანის პროვოცება, მისი ნამდვილი სახე. სწორედ ეს უღვეს საფუძვლად ტელეგადაცემისადმი მყურებულების უშუალო უკუკავშირს, იმ კონტაქტს, რომელიც დიკაუსის ინაწილითა უმრავლესობას გასართობი პროგრამების ერთ-ერთ ძირითად ნიშნად და წარმატების საწინდრად მიჩანია.

ასე რომ, საკონკურსო ტიპის შემეცნებითი გადაცემები „სპორტული ელემენტის“, იმპროვიზაციის, „დასწრების“ ეფექტის, ადამიანთა ხასიათების გახსნის ხარჯზე (არც ერთი ეს ნიშანი სხვა შემეცნებით პროგრამებს არ ახასიათებს) პირველ რიგში ემსახურება რეკრეაციის მიზნებს — მყურებულების დასვენებას, ემოციურ განტვირთვას, ვაითომბა და, ამდენად, მხატვრულ-გასართობი პროგრამების ანალოგიურად მათ შეიძლება პირობითად ეწოდოს შემეცნებით-გასართობი პროგრამები. ეს როდი ნიშნავს, რომ ასეთი პროგრამები არ ისახავს კულტურულ-საგანმანათლებლო ან პროპაგანდულ ამოცანებს, არ იძლევა ესთეტიკურ, მეცნიერულ თუ პუბლიცისტურ ინფორმაციას, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, წინა პლანზე გართობის ფუნქციას რაობოქნის.

გასართობი პროგრამების ცნების დაზუსტებას (ფართო თუ ვასრობოვი გაგებით), მისი ნიშნებისა და ფუნქციების შესწავლას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სატელევიზიო პროგრამირების, სატელევიზიო პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. როგორ უნდა განისაზღვროს გასართობი პროგრამების პერიოდულობა და საერთოდ ხედეობით წილი სატელევიზიო პროგრამაში? რამდენად მზანშეწონილია კომედის ან მუსიკალური ფილმის შემდეგ გასართობი პროგრამების დაგეგმვა?

უნდა ესაზღვრებოდეს თუ არა მაილი რანგის ხელოვნების ნაწარმოებს პოპულარული გასართობი პროგრამა? გასართობი პროგრამების რომელ ფორმებში მოითხოვს უპირატეს ყურადღებას? მრავალი ასეთი საკითხი წამოიჭრება ტელევიზიის პრაქტიკულ საქმიანობაში და მათი გადაწყვეტა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს თეორიულ კვლევა-ძიებას.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ საქართველოს ტელევიზიის პროგრამას, ბევრი საინტერესო დასკვნის საშუალება მოგვეცემა. ფართო გაგებით, ჩვენს ტელევიზიას საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი გასართობი ხასიათის პოპულარული მუსიკალური გადაცემები, აგრეთვე „მსუბუქი“ ანარსი მხატვრული ნაწარმოებები: მასობრივი სიმღერა, თვითმოქმედება, ხალხური შემოქმედების საღამოები, თეატრალური და კინოკომედიები, სატიკო წარმოდგენები, მულტიფილმები, მუსიკალური ფილმები და ტელეფილმები, კინოკონცერტები, მოაწყობა საპოთა და საზღვარგარეთული ფილმების სატელევიზიო ჩვენება „სიცილი ეკრანზე“ და „მუსიკა ეკრანზე“ (ალბათ გასაგებია მათი გასართობი ხასიათი), ვალაცემების სერია — „მღერან კინოვარსკლავები“; გრძელდება ციკლი „კინოფანტაზია“ (სახელოდება გაუგებარია, მაგრამ მასში გაერთიანებულია ნაწყვეტები სხვადასხვა პოპულარული ფილმებიდან, ძირითადად მუსიკალური პროგრამული და კომედიური ხასიათისა) და ა. შ.

მაგრამ თუ გავსათობ პროგრამებს განხილვით „წმინდა“ სატელევიზიო ანარსების თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ საქართველოს ტელევიზიას არა აქვს არც ერთი იუმორისტული პროგრამა, არა თუ მუდმივი, არამედ ცალკეული გადაცემების სახითაც. (მხედველობაში არა გვაქვს „ოქროპირის“ რამდენიმე დადგობით ხასიათის სტუდია, რომელთა პუბლიცისტური დატვირთვა ისე აშკარაა, რომ, რა თქმა უნდა, გასართობი პროგრამად ვერ ჩაითვლება). რა დასაძალია, იუმორი მეტად დეფიციენტურ ანარსია, მაგრამ თუ ქართული მოკლემეტრაჟიანი კომედიური ტელეფილმები საქვეყნოდაა ცნობილი, ბუნებრივია, რომ მყურებულს იუმორისტული ტელეგადაცემების ნახვის სურვილიც გაუჩნდეს.

ერთადერთი სატელევიზიო გასართობი ანარსი, რომელიც დღეს ჩვენს ტელევიზიაში დომინირებს, არის არასტუდენტური, არადრამატურული საესტრადო კონცერტი. ესაა „ესტრადა და თანამედროვეობა“ (ამჟამად „ეს ესტრადა“), „საესტრადო პანორამა“, „გოქვეთი საკონცერტო დარბაზში“, „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ და სხვა. რაც შეეხება დრამატურული გასართობი ანარსებს — საესტრადო რეჟისი და საესტრადო თეატრის, მათ ჩვენს ეკრანზე გრძობობით ფეხი ვერ მოიკიდეს, თუმცა ერთი ორჯერ იყო ამის ცდა (ეს ცდა შეეხება საესტრადო რეჟისი, საესტრადო თეატრი ჩვენს ტელევიზიაში გრძობობით არ არსებობს). 1975 წლის მარტში ეკრანზე გამოჩნდა ახალგაზრდობის რედაქციის გადაცემა „ეკრანვლი“, რომელიც ციკლის სახით იყო ჩაფიქ-

რებული (მთავარ პრინციპად გამოყენებული იყო პა-
როდია, გმირთა ხასიათებს „ნიღბები“ ცვლიდა). სამწუ-
ხაროა, გაკონსერვებული ლიტერატურული სცენარის, აე-
ტორთა კოლექტივის გამოუდგელობისა და, რაც მთავა-
რია, შესრულების დაბალი ხარისხის გამო, გადაცემა
საკმაოდ უგემოვნო გამოვიდა და ციკლი აღარ ვაგრძე-
ლებულა. (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი სატე-
ლევიზიო გადაცემის ხარისხს ისე არ აქვეითებს შესრუ-
ლების დაბალი დონე, როგორც გასართობი პროგრამი-
სას). 1977 წელს მუსიკალური პროგრამების მთავარმა
რედაქციამ სცადა საესტრადო რევიუს ენარში სარე-
პარტო გადაცემის მომზადება და ანალოგურ მდომარე-
ობაში აღმოჩნდა. დიდი შეფასება არ მიიღო ამავე ენარ-
ში შესრულებულ საახალწლო გადაცემას, რომელიც
1979 წელს მომზადდა (თუმცა მისი დონე შედარებით მა-
ღალი იყო.)

საერთოდ, მხატვრულ-გასართობი პროგრამები, გარ-
და კვალიფიციური სცენარისტისა და რეჟისორისა (რაც
ყველზე მთავარია), მაღალპროფესიულ შემსრულებ-
ლებს, დიდ ორგანიზაციულ მუშაობას, ფინანსებას და
ტექნიკურ საშუალებებს მოითხოვს. ეს ყოველთვის არაა
შესაძლებელი და კომპრომისების სერია, საბოლოო გამ-
ში, სასურველ შედეგს აღარ იძლევა.

უფრო ტრადიციული საქართველოს ტელევიზიაში
სატელევიზიო კავებს ფორმის გასართობი პროგრამები.
თითქმის ყოველ ახალ წელს ეთერშია „ცისფერი ეკრა-
ნი“. ამავე ენარს მიეკუთვნება „გულითადად შეხვედრე-
ბი“, „ახალგაზრდული შეხვედრები“, „შეხვედრები ქარ-
ხნის კლუბში“ და სხვა, სადაც მერ-ნალები ბუნებრიო-
ბით მხატვრულ პროგრამას ერწყმის რეპორტაჟული,
პუბლიცისტური ელემენტი. მაგრამ ასეთი გადაცემები,
სიყვე რეპორტაჟული ცენტრალურ ტელევიზიაში, უმრავლეს
შემთხვევაში ტრადიციულია და საჭიროა ახალი გზები-
სა და მიმართულებების მოძებნა.

თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ცდას, რომლებიც უშე-
დეგოდ დამთავრდა და ეკრანს ვერ მიაღწია, ანდა მე-
ტად დაბალი შეფასება მიიღო, საქართველოს ტელევი-
ზიაში ბოლო ათი წლის მანძილზე მხოლოდ ერთ ციკლს
შეიძლება ვუწოდოთ შემეცნებით-გასართობი პროგრამა
(მხედველობაში არა გვაქვს საკონკურსო ტიპის სა-
ბავშვო გადაცემები, სადაც აღმზრდელიობითი და შემეც-
ნებითი ფუნქცია მნიშვნელოვნად სპარპობს გაართობის
ფუნქციას). 1975-1976 წლებში ახალგაზრდობის რედაქ-
ციამ მოამზადა ორი გადაცემა ციკლით „სადაც ვშობილ-
ვარ, ვაგზრდილვარ“ (თავის დროზე როგორც საბჭოთა,

ისე საზღვარგარეთის ტელევიზიაში ფართოდ ვარც-
ლებულ „ქალაქების ტურნირის“ ფორმით). ერთმანეთს
შეხვდნენ ჯერ გორისა და თელავის, შემდეგ კი ფოთისა
და ჭიათურის გუნდები. ამის შემდეგ ციკლი აღარ გაგ-
რძელდებოდა (რაც განაპირობა როგორც ორგანიზაციულ-
მა სირთულემ და ტექნიკური საშუალებების უქმარისო-
ბამ, ისე შესრულების დაბალი დონემ).

როგორც ვხედავთ, საქართველოს ტელევიზიაში გა-
სართობი პროგრამების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლე-
მა მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი. ისიც უნდა ით-
ქვას, რომ ბოლო დროს ამ მიმართულებითაც იწყება ახ-
ლის ძიება. ვაიხსნა სატელევიზიო თეატრი, რომელიც,
ალბათ, არ აუცილებს გვერდს სავსებით თეატრალურ
ენარს. ერთ წელზე მეტია შეიქმნა ხალხური შემოქმე-
დების მთავარი რედაქცია რომელმაც ფართო გასაქანი
მისცა ხალხურ მუსიკას, სიმღერას, იუმორს, საერთოდ
ხალხურ სანახაობათა პრობაჟანდას (მარტო მესტორუ-
დების პოეზიის საღამომ ან ფშური სახუმარო კავიების
ვაცნობამ რამდენი სასიამოვნო წუთი მიუტანა მაყუ-
რებელს).

მაღალ კულტურულ, მაღალ პროფესიულ დონეზე
მომზადებული გასართობი პროგრამა მარტო დასვენება
როდია. ესაა კარგი განწყობილება, ენერჯია, ხალისი,
რაც ასე გვიკრძება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.
გასართობი პროგრამა „მსუბუქი“ ენარებს მოიცავს,
მაგრამ ამ ენარების განვითარება სულაც არაა მსუბუქი
და იოლი საქმე. იგი დიდ შრომას, ნიუსა და სერიოზულ-
ლობას მოითხოვს.

შენიშვნები:

- 1 «Литературная газета» № 20, 1980.
- 2 იქვე, № 18, 1980.
- 3 იქვე, № 33, 1980.
- 4 «Луначарский о кино», стр. 156.
- 5 С. Жданова, «Настроение на завтра», «Лит. газета» № 10, 1980.
- 6 «Искусство эстрады», № 1, 1961.
- 7 Л. Польская «Панове в час потехи», «Лит. газета» № 28, 1980.
- 8 В. Малкин «У нас в Тбилиси», «Лит. газета» № 30, 1980.
- 9 Л. Польская «Панове в час потехи», «Лит. газета», № 28, 1980.
- 10 Ю. Богомолов «Потехе — время», «Лит. газета», № 6, 1980.
- 11 «Не только в воскресенье», «Лит. газета», № 36, 1980 г.
- 12 С. Жданова «Настроение на завтра», «Лит. газета», № 40, 1980.
- 13 Вл. Сапкан «Телевидение и мы», М., «Искусство», 1963, стр. 54, 55.

საბმრთა საქართველოს კულტურას ღრმად აქვს ვადგმული ფესვები შორეულ ისტორიულ წარსულში. ქართველმა ხალხმა, რომლის სამშობლო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანადაა აღიარებული, თავისი მრავალსუქუნოვანი ისტორიული ცხოვრების გზაზე განვლო საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხური და შექმნა თავისი ეროვნული, ღრმად თვითმყოფალი კულტურა, რომელიც მუდამ საზრდოობდა ჰუმანიზმის და თავისუფლების იდეებით. მძიმე განსაცდელი, რაც ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებას ახასიათებდა წარსულში, განმაპირობებელი იყო მისი სულიერი ცხოვრების ხალხურობისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებისა.

ქართველი ერის კულტურული წარსულის შესწავლის საქმეს უდიდესი ამაგი დასდო მეცნიერულმა ქართველოლოგიამ. ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგების ისტორიის შესახებ შექმნილია საფუძვლიანი, საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომები, მონოგრაფიული გამოკვლევანი. მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ჩატარებული ევებერთელა კვლევითი სამუშაოს მიუხედავად, დღემდე არაა დაწერილი ქართული კულტურის ისტორია, არა გვაქვს გამძული თხრობა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების საერთო პროცესის შესახებ. ექვს გარეშეა, რომ ქართული კულტურის ისტორიის დაწერა ძნელი, მეტად ძნელი საქმეა. მაგრამ რესპუბლიკას უკვე ჰყავს მაღალი რანგის მეცნიერები, დამუშავებულია კულტურის ისტორიის მთელი რიგი პრობლემები და ახლა რეალურად შეიძლება დაისვას ქართული კულტურის ისტორიის მრავალტომეულის დაწერისა და გამოცემის საკითხი.

როგორ უნდა დაიწეროს და დამუშავდეს ასეთი მრავალტომეული?

საბჭოური ისტორიოგრაფია ინტენსიურად მუშაობს კულტურის ისტორიის მოდელის ძიებაზე. საყურადღებო მოსაზრებანი ამ მხრივ გამოიტქვა საბჭოთა კულტურის არაერთმა დიდმა სპეციალისტმა. საყოველთაოდ აღიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ კულტურის ისტორია არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ლიტერატურის, მეცნიერების, მუსიკის, ფერწერისა და ხელოვნების სხვა დარგების არითმეტიკულ ჯამამდე, რომ სულიერი კულტურა მრავლისმომცველი და, ამასთან, შინაგანად მთლიანი სოციალისტური სისტემაა, რომელსაც თავისი კანონზომიერება გააჩნია.

XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის ბამოკვლავის პირველი ტფა

დავით ჩხაკიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სულიერი კულტურის როგორც მთლიანი პროცესის ჩვენებას თან უნდა ახლდეს ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგის კონკრეტული ისტორიაც.

XIX საუკუნის ქართული კულტურის მთლიანი პროცესის გააზრების საყურადღებო ცდა გვაყვია პროფ. ა. სურგულაძემ, რომლის ნარკვევები XIX ს. ქართული კულტურის ისტორიის შესახებ ახლახან რუსულ ენ-

აზე გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებაში“. ავტორს ამ წიგნში მიზნად დაუსახას ახსნას XIX ს. ქართული კულტურის სწრაფი განვითარების მსტიმულირებელი ფაქტორები, დაადინოს განვითარების ძირითადი გრავები ოა მათი თვისობები თაისებურებანი ქლასობრივი პოზიციის თვალსაზრისით, გამოკითოს ქართული დემოკრატიული კულტურის იდეური პროფილი, უჩვენოს ქართული კულტურის კავშირებთან დაკავშირებით, ანტიკონსერვატიული ინტელიგენციის ფორმირების პროცესს, მიგანიშნოს იმ ძირითად ცვლილებებზე ხალხის სოციალურ სტრატორიაში, ყოფსა და ისტორიულ-ეოკოკურ წარმებში, რაც შედეგად მოჰყვა ახლო ობრმაციის, ახალი კულტურის დაბიობების.

XIX ს. ქართული კულტურის განვითარების მთავარ მსტიმულირებელ ფაქტორებდა პროფ. ა. სურგულაძის მიანიჩა 1) ეპოქის თავისებურება, 2) ქართული კულტურის ტრადიციები და 3) საქართველოს რუსეთთან შეერთება, როგორც ძირეული შემობრუნება ქართველი ხალხის ისტორიულ ბედ-იბბაღში. XIX ს. მართლაც თავისებური საკენი იყო, როცა ქართულმა კულტურამ აიღო ევროპული ორიენტაცია, მოხდა ერის ჩამოყალიბება, პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა მუშათა კლასი, ევოდალურ-ბატონყმურ ფორმაციაზე ბურჟუაზიულის საბოლოო გამარჯვებამ ბიძგი მისცა მწარმოებლური ძალების სწრაფ განვითარებას და პროგრესის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. დიდი ძვრების მოჰას თან მოჰყვა დიდი შთავონებანი, დიდი წინსვლა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში. კულტურა არასოდეს არ იწლდებდა ეროვნული ჩარჩოებით ოა XIX საუკუნეში — კომუნიკაციების, ინტორმაციის ზრდისა და ფართოების ეპოქაში — ქართულმა კულტურამ ახალი გეზი აიღო.

აქვე ავტორი გამოჰყავს კულტურის განვითარების მხრე XIX საუკუნის განსაკუთრებულობას რუსეთის ისტორიაში. ევოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით ბურჟუაზიული ფორმაციის გამარჯვებისა და მუშათა კლასის წარმოშობის შემდეგ, რუსეთში გოლიათური ნაბიჯებით მიდიდა წინ კულტურის განვითარება. ამ კულტურის განვითარების დონემ, შინაარსმა, მიმართულებამ ვადამწყვეტი ხე-

ვაღენა მოახდინა ქართული კულტურაზე, დააჩქარა მისი წინსვლა და განაპირობა მისი რევოლუციური-დემოკრატიული მიმართულება. საქართველოს რუსეთთან შეერთება, რაც ამ საუკუნის დამდეგს განხორციელდა, მოასწავებდა არა მარტო ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენას, არამედ ძირფესვიან შემობრუნებას მის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. საქართველო გამოვიდა მტრული გარემოვიდან, გაერთიანდა თავის ისტორიულ საზღვრებში, დაიმსხვრა მისი სამეურნეო კარჩაკეტილობაც, დამთავრდა მისი ეროვნული კონსოლიდაცია. სწორედ რუსეთთან შეერთებით დააღწია თავი საქართველომ იმ მუსლიმანურ-ალმოსავლურ გარემოვიცას, რომელიც ხალხის ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს უპირისპირდებოდა და წლევით ემუქრებოდა ყოველივეს, რაც ქართველმა ერმა ქრისტიანულ დასავლეთთან ურთიერთობაში შექმნა. რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველო კვლავ შევიდა დასავლურ კულტურულ რეგიონში.

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ქართული კულტურის ზემოთ მითითებული მსტიმულირებელი ფაქტორების როლი მინც მცირე და მართალი იქნებოდა, რომ ქართული კულტურა თავისი ტრადიციებით ამისათვის შემზადებული არ ყოფილიყო. ცალკე ქვეთავში ნაჩვენებია ქართული კულტურის განვითარება უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, წარმოდგენილია მისი კლასიკური პერიოდის მაღალი დონე. XIII-XVIII საუკუნეთა ძნელებელობა — შენიშნავს ავტორი — დიდად შეაფერხა ქართული კულტურის შემდგომი განვითარება, მაგრამ მაღალი ტრადიციების გამო მცირეოდენი გაზოდაცის პირობებში კვლავ იჩნდა თავისი ბრწყინვალეობა. XIX საუკუნიდან კი, როცა ქვეყნად მშვიდობა დაწყარდა, ქართული კულტურის დიდმა ტრადიციებმა კვლავ იჩინეს თავი და სულიერი ცხოვრების ახალი აღმავლობის სამსახურში დადგნენ. XIX ს. ქართული კულტურა სავესებით შემზადებული იყო იმისათვის, რომ შეესისხლობრციენისა და ეროვნული პროგრესის სამსახურში ჩაეყენებინა XIX საუკუნის მოწინავე საკაცობრივ იდეალებში.

მართებულად გეჩვენება XIX ს. ქართული კულტურის განვითარების ავტორისეული პერიოდიზაცია. ავტორი იმოწმებს ი. ქუპჯავაძეს, როცა XIX ს. პირველ დეოთედს მიიჩნე-

ეს ერთგვარ „შესვენების ხანაღ“ ქართული კულტურის განვითარებაში. მღელვარე პოლიტიკური მოვლენების ვითარებაში (შეერთების აქტი, კავკასიის ომები, თავად-აზნაურული რევოლუცია, გლეხთა აჯანყებანი) შეუძლებელი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელება. კულტურის განვითარების შედარებით ხელსაყრელი პირობები ოციანი წლების მიწურულიდან დადგა, როცა ძირითადად დასრულდა ომები ამიერკავკასიის შემომტყევიანათის, როცა დაიწყო ქვეყნის სამეურნეო აღმავლობა, შეიქმნა ქართული პრესა, ლიტერატურული სალონები. ამ პერიოდში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ფართოდ ვანათლებული, ნიჭიერი, პატრიოტული სულიკეთებით გამსჭვალული ინტელიგენცია, რომელმაც თავისი შემოქმედება სოციალური და ეროვნული პროგრესის საქმეს დაუჭვემდებარა.

კულტურის კლასობრივი შინაარსის განხილვისას ავტორი ეყრდნობა ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას ყოველ კლასობრივ ებრაში ორი კულტურის არსებობის შესახებ. დედოფალ-ბატონყმობი ფორმების ბატონობის ვითარებაში, რაც XIX ს. მიერ პირველ ნახევარს მოიცავს, საქართველოში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი კულტურა: თავდაზნაურული — როგორც ვაზაბატონებული და მის წიაღშივე, მის საპირისპიროდ მოზობი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული. თუ პირველი თავდაზნაურობისა და ცარიზმის მოხელეთა ინტერესებს ასახავდა და ძველისა და რუტუნლის დაკავ-დასაბუთებს ემსახურებოდა, მეორე — დემოკრატიული, იბრძოდა ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ, ქვეყანას გზას უკაფავდა პროგრესისაკენ.

ბურჟუაზიული ფორმაციის ვითარებაში, რომელიც XIX ს. 70-80-იან წლებს მოიცავს, საქართველოში ბურჟუაზიულ კულტურას უნდა მისთავედინა ვაზაბატონებული პოზიციები. მაგრამ ბურჟუაზიულ კულტურას საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიული ძალების სისუსტის გამო აკლდა თავისთავადობა, შინაგანი წინააღმდეგობებით იყო მოცული მისი იდეალები.

დემოკრატიული კულტურის ელემენტები მომძლავრებას იწყებს ჯერ კიდევ XIX ს. 40-50-იან წლებში. 50-იანი წლების მოწინავე ინტელიგენციამ ვაზედუღა აღიძრა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ.

ქართული კულტურის დემოკრატიულმა და სოციალისტურმა ტენდენციებმა ახალი ძალით იჩინეს თავი XIX ს. 60-იანი წლებიდან, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ თერგდალულები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით. 60-80-იანი

წლები ხასიათდება ქართული კულტურის ყველა დარგის — ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების აღმავლობით. ქართულმა ლიტერატურამ ამ პერიოდში წინ წადა ვიგან ვიგან ნაბიჯი პროგრესის გზაზე, — შეძლო აესახა სოციალური და ეროვნული ჩავრის-სავან ხალხის განთავისუფლების იდეალური, ეზიარებინა იგი რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის იდეოლოგიასთვის, გამოემზებებინა და დაეგმო ყოველგვარი, რაც წინ ეღობებოდა ცხარების წინსვლას.

ერის სულიერი ამაღლებისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში ქართული ლიტერატურას გვირდით ედგა ქართული თეატრი, რომელიც სათავეს იკისხ 50-იანი წლებიდან, ხოლო 70-იანი წლების მიწურულში პროფესიულ დარგად ყალიბდება. ქართული თეატრი ამართლებდა თავის დანიშნულებას, იგი მართალი სარკე იყო ეროვნული ცხოვრებისა და ეხმარებოდა ხალხს ძველისა და დრომოკმეულის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვათავიერებებინა და ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში.

ამავე დანიშნულებას ემსახურებოდა ქართული ეროვნული მუსიკა, ქართული მხატვრობა, მეცნიერული ჭაბუღეოლოგია. თითოეულ ამ დარგს საქართველოში გამოუჩნდა დიდი ტალანტისა და ენერგიით დაჯილდოებული მკვლევანი, რომელთა დაიდა საქმენი ნათელ ფურცლებად შევიდნენ XIX ს. ქართული კულტურის მატიაწეში.

ქართული კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისი ავტორი შედგას XIX ს. 90-იანი წლებიდან. ამ დროიდან ასპარეზზე გამოდის მუშათა კლასი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ხარისში აღის. გზას იკავავს ექსპლოატატორული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერული იდეოლოგია — მარქსიზმი, საქართველოში ჩნდება პირველი მარქსისტულ-ლენინური ორგანიზაცია. ახალი იდეოლოგიის ტენდენციები მძლავრად იჩენს თავს ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში.

ა. სურგულაძის მონოგრაფიის ძირითადი ნაწილია IV თავი, რომელიც ქართული კულტურის იდეური პრობლემის დადგენას შეეხება. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ იდეოლოგია კულტურის სული და გულია, მისი მართანისზედელი და წარმმართველი ძალაა. განსაკუთრებით დიდია იდეოლოგიის როლი ერის კონსოლიდაციის დამამთავრებელ ეპოქაში. კულტურა ამ დროს მნიშვნელოვან, შეიძლება თქვას, თვისობრივ ცვლილებებს განიცდის. საზოგადოებრივი ცხოვრების, აზრის დემოკრატიზაციის პროცესში იგი უფრო ინტენსიურად ვითარდება,



იქნეს ახალ მხატვრულ შინაარსს. ეროვნული კულტურა, გამჭიდრებული განმანათლებლური და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალობით, თავის მხრივ, მძლავრ ზეგავლენას ახდენს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესზე, იქცევა მისი შემდგომი განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. სოციალ-ეკონომიური და ისტორიულ-კულტურული ურთიერთშემოქმედების ასეთი იარაღივე პროცესი წარმოადგენს საზოგადოებრივი პროგრესის არსებით კანონზომიერებას.

საყურადღებოდ და საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ავტორის ცდა გამოიწიოს ის მოდელი, რომელშიც თავსდება XIX ს. საქართველოს სულიერი ცხოვრების შინაარსი. ასეთად მას მიაჩნია სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბძოლის იდეოლოგია. ავტორი ვაითქვამს აზრს, რომ საქართველოში ეროვნულ კულტურას ასაზრდოვება სოციალური და ეროვნული განთავისუფლების იდეალიდან ამ დებულებიდან გამომდინარე, ავტორი ფიქრობს, რომ XIX ს. ქართული კულტურის განვითარებაში კლასი ბრძოლის შემდეგ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომ ამ მოძრაობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მოინახოს ის მოდელი, რომელიც იძლევა გასაღებს მისი პროფილის განსაზღვრისათვის.

ამ თავშივე ავტორი ახსიათებს ქართული კულტურის იდეურ პროფილს კლასთა ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე. პირველი ეტაპის პოლიტიკური რომანტიზმი ედო საფუძვლად ქართულ ლიტერატურულ რომანტიზმს, რომლის უდიდესა წარმომადგენლებმა — ალ. ჭავჭავაძემ, გ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ფორმირებაზე. 40-50-იანი წლები რომანტიზმიდან რეალიზმზე გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდის მკვლევ და მდებარე გიორგი ერისთავი, რომელმაც თავის შემოქმედებაში წამყვან მოტივად სოციალური პრობლემები დაამკვიდრა. ამ გზით წარიმართა ალ. არღანიანის, ზ. ანტონოვის, დ. ქონიძის შემოქმედება. ეს გზა აღმოჩნდა შემაერთებელი ხიდი, რომელმაც 30-იანი წლების კულტურა და იდეოლოგია 60-70-იანი წლების კულტურასა და იდეოლოგიას დაუკავშირა. 40-50-იანი წლების ქართულ კულტურაში თანდათანობით იჭრებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული ნაკადი. ამ პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა მისწრაფება იყო სოციალური კონსერვატიზმის დაძლევა.

60-80-იანი წლების კულტურაში წამყვანი ადგილი თერგდალეულებმა დაიკავეს. თერგ-

დალეულთა პროგრამა, — შენიშვნას ავტორი, — მიზნად ისახავდა ბატონყმობის ლიკვიდაციას და საქართველოს ახალი დემოკრატიული გზით განვითარებას, ეროვნულ კონსოლიდაციას, ბრძოლას სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, თვითმპყრობელურ რეჟიმის დახმობას, დემოკრატიული საქართველოს გავითარებას დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში. ეს პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის რანზონის ეტაპის (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გერცენი, ოგარევი) პროგრამასთან, ამდენად, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის განშტოებას წარმოადგენდა. ამ იდეებით საზრდოობდა XIX ს. 60-80-იანი წლების ქართული კულტურა, მისი ყველა დარგი — ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვ. ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი შემოქმედებითი მეთოდი ამ პერიოდში კრიტიკულ რეალიზმი, რომელიც თავის მხრივ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ეფუძნება.

კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში (90-იანი წლები) საბოლოოდ ირღვევა მესამე წოდების ერთიანობა. დემოკრატიზმი და სოციალიზმი ცალ-ცალკე მიმდინარეობად გაითიშა. შეიკვალა თერგდალეულების პოზიცია. რევოლუციური დემოკრატიზმი და ვლენუერი რადიკალიზმი, რაც ამ მიმდინარეობას ახსიათებდა, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას შეთვისდა. გლენობას ახალ ვითარებაში საიმედო მეთაურად მოველინა პროლეტარიატი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალებად მუშათა კლასი და გლენობა გამოვიდნენ. ბურჟუაზია ეი, რომელიც მესამე წოდებიდან გამოიიშვა, ლიტერალიზმის ჩარჩოებით შემოიფარგლა. ახალ ვითარებაში თერგდალეულობა აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე წოდების იდეოლოგია, რადგან ეს წლებად, როგორც სოციალური ორგანიზმი, უკვე აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, თერგდალეულობამ შეინარჩუნა თავისი ფუნქცია. იგი დემოკრატიულ ნაკადად დარჩა ახალი ეტაპის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში და უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის დემოკრატიული ტრადიციების გარავალდებულებად. ეს ტრადიციები შეისისხლობოდა ქართულმა სოციალისტურმა კოლტურამ, რომლის ელემენტები XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყებს ფორმირებას.

კ. მარქსის ებულება — ყოველ ექვს შეუძლია ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევ სხვა ერისაგან — (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 8) უდიდეს საფუძვლად მონოგ-

რადიის იმ თავს, სადაც საუბარია ქართული კულტურის სხვა ერის კულტურებთან ურთიერთობის შესახებ. XIX ს. ქართულ კულტურას ცხოველი კავშირ-ურთიერთობანი ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხების კულტურასთან. იგი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა აფხაზეთის, ოსეთის კულტურულ განვითარებაზე, ცარიზმის წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლაში საერთო ძალით გამოდიოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალებთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთობას დიდ რუსულ კულტურასთან, რომლის ზეგავლენა ატყვიან ყველა დარგს ქართული სულიერი ცხოვრებისას. ღიმიდა რუსულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ სულიერი საზრდო მისცა ქართული კულტურის მესვეურებს. პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ოსტროვსკის, ჩეხოვის, გორკის, იპოლიტოვიანოვის, ბალაიჩოვის, ჩაიკოვსკისა და სხვათა შემოქმედების გარეშე ძნელა წარმოადგინო ქართული კულტურა XIX საუკუნეში. ამჟამად დროს, რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეებმა საქართველოში ნახეს თავისი მეორე სამშობლო.

აეტროი სამართლიანად მიუთითებს, რომ კულტურის ისტორია არაა მხოლოდ კულტურულ ფასეულობათა შექმნის მართიანი, მხოლოდ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების ისტორია. იგი ამასთან, ამ კულტურის ხალხში გავრცელების, ხალხზე მისი ზემოქმედების ისტორიაც არის. კულტურის ისტორიკოსებმა უნდა აჩვენონ ის ცვლილებანი, რასაც კულტურის განვითარება იწვევს ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ტრადიციებში, ჩვენონ საზოგადოებაში ახალი მორალურ-ეთიკური ნორმების დამკვიდრება.

ამ საკითხის გარკვევას ეძღვნება მონოგრაფიის ბოლო თავი. XIX ს. ქართული კულტურის განვითარებამ, რაც ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში და მის ისტორიულ ბედ-ილაღში ძირფესვიანი გარდაქმნებისა და შემობრუნების შედეგი იყო, თავის მხრივ ხალხის ფსიქიკაში არსებითი ხასიათის ცვლილებანი შეიტანა. ახალმა ეპოქამ შექმნა ახალი ურთიერთობანი, ახალი ტრადიციები, ჩვევები და წარმოდგენანი. მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ის ძირითადი ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები, რაც მისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებით შემუშავდა (მშობლიური ქვეყნის სიყვარული და მისთვის თავადება, სტუმართმოყვარეობა, უცხო ტომებისადმი პატივისცემა, რაინდული სულისკეთება, ქალისადმი

მოკრძალება, სიბრძნისმოყვარეობა, სამხრეთული სიფიქსე, მაგრამ რბილი ხასიათი და კეთილშობილება) დარჩა, მაგრამ ახალ ვითარებაში მან ეპოქის შესატყვისი სახელწინი შეიძინა. რაც მთავარია, ეკონომიურმა პროგრესმა კულტურის ჰუმანისტურ-დემოკრატიულმა ხასიათმა ხალხში გააღვივა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკეთება. ამ თავში აეტროი ცდილობს შექმნას ხალხის ზნე-ჩვეულების, გართობის, მებრძოლური ბუნების მოზაიკური სურათი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. სურგულაძის ნაშრომი პირველი და მეტად ნაყოფიერი ცდაა XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის მეცნიერული გააზრებისა. ყურადღებას იმსახურებს ფაქტორი მასალის მრავალფეროვნება და აეტროის ღრმა მეცნიერული განზოგადების უნარი.

უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ საჭიროა დაიწყოთ მუშაობა ქართული კულტურის ისტორიის მრავალტომეულის გამოსაცემად. ექვს გარეშეა, რომ პრფ. ა. სურგულაძის ნაშრომი „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის შესახებ“ თამამად შეიძლება დაედოს საფუძვლად XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიას.

ამასთანავე; საჭიროდ მიგვაჩნია სარეცენზიო წიგნის მიმართ გუაყეთით შემდეგი სახის შენიშვნა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია სრულად წარმოადგინო ამა თუ იმ ერის კულტურის ისტორია, თუ მასში კულტურის, როგორც სულიერი წარმოების მთლიანი პროცესის განვითარების საერთო კანონზომიერების ფონზე მეცნიერული სიღრმით არ იქნება გაშუქებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარება. ქართული კულტურის ისტორია არ შეიძლება დაეყვანილ იქნას ქართული ლიტერატურის (პროზა, პოეზია და ა. შ.), მუსიკის, თეატრის, სხვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და ა. შ.) მეცნიერების (ჰუმანატარული და საბუნებისმეტყველო) და სხვა დარგების არითმეტკულ ჯამამდე, მაგრამ ამ დარგების განვითარების ისტორიის წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია კულტურის განვითარების საერთო პროცესებზე ლაპარაკი. აქ, ალბათ, რაღაც „კომპრომისია“ საჭირო. კულტურის ისტორიის მოდელის ძიება, ცხადია, უნდა გავრძელდეს. მაგრამ ერთი რამ ექვსგარეშეა — კულტურის ისტორიის განვითარების საერთო კანონზომიერებანი უნდა იყოს განტოვებული ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეული დარგების ისტორიით.

გუგო გერერი
ეანეტა — მისი ცოლი
არანი — მათი ვაჟი
მერი — მათი ქალიშვილი
ბილო დეი — მერის საქმრო

მოქმედების დრო — ჩვენი დღეები.

მოქმედების ადგილი — ერთ-ერთი სახელმწიფო, დიდი ქალაქი, სადაც ძარცვავენ ბანკებს, მუზეუმებს, საფოსტო მატარებლებსა და ჯავშნიან ავტომანქანებს.

ოთახი, სადაც მიმდინარეობს პიეის მთელი მოქმედება, უბრალოდ მორთული უნდა იყოს.

მე ვყოფილვარ სხვადასხვა ქვეყნის საშუალო ფენის წარმომადგენელთა ბინებში. ოთახები თითქმის ყველგან ერთნაირადაა მორთული. ამ ოთახში უბრალო, თანამედროვე ავეჯი დგას: დიდი სარკე, კარადა, მაგილა, სამები, კედლებზე ნათესავების პორტრეტები ჭიკილია... აქაც, როგორც ყველგან, ეს ოთახი სტუმრების მისახლები ოთახივითა და სასაიდლოც.

საღამოა. ოთახში ორნი არიან: ეანეტა — ქალაქი ქალი, ორმოცდათხუთმეტი წლის, წყნარი და აუღელვებელი ადამიანი, რომელიც არასოდეს არ აუწევს ხმას და მისი ქმარი გუგო გერერი — წარმოსადგენი კაცი, სამოცი-სამოცდახუთი წლისა.

ეანეტა მაგიდასთან ზის და ქარავს.

გუგო სარკესთან დგას, თმის ივარცხნის და სადაც წასახველდაც ეშხალება.

გუგო. — (სარკეს თვალს მოაცილებს და მაყურებელთა დარბაზს გადახედავს). იქნებ ეს საათი თავისი სამაჭურით, უბრალოდ მოიქროვილი გგონიათ? არა! საათიცა და სამაჭურიც ბაჭალაო იქნება და დიდი ფულიც ღირს. პერანგი და მალსტუბი ნაყილია ჩვენი ქალაქის ყველაზე ძვირფას მალაზიაში...

ეანეტა. — (ქარავს ვანაგრძობს) ვის ელაპარაკები, გუგო?

გუგო. — საკუთარ თავს ვესაუბრები, ეანეტა... ერთი წუთით წარმოვიდგინე, ვითომ ჩვენ სცენაზე ვართ და არა ჩვენს ოთახში და ათასი თვალს გვიცქერის.

ეანეტა. — ეებს! ჩემო ფანტაზიორო!

გუგო. — (მაყურებელს) ეს პიჯაკიც ყველაზე ძვირფასი ქსოვილისაა. განა შეიკრილი... მგონი ქიშორის შალი ჰქვია.

ეანეტა. — (აუღელვებლად) მაინც, ვის ელაპარაკები, გუგო?

გუგო. — იქნებ, შენ ფიქრობ, ჩემო გოგონა, რომ ჭკუაზე შევცდი! თუმცა ჭკუა და აზრი მაშინ დავკარგე, როდესაც დავთანხმდი სტუდენტს იხვის როლი მეთამაშა. დაწვევლილი საშუალოა ჩემი საშუაო. ეშმაკის კერძი გავღი! ჩემი თანამდებობა უფრო ძნელია, ვინემ თვით პოლიციის პრეფექტისა, მართალია, პოლიციის პრეფექტებსაც ხოცავენ ხოლმე, მაგრამ იმათ... ზევით... ჩვენს უფროსებს უფრო რთული და დიდი თამაში აქვთ. მე კი ვინა ვარ? ჭიანჭველა. რომ მომკლან კიდევ, ჩემს გვარს საღამოს გაზუთვივ კი არ მოიხსენიებენ იქ, სადაც უბედურ შემთხვევებზე წერენ ხოლმე. შენ მართალი ხარ, ჩემო ეანეტა. ჩემი პრეფექტის ადამიანები ცხოვრებას ცუდად ამოაყრებენ. მუდამ სიკვდილთან თამაშობ, მუდამ სიკვდილს უყინი, ცხუმრები. გაურბინარ კიდევ, ის კი უნაშუსო. — დაგდებს და გიღრჩევს. მაგრამ, რას იზამ, ასეთია ჩემი ხელუბრა. რომ არ ვიშუაო, ოჯახი რთო ვარჩინო? (ამ სიტყვებთან ერთად რთოვერებს იღებს ჭიბებში. ერთი კოლტი შარვლის უკანა ჭიბეში ჩაიღო.

საქმეუბრა იხვი

ტრაგიკომედია

პიორიზის

რეჟისორებსა და მხაზიობებს ვთხოვ, ამ პიესაში არ ეძებონ დადებითი და უარყოფითი გმირები, და არ ეძებონ ბოროტი ადამიანები.

ამ ტრაგიკომედიის მოვარი გმირია ავადმყოფი საზოგადოება, სოციალური პირობები, რომელიც ბოროტებს ქმნის.

მე პიესას არ ვუფო აქტებად, ვინაიდან მთელი მოქმედება მიმდინარეობს ერთ ოთახში, არის მხოლოდ დროის პაუზები. სპექტაკლი შეიძლება დაიდგას სამ ან ორ მოქმედებად და შეიძლება გათამაშდეს უანტრაქტოდაც.



დანარჩენი ორი პიჯაკის კიბებში), მართალია, მე უკვე ხან-ში შესული ვარ, მაგრამ ტყვიას ვერ კიდევ ვაძვრენ ბუდეში. მესა ის ოთხმოცდათრამეტჯერ გამაძრებლს (მაყურებელს). პო! მართალია, დამავწყდა, თქვენთვის შეთვის, მე ჩვეულებრივი სა-ტყუარა იხვი ვარ!... მე ორმოცი წელიწადი პოლიციამი ვმუშაობდი...

ე ა ნ ე ტ ა — (თავს სინანულით აქნებს) და ჩვენი დიდი ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიციელი იყავი.

გ უ გ ო — დაბ, მე ხშირად მაჩივლებდნენ... შემდეგ კი... შემდეგ მუშაობა გამოირდა. ჩემი ასაკი პოლიციისთვის საუფერ-რედედ აღმირდა და შემომავალს სასტიკადა იხვის თანადე-ბოხა. ფიფქარი, რა უშავს-მეოტი (სარკეში ჩაიხედა) მეუბნები-ან, მიღმარა კაცს ვაგბარო.

ე ა ნ ე ტ ა — „მიღმარს... ნდიარს...“ ჩემი ე კარიელი გაქვს.

გ უ გ ო — (მაყურებელს) მართალია, სულ დამავწყდა, რომ უკვლამ არ იცით, რას მქვია სატყუარა იხვი. ვაჯახსულზე, როდესაც თბი-ლი ქვეყნიდან ფრინველები ბრუნდებიან, მათი კორნალების სტრია იწყება. მონადირის სახლიდან მიაყვან ჩვეულებრივი შინაური დედალი იხვი, ფეხზე მაწარს გამოაბამს და ტახზე ან მწიწარის მორბეულ დავსვამ და დააბამს, თითონ რი საფარში იმალება. იხვი გასკივის, სატრორს უშობს. რას იზამ, ვაჯახ-სულია. მაგრამ მამალი იხვი გამოჩნდება. მიჯნულს მირ დანა-ნავს, ციდან ტყუასავით დაეშვება და შეუკარებულს საარშოვოდ გვერდით მოუქუქდება, მაგრამ ამ დროს თოფი იგრაიდებს... და მოტყუებული სასიძო სიცოცხლის ენმეობობა. მოსულად, ასეთი უნაშუეს და გარყნარია სატყუარა იხვი.

ე ა ნ ე ტ ა — მართალია რა საზოგადორო ყოფილა.

გ უ გ ო — ყოველ საღამოს ძვირფასად გამოვიწყობი ხოლმე. ხომ ხედავთ, როგორ ვარ ჩამუღლი ოქრის საათი, ოქრის სამა-ჭურთი, მალტუბის ოქრის მისხანევი, რასაც ხედავთ, უკვლად-ფერი ძვირფასია, მაგრამ ეს ჩემი არაა, — პოლიციის რე-კვირთია. ასე გამოწყობილი, სადავობითი სახლიდან ქუჩაში გადვარს. ჩავედარ მტროში და სადღე მუდგერი ადგილას ვეჭე-ბი. ცოტა სიმთვარესაც მოვიგონებ... ის ბიჭუნები კი... მე მათ ბიჭუნებს ვეძიებ და არა ხანდღვრის აბა, ვის უქვამს მავათი ხანდღვრის? უბრალო ჩიბის ქურდები აბა. ისინი იოლ საუშ-შის ეტებზე, ურჩევნათ ვინმეს საათი მოხსნან მაგიდან, ან ბე-ჭედ თითოდაც და პორტმონე ამოაღებენ ჩიბიდან. ნამწვილი ხანდღვრის კი სხვა გაქანების ხალხია. ისინი ძარცავენ ბანკებს, მუხუშუმებს, თავს ესხმებიან მატარებლებს. ენები ეს უბრალო, პა-ტარა ქურდ-ბაყლები არიან. რას იზამ, ქვამ მავათაც უღდა. შენ კი, ყოველ უნაშუეს (სარკეში თავის გამოსახულებას მი-მართავს) უსიღისა, ვეყო ვერერ, სატყუარა იხვად მუშაობ. ბი-ჭუნები მიღმარ კაცს შეამჩნევენ (ირინოულად), ეს მე ვარ მიღ-მარ და რომ გამაძრკვონ, მაშინვე ვარშემო შემომხვებიან. მაგრამ გადავტოვო პოლიციელნი, რომლებიც მე მახლავან, უკ-ხად ცოფინი ძაღლებივით დაესხმებიან თავს ამ საყოღად მშობი რიჭუნებს და თუ რომელიმე მათგანი წინააღმდეგობას გაუწყვს, დაწიო ეყლს ამ მუცელს გამოადარკვენ.

ე ა ნ ე ტ ა — გუგო! ნუ დადამრივ, ვის ელაპარაკები?

გ უ გ ო — ნუ გეშინია, ეანეტა... ნუ გგონია, ჩემი გოგონაა, რომ მე დღეს სიკვდილს ვაძირებ, როცა საჭიროება მოიხზობს, მე თვით-თვლად, ჩემი საყვარელი, რომ შენ მშვიდად და ბედნიერად იცხოვრო (ბიღის მისთან, ხელს მოხვევს). ჩემი ქალარა გოგო-ნავ... ჩემი ღამაშო... ჩემი უღამაშუესი. შემომხედე თვალებ-ში... თვალები კი... ეს თვალები, ღმრის გეფიცები, ისეთივე მშობიდედლია ახლაც, როგორც ოცდაცხრამეტი წლის წინათ იყო, მაშინ პირველად რომ დავიხანე ჩემი იხვი... არა, ჩემი მტრული, რომელმაც გონება წააბრიაო ერთობელ და საშუადმო.

ე ა ნ ე ტ ა — ახლა კი ნაწიბი, არა?

გ უ გ ო — არა, ვანეტა, მე უბედნიერესი კაცი ვარ ამ ქვეყანაზე. შენც ხომ ბედნიერი ხარ? (პასუხს არ აცლის) საყოღადვი ჩემი გოგო-ნავ... ამ ოცდაცხრამეტი წლის მანძილზე... თითქმის ყოველ-დღე... არ იცდი, შენი ქმარი შენ ცოცხალი დაბრუნდებოდა თუ არა. იმიტომ რომ... შენ კარგად იცი, რატომაც, სასიფთაო სა-მუშაო მქონდა... მუღამ სიკვდილს ვეთამაშებოდი.

ე ა ნ ე ტ ა — შენი ახლანდელი სამუშაო სახითაო არაა? გ უ გ ო — (უსამომინლო დაღრმობა) რა გინდა? უცოლ რჩემი ვიქნე, უნაშუესო კაცის სამუშაო... თუმცა, როდესაც ამ ოქრის სამა-ჭურთს ვაძვირებ მაგარე, რომელზეც მთელი ჩემი ცხოვრების მანძი-ლზე ვცხოვრობდი და რომლის შექმნის საშუალება არ მქონდა... როდესაც ამ ქულს დავიხვებ, გეგონია, მეც კაცი ვარ, თუმცა: რანდემივე საათით, მაგრამ... კაცი ვარ, კაცი!

მეორე ოთხიდან მერი და ბილი გამოიღან.

მ ე რ ი. — გამარჯობა, მამა! (გვერდ პასუხს არ სცემს, მხოლოდ თვალს ვაკაყოლებს ახალ-გაზრდებს. მერი და ბილი გადიან).

გ უ გ ო. — (მაყურებელს) ეს ჩემი ქალიშვილია, მერი ჰქვია. მუშა-ობს... (დაიღრმობა, თავს გაიქნევს და განუშვება).

ე ა ნ ე ტ ა. — (გულმოდელი) სად და... მთქნელივე მუშაობს.

გ უ გ ო. — კარგი, ბატონო! ახად იყოს, შენ ასეთ მუშაობას მანეუ-ლია ჰქვია, ან ვუბერტონს კი... ვინაა, ვერ მტყუივი?... კარგად არ ვიცნობ... შესახებდავად სპორტსმენს ჰქვას, მაგრამ როგორც ვიცი, სპორტსმენი არ უნდა იყოს, არც ინჟინერია და არც მად-აშის მტრის მტერი. მაგრამ არც მუეზოლო და არც მტვირთავი მუ-შა. პირი ამბობს, ერთმანეთი ვიყუარებო, მაგრამ სიყვარული ხომ ხელნობა არა?

ე ა ნ ე ტ ა. — ბილი კარგი ბიჭია!

გ უ გ ო. — კარგი ბიჭობა, უპირველეს ყოვლისა, მუშაობაა. სასმა-ხრია...

ე ა ნ ე ტ ა. — მერის უნდა არანს იხოვოს, რომ იგი სამუშაოზე მო-აწეროს.

